# ვის ეკუთვნის საქართველო

ნიკო ნერგაძე

2019

საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

# ვის ეკუთვნის საქართველო

## ნიკო ნერგაძე

2019

გამოცემა მომზადდა ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავენ ფონდის პოზიციას და ფონდი არ არის პასუხისმგებელი წიგნის შინაარსზე.

# სარჩევი


წინასიტყვაობა.....7

შესავალი .....9

როდესაც მფლობელი დამალულია.....12

როგორ წყდება, ვის რა ეკუთვნის? .....25

ვინ იცის, ვის რა ეკუთვნის? .....32

ვის ეკუთვნის თბილისის მომავალი .....44

ვის ეკუთვნის ჩინოვნიკთა ერთგულება.....67

სასამართლო გუშინ, დღეს, ხვალ.....96

ყველა მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ .....124

ვის ეკუთვნის ქართული მედია .....131

ვის ეკუთვნის ხალხის ნება.....143

# წინასიტყვაობა

წიგნი სათაურით „ვის ეკუთვნოდა საქართველო“ პირველად 2012 წელს გამოიცა და საქართველოს ეკონომიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი სექტორის ძირითად მოთამაშეებს და მმართველ პარტიასთან მათ კავშირებს ეძღვნებოდა. წიგნის მთავარი თემა პოლიტიკისა და ბიზნესის გადაკვეთა იყო – იმ საფრთხეებთან ერთად, რომლებსაც ასეთი გადაკვეთა უქმნიდა, ერთი მხრივ, საჯარო მმართველობის კეთილსინდისიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფალ და სამართლიან კონკურენციას კერძო სექტორში.

პირველი წიგნის გამოცემიდან შვიდი წლის თავზე ეს საფრთხეები არათუ არ გამქრალან, არამედ სრულიად ახალი განზომილება შეიძინეს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების უპრეცედენტო კონსოლიდაციის შედეგად. ცხადია, რომ ვითარება, როდესაც ქვეყნის უმდიდრესი ადამიანი იმავდროულად მმართველი პარტიის ლიდერი და ქვეყნის დე ფაქტო მმართველია, ახალი ტიპის გამოწვევაა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისა და მისი საკვანძო ინსტიტუტებისთვის.

რა შედეგები აქვს ძალაუფლების ამგვარ კონსოლიდაციას სასამართლოსთვის, სამართალდამცავი სისტემისთვის ან მედიისთვის? როგორ აისახება ის საარჩევნო პროცესზე? რა გავლენას ახდენს ის მოქალაქეების ყოველდღიურობაზე და როგორ ცვლის მათ უშუალო საცხოვრებელ გარემოს?

ამ და ზოგიერთ სხვა კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცადეთ წიგნში, რომელიც რადიო თავისუფლების ჟურნალისტ ნიკო ნერგაძესთან ერთად მოვამზადეთ.

წიგნზე მუშაობა 2019 წლის ზაფხულში დასრულდა და ამდენად ის არ მოიცავს ზოგიერთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც მომდევნო თვეებში მოხდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მადლიერია ღია საზოგადოების ფონდისა წიგნის მომზადებისა და გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისთვის. ამასთან, წიგნში მოცემული მოსაზრებები არ გამოხატავენ ფონდის პოზიციას და მხოლოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოა“ პასუხისმგებელი გამოცემის შინაარსზე.

# შესავალი

შარშან მეგობარს გავყევი ბინის სანახავად. თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა ყიდვა და კონტრაქტის საბოლოოდ გაფორმებამდე უნდოდა მისთვის სხვასაც ეთქვა, რომ სწორს აკეთებდა.

თბილისის ცენტრში, მეცხრამეტე საუკუნეში აშენებულ სახლში მდებარე ძალიან საყვარელი პატარა ბინა იყო. ერთადერთი, რაც ამ ჩემს მეგობარს აფიქრებდა, სახლის მდებარეობა იყო. თან მოსწონდა – კარგ ადგილას იყო, ყველგან ფეხით მიხვიდოდი მარტივად. ამავე დროს ღელავდა, მალე ახლომახლო მშენებლობა არ დაიწყონ და იქაურობა მტვრით არ აივსოსო. ან, იქნებ, რადგან ასეთი კარგი მდებარეობა აქვს, მალე ინვესტორი არ მოვიდესო – ბინის ამჟამინდელი მფლობელი გვიყვებოდა, მეზობლებს ერთი სული აქვთ, სახლი ვინმემ დაანგრიოს და მათ კარგი კომპენსაცია შესთავაზოსო.

მეგობარს კი კომპენსაცია არ უნდოდა. ამ სახლში უნდოდა ცხოვრება. თან, მეზობლებთან პოტენციურ კონფლიქტსაც ერიდებოდა – როგორი საქმეა, იმათ რომ ბინის გაყიდვა უნდათ და შენი უარი აფერხებთ.

მე ვამშვიდებდი – სახლი მყარად დგას და, რაც მთავარია, თბილისის ისტორიული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. ძალიან დაინტერესებული ინვესტორი რომც მოვიდეს, მაგ შენობას ხელს ვერავინ ახლებს მეთქი.

მეგობარიც დამშვიდდა. მითხრა მართალი ხარ, თუ მაინცდამაინც ბიძინა ივანიშვილმა არ გადაწყვიტა აქ რამის აშენება, მართლა ხელს ვერავინ ახლებსო.

ბინის მფლობელიც დაგვეთანხმა – ჰო, ბიძინამ რამე თუ არ მოინდომა, ეს სახლი აქ კიდე საუკუნე იდგებაო.

არც ბინის მფლობელი იყო ოპოზიციის აქტივისტი და არც ჩემი მეგობარი, რომელიც, სულაც ამტკიცებს, 2011 წელს საჯარო სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გამათავისუფლესო. პოლიტიკაზე ლაპარაკისას სულ ამბობს ხოლმე, მართალია, „ქართული ოცნების“ აქტივისტი არ ვარ და ბევრი რამ არ მომწონს, ხმას მაინც საბოლოოდ მათ ვაძლევ, რადგან უკეთესს ვერავის ვხედავო.

საბოლოოდ მეგობარმა ის ბინა იყიდა და დღემდე ძალიან კმაყოფილია. თავად ის საუბარი ალბათ არც ახსოვს, იმიტომ რომ განსაკუთრებული და ახალი არავის არაფერი გვითქვამს.

განსაკუთრებული და აღსანიშნავი საქართველოში არავისთვისაა, რომ ქვეყანაში ორნაირი წესები არსებობს. ერთი – ყველასთვის, მეორე კი – „პირველი მოქალაქისთვის“.

შეკითხვაზე – „ვის ეკუთვნის საქართველო?“ – პასუხი უკვე ყველას აქვს – „ვის და, ბიძინა ივანიშვილს.“

ამას გეტყვით დიდიც და პატარაც, მთავრობის მხარდამჭერიც და ოპოზიციის წარმომადგენელიც. ზოგი ამას ხმამაღლა განაცხადებს, ზოგი კი – შეფარვით. მავანისთვის ამაში პრობლემა არ არის, სხვისთვის კი – ეს კატასტროფის ტოლფასია. თუმცა, არა მგონია, პასუხი ძალიან საკამათო იყოს.

თითქოს, რად უნდა ამას წიგნის წერა და მოხსენებების მომზადება.

მაგრამ, უფრო ღრმად თუ ჩავყვებით, აღმოჩნდება რომ ბევრ შემთხვევებში ძალიანაც ბუნდოვანია, თუ ვის რა ეკუთვნის, რა ფორმით და როდიდან. შესაძლოა, სწორედ ესაა „ყველასთვის ცნობილი“ ფაქტების და ჭორ-მართლის გავრცელების კატალიზატორიც – როდესაც ინფორმაცია გაუმჭვირვალეა და გრჩება შთაბეჭდილება, რომ მნიშვნელოვან ინფორმაციას განგებ გიმალავენ, ყურმოკრულის დაჯერებაც უფრო მარტივია.

ბუნებრივია, ერთი წიგნი ვერ გასცემს ამომწურავ (ან თუნდაც დამაკმაყოფილებელ) პასუხს იმაზე, თუ ვის რა ეკუთვნის საქართველოში. თუმცა, ვეცდებით, რომ ყურადღება რამდენიმე ასპექტზე გავამახვილოთ. იმაზე, თუ რამდენად გამჭვირვალეა საკუთრების საკითხი საქართველოში. რამდენად თანაბარ პირობებში არიან სხვადასხვა ქონების მფლობელი ბიზნესმენები. რამდენად კანონიერად ხდება ამ ქონების გაზრდა თუ შემომტკიცება. როგორ ახდენს გავლენას მფლობელობის საკითხი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. და, რამდენად ადეკვატურად ხდება ამ ყველაფერის გაშუქება.

წიგნი ძირითადად ეყრდნობა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევებს, სტუდია „მონიტორის“ მასალებს, სხვადასხვა მედიასაშუალებების – „ნეტგაზეთის“, „ლიბერალის“, რადიო თავისუფლების, „გურია ნიუსის“, on.ge-ს, „ტაბულას“, „რუსთავი 2-ის,“ „იმედის“, „TV პირველის“ და სხვების მიერ გამოქვეყნებულ სტატიებს და ღია, ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციას.

## როდესაც მფლობელი დამალულია

*„საქართველოში ბიზნესი, პრაქტიკულად, არ მქონია. თუ არ ჩავთვლით ბანკ „ქართუს“, რომელიც ქვეყნის დასახმარებლად გავხსენი და საინვესტიციო ბანკად იყო ჩაფიქრებული“.* – ბიძინა ივანიშვილი, 2012 წელი.[1]

ამ წიგნის წინა ვერსიის გამოსვლიდან სულ რაღაც 6 წელი გავიდა. თუმცა, პოლ რიმპლის „Who Owned Georgia 2003 – 2012“ სულ სხვა პერსონაჟებისგან შედგება. აი, მაგალითად, ის წინა წიგნი რამდენიმე ჭორის აღწერით იწყება, რომლებიც „დათოს შოკოლადს“ და „ვანოს შოკოლადს“ შეეხებოდა. (იგულისხმება, ცხადია ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი).

პოლ რიმპლის წიგნი საქართველოსთვის ერთ-ერთ გარდამავალ პერიოდში დაიბეჭდა. არეული დრო იყო. არჩევნები ახლოვდებოდა. ქუჩაში ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ ათასობით და ზოგჯერ ათიათასობით ადამიანი იყო გამოსული. აქციების უშუალო კატალიზატორი „ციხის კადრების“ სკანდალი იყო, თუმცა უკმაყოფილების ფონი უფრო ადრე, რამდენიმე წლის განმავლობაში იქმნებოდა და მას, სხვებს შორის, წიგნის სათაურში დასმული შეკითხვაც ქმნიდა – ვის ეკუთვნის საქართველო?

ამ შეკითხვაზე არც მაშინ იყო მარტივი პასუხის გაცემა. ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ, როგორც პოლ რიმპლი წერს, „მართალია, მთავრობამ ბევრი გააკეთა კონტრაქტებისა და გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად, ბევრი რამ მაინც სპინის, საკანონმდებლო ლაბირინთებისა და შუამავალი კომპანიების უკანაა დამალული“.[2]

---

1 Geonews.ge, „რევაზ საყევარიშვილის ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან,“ 2012, http://geonews.ge/news/story/25885-revaz-sayevarishvili (ნანახია 2019 წლის აპრილში)

2 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „ვის ეკუთვნოდა საქართველო (2003-2012),“ დეკემბერი 18, 2012, https://www.transparency.ge/ge/post/vin-plobda-sakartvelos-2003-2012

პერსონაჟები შეიცვალნენ, მაგრამ პრობლემა იგივე დარჩა ან, ზოგ შემთხვევაში, გაუარესდა კიდეც.

არადა, 2012 წელს, წლის ისტორიული არჩევნების წინ ხშირად გაიგონებდით, რომ ესა თუ ის ადამიანი იმიტომ უჭერდა მხარს „ქართულ ოცნებას“, და მის ლიდერს, ჯერ კიდევ ოპოზიციის ლიდერ მილიარდერს, ბიძინა ივანიშვილს, რომ ის უკვე ძალიან, ძალიან მდიდარი იყო. ანუ, ლოგიკა ასეთია – „ცხადია, ახალმოსული პოლიტიკოსი მაშინვე საკუთარი თავის და ნათესავების გამდიდრებას მოინდომებს. ბიძინას კი ეს არ სჭირდება და, რადგან მას აქამდე საქართველოში ფული მხოლოდ ქველმოქმედებისთვის გამოუყენებია, ბუნებრივია, რომ ასეც გააგრძელებს“...

თავად ბიძინა ივანიშვილის იმდროინდელი ხედვა ყველაზე კარგად ალბათ ჟურნალ „ფორბსის“ ვრცელ ინტერვიუში გამოჩნდა. მაშინ ის ჯერ კიდევ ოპოზიციური კოალიციის ლიდერი იყო და არც მასთან ინტერვიუს გამოქვეყნება იყო უსაფრთხო. „ფორბსის“ ინტერვიუს თან ახლდა იმ გარდამავალი დროისთვის დამახასიათებელი დაპირისპირებაც. ინტერვიუს ავტორმა, ჟურნალის მაშინდელმა რედაქტორმა რევაზ საყევარიშვილმა პოსტი დატოვა და განაცხადა, რომ პოლიტიკური ცენზურის მსხვერპლი იყო და რომ „ფორბსის“ მფლობელი ინტერვიუს შეგნებულად დამახინჯებული ვერსიის გამოქვეყნებას აპირებდა. [3] თავად ჟურნალის მფლობელმა, თავის მხრივ, რევაზ საყევარიშვილი პლაგიატში დაადანაშაულა (რანაირად შეილება ინტერვიუ პლაგიატი იყოს? მფლობელი ამტკიცებდა, რედაქტორმა კითხვები მოიპარა რამდენიმე წლით ადრე გამოქვეყნებული რუსულენოვანი ინტერვიუდანო).[4]

---

3 რადიო თავისუფლება, „რევაზ საყევარიშვილი Forbes Georgia-ს ივანიშვილთან ინტერვიუს დამახინჯებაში ადანაშაულებს,“ აპრილი 06, 2012, https://www.radiotavisupleba.ge/a/24539865.html

4 რადიო თავისუფლება, „Media Partners-ი რევაზ საყევარიშვილს პლაგიატში ადანაშაულებს,“ მარტი 28, 2012, https://www.radiotavisupleba.ge/a/24530119.html

მაშინდელი ბრალდებები და კონტრბრალდებები დღეს მნიშვნელოვანი აღარ არის. მაგრამ, თავად ინტერვიუ, რომლის სრული ვერსიაც შემდეგ რევაზ საყევარიშვილმა ინტერნეტით გაავრცელა, შეიძლება დღევანდელი გადმოსახედიდან უფრო საინტერესო იყოს, ვიდრე მაშინ იყო.

მაგალითად, ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილი მსჯელობს, თუ რა სფეროებში ინვესტირება იქნებოდა უფრო მომგებიანი საქართველოსთვისაც და ინვესტორისთვისაც. პირველ რიგში, „სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და განათლებაშიო.“[5] ის ასევე ახსენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა პოლიტიკოსისთვის, რომელიც, ამავე დროს, უზარმაზარ ქონებას ფლობს.

ბიძინა ივანიშვილი ინტერვიუს დასაწყისშივე ამბობს, რომ საქართველოში ბიზნეს-ინტერესები აქამდე არ ჰქონია და რომ ის მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. მისივე სიტყვებიდან ჩანს, რომ ის ცოტა ნანობს კიდეც ამას – ახსენებს, სამუშაო ადგილების შექმნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფულადი დახმარებაო.

მას შემდეგ 6 წელი გავიდა და ვითარებაც ძირეულადაა შეცვლილი. ბიძინა ივანიშვილი ალბათ ვეღარ იტყვის, რომ საქართველოში ბიზნეს-ინტერესები არა აქვს. „ალბათ“ იმიტომ, რომ რთული სათქმელია, თუ რომელი წამოწყებაა მისთვის „მხოლოდ“ ბიზნესი – შემოსავლის წყარო, რომელია – პირადი ინტერესების თუ ამბიციების დაკმაყოფილების საშუალება, რომლის მიზანია ქველმოქმედება და რომლის – პოლიტიკური გავლენის მოპოვება თუ შენარჩუნება.

დავიწყოთ იმით, რომ შეუძლებელია დაადგინო, თუ ზუსტად რა ქონებას ფლობს საქართველოს უმდიდრესი ადა-

5 Geonews.ge, „რევაზ საყევარიშვილის ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან,“ 2012, http://geonews.ge/news/story/25885-revaz-sayevarishvili (ნანახია 2019 წლის აპრილში)

მიანი (საქართველოში ის, სავარაუდოდ, ერთადერთი მილიარდერია. სხვადასხვა მედია წყაროების თანახმად, მსოფლიოში რამდენიმე მილიარდერია, რომელიც წარმოშობით საქართველოდანაა, თუმცა, ზოგი უკრაინაში საქმიანობს, ზოგი ამერიკაში, ზოგიც – რუსეთში.)[6] . თავისთავად უცნაური ამაში არაფერია – ამ მასშტაბის სიმდიდრის მფლობელი ნებისმიერი ადამიანის ქონების განსაზღვრა ურთულესი საქმეა. მათ შეიძლება თავად არ იცოდნენ, მაგალითად, თუ რა აქციებს ფლობენ მოცემულ მომენტში – აქციების პორტფელის შეძენისა და გაყიდვის გადაწყვეტილებებს ხშირად მათ მიერ დაქირავებული ადამიანები დამოუკიდებლად იღებენ ხოლმე.

ამას ემატება ისიც, რომ არც ბიძინა ივანიშვილის საჯაროდ გაცხადებული ქონების დათვლაა ადვილი. ზოგიერთი კომპანია თავად ბიძინა ივანიშვილის ან მისი ოჯახის უახლოესი წევრის სახელზეა გაფორმებული. ზოგის მფლობელი კი ან უფრო შორეული ნათესავია, ან კი – ადამიანი, რომელიც მასთან აფილირებულად მოიაზრება. ამ შემთხვევაში რთულია ხოლმე გადაჭრით მტკიცება ვინაა მფლობელი – ოფიციალური მესაკუთრე თუ ბიძინა ივანიშვილი.

კიდევ უფრო რთულია იცოდე, თუ ვინ არის ამ კომპანიებში გადაწყვეტილებების მიმღები – მისი უშუალო მესაკუთრე, ბიძინა ივანიშვილი თუ – ხან როგორ, ხან – როგორ.

* * *

ბევრ კომპანიას ბიძინა ივანიშვილთან მხოლოდ ოფიციალური რეგისტრაციის მისამართი აკავშირებს: „საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №39ა.“ ამ მისამართზე მდებარე თოთხმეტსართულიანი შენობა „ქართუ ჯგუფს“ ეკუთვნის. სწორედ აქაა და-

6 Bpn.ge, „5 უმდიდრესი ქართველი კაცი,“ დეკემბერი 9, 2014, https://bit.ly/2oQ1CmF

რეგისტრირებული ბევრი კომპანია, რომელიც შემდეგ ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ „ქართუ ჯგუფის“ ცნობით, შენობა იჯარითაა გაცემული სხვადასხვა იურიდიულ პირზე. ასე, რომ, თეორიულად, შეიძლება აქ დარეგისტრირებულ კომპანიას არაფერი ქონდეს საერთო ბიძინა ივანიშვილთან. თუმცა, ზოგიერთ კომპანიაში ჩაძიების შედეგად მასთან უამრავი ირიბი კავშირის დადგენაა შესაძლებელი.

მართლაც, ამ წიგნში დასახელებული კომპანიების ნაწილი პირდაპირ არ არის დაკავშირებული ბიძინა ივანიშვილთან. მათ, ხშირ შემთხვევაში, რომელიმე სააქციო საზოგადოება ფლობს, რომლის მფლობელი, თავის მხრივ, ოფშორში დარეგისტრირებული სხვა ორგანიზაციაა, რომელიც ან „ქართუს“ მისამართზეა დარეგისტრირებული, ან კი „ქართუსთან“ აფილირებული ადამიანის მიერაა მართული.

წიგნში მოყვანილი ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ღია, საჯარო წყაროებიდან არის მოპოვებული. ზოგი პასაჟი არც რაიმე უკანონობას შეეხება და, შეიძლება, ზოგისთვის არც მორალურად იყოს გასაკიცხი.

თუმცა, ჩნდება კითხვები. და როდესაც საქართველოს უმდიდრესი ადამიანი ამავე დროს პოლიტიკურად ყველაზე გავლენიანიც არის, ღიაობა და გამჭვირვალობა აუცილებელია იმისდა მიუხედავად, თუ რა თანამდებობა უჭირავს მოცემულ მომენტში.

ბიძინა ივანიშვილი იმ ინტერვიუში ამბობს: „მთელი ქონება გამჭვირვალე მქონდა და მაქვს. ამ მხრივ არანაირი დაფარული პოზიცია არ მქონიაო“. მის წარსულზე აქ ვერაფერს ვიტყვით, თუმცა დღეს მასთან დაკავშირებული აქტივები ბუნდოვანებით არის მოცული. მოდი, დავიწყოთ ქალაქის ცენტრში, გმირთა მოედანთან მდებარე სპორტული კომპლექსის – ლაგუნა ვერეს ისტორიით.

* * *

თბილისის შუაგულში, გმირთა მოედანთან მდებარე (ოფიციალური მისამართია მერაბ კოსტავას 1 შესახვევი, 34) სპორტკომპლექსი „ლაგუნა ვერე“ დღეს ზომბი აპოკალიფსის შესახებ გადაღებული ჰოლივუდური ფილმის დეკორაციას გავს. ადგილს ეტყობა, რომ ერთ დროს ის სიცოცხლით იყო სავსე, მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, დღეს ტრიბუნები დრომ და უპატრონობამ ჩამოატყავა. აუზი მიწით და ბალახითაა დაფარული. ისედაც გაუბედურებული კომპლექსი 2015 წლის 13 ივნისს მოვარდნილმა წყალმა კიდევ უფრო მოსპო.

არადა, ერთ დროს „ლაგუნა ვერე“ თბილისის ერთ-ერთი მთავარი ადგილი იყო. 1978 წლიდან მოყოლებული იქ ცხოვრება დუღდა – წყალბურთელები ვარჯიშობდნენ, ბავშვები ცურვას სწავლობდნენ, თბილისელები ქალაქის ხვატს თავს აფარებდნენ... [7]

„ლაგუნა“ ერთ-ერთი ადგილთაგანია, რომელზეც „ყველამ იცის“, რომ ის ბიძინა ივანიშვილს აქვს ნაყიდი. „დააცადეთ მაგ კაცს. რემონტს დრო სჭირდება. გააკეთებს და ისეთი გახდება, როგორიც ევროპაშია ხოლმეო“ – მითხრა ჩემი შვილის მეგობრის დედამ, როდესაც ბავშვების ტანვარჯიშის გაკვეთილის დასრულებას ველოდით (ტანვარჯიშის ფედერაცია ზუსტად გაუქმებული სპორტკომპლექსის გვერდით მდებარეობს).

თუმცა, საუბარში სხვა ბავშვის მშობელი ჩაერია, რომელმაც თქვა – დანამდვილებით ვიცი, „ლაგუნას“ დაანგრევენ და მის ადგილას მრავალსართულიან ელიტურ კორპუსებს წამოჭიმავენო.

---

7 Bpn.ge, „ლაგუნა ვერეს“ ბედი ისევ გაურკვეველია – რატომ უარყოფენ ფონდ „ქართუსა“ და „ქართუ ჯგუფში“ კომპლექსის საკუთრებაში არსებობას,“ მაისი 3, 2018, https://bit.ly/2BuUxKY

შეიძლება ერთია მართალია, შეიძლება მეორე. თუმცა, „ლაგუნა ვერეს“ ბედი დანამდვილებით არავინ იცის. ის კი არა, მიუხედავად „საყოველთაო ცოდნისა“, არც მისი მფლობელის შესახებ შეუძლია რამის გადაჭრით თქმა.

აი, ნახეთ:

„ლაგუნა“ 2013 წლის 28 დეკემბერს დაიხურა. თითქოს დროებით, სარემონტოდ. „დააწყნარეთ ეს ხალხი, რომ არც ისე ცუდადაა საქმეო“ – ამბობდა დახურვიდან რამდენიმე თვის შემდეგ კომპლექსის გენერალური დირექტორი დავით ჩხეტიანი – „ზოგიერთი დარჩა დროებით უმუშევარი, რადგან თანამშრომლებთან ხელშეკრულება წლიდან წლამდე იდებოდა და ჩვენ არ შეგვიძლია უშრომლად გადაუხადოთ მათ ხელფასი, ამიტომ უხელფასო შვებულებაში გავუშვით გარკვეული პერიოდიო“. [8]

აუზის მალე გახსნას ვარაუდობდა „ვერსიასთან“ საუბარში „ლაგუნა ვერეს“ ტექნიკური დირექტორი დავით ბედოიძეც. მან ასე თქვა: არ დავხურულვართ, 20 თებერვალს უნდა გავხსნილიყავით  და წყალგაყვანილობის პრობლემამ შეგვიშალა ხელი. ახლა სამუშაოები დასრულებულია და, შეიძლება, ერთ კვირაშიც გავიხსნათო. [9] ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ერთ კვირაც გავიდა და 5 წელზე მეტიც...

კომპლექსის 300-მდე თანამშრომლისთვის უმუშევრად დარჩენას გაურკვევლობა დაემატა. უცნობი იყო, რატომ დაიკეტა „ლაგუნა“, ვისი იყო და რა ბედი ეწეოდა მას.

გაურკვევლობას ამძაფრებდა ისიც, რომ სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელობა რამდენჯერმე შეიცვალა –

---

8 ნეტგაზეთი, „რატომ არ ფუნქციონირებს „ლაგუნა ვერე,“ მარტი 5, 2014, http://netgazeti.ge/business/29911/

9 Versia.ge, „ექსკლუზიური ინტერვიუ ლაგუნა ვერეს მფლობელი კომპანიის დირექტორთან,“ ივლისი 31, 2013, https://bit.ly/2W3aZLL  (ნანახია 2019 წლის აპრილში)

ზოგი აღმასრულებელი გამოაკლდა, ზოგმა კი – როლები გაცვალა.

2013 წლის 24 სექტემბრის ამონაწერით აღმასრულებელი დირექტორი ვეფხვია ხუნძაკიშვილი, დირექტორები კი ვლადიმერ გოიაშვილი და დავით ბედოიძე იყვნენ.

2014 წლის 24 თებერვალს დირექტორის პოსტს ვლადიმერ გოიაშვილი და დავით ბედოიძე იკავებდნენ; აღმასრულებელი დირექტორისას კი – დავით ჩხეტიანი.

2014 წლის 19 მაისის ამონაწერით, ლაგუნა ვერეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მირიან მჭედლიშვილი, მისი მოადგილე გიორგი დვალაძე, ხოლო წევრი დომენტი გოლეთიანი იყვნენ.

იმავე წლის 10 დეკემბერს კი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უკვე გიორგი ჯანელიძე გახდა, წევრები კი გიორგი დვალაძე და დომენტი გოლეთიანი იყვნენ. ამასთან, დირექტორის პოსტს ვლადიმერ გოიაშვილი და აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას კი დავით ჩხეტიანი იკავებდნენ.

2014 წლის 15 დეკემბრიდან სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელობაში მოვიდნენ: გიორგი ჯანელიძე, გიორგი ქსოვრელი, გელა კობერიძე, დავით ჩხეტიანი, ვლადიმერ გოიაშვილი.[10]

რატომაა მნიშნელოვანი ცნობები ხელმძღვანელობის ცვლილების შესახებ? რატომ და, იმის საილუსტრაციოდ, რომ „ლაგუნა ვერე“ არავის მიუტოვებია. როდესაც ბეტონის კედელებს და საცურაო აუზს ხავსი ედებოდა, მის გარშემო უხილავი პროცესები მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

10 Bpn.ge, „ლაგუნა ვერეს“ ბედი ისევ გაურკვეველია – რატომ უარყოფენ ფონდ „ქართუსა“ და „ქართუ ჯგუფში“ კომპლექსის საკუთრებაში არსებობას,“ მაისი 3, 2018, https://bit.ly/2BuUxKY

ზუსტად  რა პროცესებია ეს, გარეშე დამკვირვებლისთვის რთული განსასაზღვრია. ხელმძღვანელობა იცვლებოდა, მაგრამ გაუგებარია რისთვის – ლაგუნას ხელმძღვანელობის კვალიც არ ეტყობა და ადგილსაც პარტახის გარდა არაფერი შემატებია.

რა შუაშია აქ ბიძინა ივანიშვილი და „ქართუ“?

ის, რომ „ლაგუნა ბიძინასია“ ერთ-ერთი „საყოველთაოდ ცნობილი“ ფაქტია საქართველოში. სპორტკომპლექსის შენობა ჯერ გაყიდულიც არ იყო, რომ მისი თანამშრომლები (რომლებიც სულ ცოტა ხანში ყოფილი თანამშრომლები გახდნენ) თავიდანვე აცხადებდნენ, რომ სპორტკომლექსს ახლა „ფონდი ქართუ“ განკარგავდა. ამას უარყოფდა დავით ჩხეტიანიც და თავად „ფონდი ქართუც“ – მათ თავის დროზე „ნეტგაზეთს“ განუცხადეს, „ლაგუნა ვერესთან არანაირი შეხება არა გვაქვსო.“ [11]

ერთი შეხედვით ეს მართლაც ასეა – ოფიციალურ დოკუმენტაციაში „ქართუს“ სახელი არსად ფიგურირებს. თუმცა, საკმარისია ძაფს ოდნავ ღრმად მიჰყვე და არაერთ კომპანიას თუ ადამიანს აღმოაჩენ, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულ ქსელს ქმნიან. ქსელს, რომლის ცენტრშიც ჭავჭავაძის 39ა-ში მდებარე „ქართუ ჯგუფის“ ოფისი დგას.

დავიწყოთ იქიდან, რომ, სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, 2007 წლის 29 ივნისს „სპორტული კომპლექს ლაგუნა ვერეს“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება სწორედ ამ შენობის მე- 14 სართულზე ჩატარდა.[12]

ამას დავამატოთ ისიც, რომ სს „სპორტული კომპლექსი ლაგუნა ვერეს“ აღმასრულებელი დირექტორი ჩვენს მიერ

---

11 ნეტგაზეთი, „რატომ არ ფუნქციონირებს „ლაგუნა ვერე,“ მარტი 5, 2014, http://netgazeti.ge/business/29911/

12 ლიბერალი, “ვინ ფლობს „ლაგუნა ვერეს,“ მარტი 28 , 2014, https://bit.ly/2MAiQgJ

უკვე ნახსენები დავით ჩხეტიანია. ამ კომპანიის 99 პროცენტიან წილს კი სს „იუნიონი“ ფლობს. სს „იუნიონის“ დირექტორი, თავის მხრივ ეკატერინე ბოლქვაძეა, რომელიც ასევე დირექტორია კომპანიებისა სს „ინტერ-ინვესტი“ და სს „აისი“, რომელთა იურიდიული მისამართი იგივეა რაც სს „ქართუ ბანკის“ და სს „ქართუ ჯგუფის“ იურიდიული მისამართები.[13]

მანამდე „იუნიონის“ დირექტორი როინ მოცრაძე იყო, რომელიც ამავე დროს შპს „ინტერ-სერვისის“ დირექტორიც გახლდათ. სტუდია „მონიტორის“ ერთ-ერთმა ჟურნალისტურმა გამოძიებამ მაშინ „იუნიონი“ ბიძინა ივანიშვილის სახელთან დააკავშირა იმით, რომ სწორედ ამ კომპანიას გადაეცა პირდაპირი მიყიდვით ბანკ „ქართუს“ შენობის უკან მდებარე წყნეთის ხევის ტერიტორია 2008 წლის იანვარში.[14]

მეორე კომპანია, „ინტერ-სერვისის“ სახელი ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრის მშენებლობის პროცესში ფიგურირებდა. 2008 წელს ამ კომპანიამ არსებობა შეწყვიტა და რეორგანიზაციის შედეგად მთლიანად სააქციო საზოგადოება „ქართუს“ შეერწყა.[15]

„ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სასაწყობე კომპლექსი ეკუთვნის შპს „ლიზინგი ოცდამეერთეს“, რომლის დირექტორიც ასევე დავით ჩხეტიანია. შპს „ლიზინგი ოცდამეერთე“ „ქართუ ჯგუფის“ იურიდიულ მისამართზეა დარეგისტრირებული და მის ასპროცენტიან წილს ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული „ფინსეკ ლიმიტედი“ (Finseck Limited) ფლობს[16]. „ფინსეკ ლი-

13 Companyinfo.ge, ეკატერინე ბოლქვაძე, https://www.companyinfo.ge/ka/people/234305

14 სტუდია მონიტორი, „მელაძეების განადგურებული სახლ-კარი,“ თებერვალი 17, 2012, https://www.youtube.com/watch?v=NFkpNjLQ3vo

15 ლიბერალი, “ვინ ფლობს „ლაგუნა ვერეს,“ მარტი 28 , 2014, https://bit.ly/2MAiQgJ

16 Companyinfo.ge, კომპანია ფინსეკ ლიმიტედი, http://www.companyinfo.ge/ka/people/105733

მიტედი“ კი  ბიძინა ივანიშვილთან და „ქართუსთან“ აფილირებული ერთ-ერთი ოფშორული კომპანიაა.

დავით ჩხეტიანი ასევე ხელმძღვანელობს შპს „სანაპირო ხედს“. ამ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი კი ასევე „ქართუსთან“ დაკავშირებული, ოფშორში, პანამაში დარეგისტრირებული კომპანიაა – „ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელ ს.ა.“ (Limestone Finance International SA), რომელიც „ბლექ სი არენას“ ფლობდა.

ცოტა შორს რომ წავიდეთ, დავით ჩხეტიანსა და  ფონდ „ქართუს“ დავით ჩხეტიანის ვაჟი, ნიკოლოზ ჩხეტიანიც აკავშირებს. ნიკოლოზ ჩხეტიანი, სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით, ფონდ „ქართუს“ გამგეობის წევრად და გამგეობის თავმჯდომარედ 2012  წლის 13 თებერვალს დაფიქსირდა, მან ამ პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილი ჩაანაცვლა. 2014 წლის 17 მარტს ნიკოლოზ ჩხეტიანი ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“  აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა.

რა საჭიროა ამ კავშირების აღწერა, თუ ისედაც ყველასთვის ცნობილია, რომ „ლაგუნა ბიძინასია?“ თითქოს ხომ ყველაფერი ცხადია – საცურაო აუზი და მისი მიმდებარე ტერიტორია ყველასთვის ისედაც მილიარდერის სახელთანაა დაკავშირებული.

მაგრამ, ეს კავშირი მხოლოდ ირიბია. „ლაგუნა ვერეს“ ნამდვილი მფლობელის დასადგენად, აი, რამდენი სახელისა და კომპანიის დასახელება დაგვჭირდა. და, ამ ყველაფერის შემდეგაც, თეორიულად მაინც დასაშვებია, რომ ზემოთჩამოთვლილ ფაქტებს ერთმანეთთან კავშირი არა აქვს და „ქართუსთან“ კავშირები უბრალოდ საოცარი დამთხვევების კასკადია. თუმცა, ისიცაა, რომ ამის დაჯერება ყველაზე გულუბრყვილო და დამყოლ ადამიანსაც გაუჭირდება.

თავად დავით ჩხეტიანი „ფონდ ქართუსთან“ კავშირს უარყოფს. მან „სტუდია მონიტორს“ განუცხადა, რომ „არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მის რომელიმე კომპანიას სად აქვს მისამართი,“ და რომ არც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ თავისი შვილი ჯერ ფონდ „ქართუს“ ედგა სათავეში, ახლა კი არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ ხელმძღვანელობს.[17]

რატომ არის მნიშვნელოვანი ამ კავშირების დადგენა? ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს მფლობელის ან მფლობელების დადგენას თუ არაფერი კრიმინალური ან კანონსაწინააღმდეგო აქ არ იკვეთება? ან, რატომ უნდა უარყოფდეს „ქართუ“ „ლაგუნა ვერესთან“ კავშირს? (გარდა იმისა, რომ ფონდის კონკრეტულმა თანამშრომელმა მართლაც შეიძლება არ იცოდეს, რა კავშირი აქვს „ქართუს“ სპორტულ კომპლექსთან).

პირველ რიგში, ეს პასუხისმგებლობის საკითხია. „ლაგუნა ვერე“ უბრალო სივრცე არ არის – ის თბილისის ისტორიული  მეხსიერებაცაა. გარდა იმისა, რომ აქ სპორტსმენების არაერთი თაობა აღზრდილა, აუზს არასპორტსმენი თბილისელებიც ხშირად სტუმრობდნენ. კომპლექსი მაშინაც ხალხით იყო გადაჭედილი, როდესაც ქალაქში რამდენიმე ბევრად უფრო კეთილმოწყობილი ალტერნატივა გაჩნდა – ხელსაყრელი მდგომარეობის და ფასის გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ – ბევრი თბილისელისთვის სულ ერთი არ არის, აქ აუზი იქნება თუ – მაღალსართულიანი კორპუსები ჩაიდგმება – შესაბამისად, პოლიტიკოსისთვის შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს, თუ მისი სახელი არამომგებიან ნაბიჯს არ დაუკავშირდება.

ისიც უნდა ითქვას, რომ „ჩვეულებრივ ბიზნესმენს“ შეიძლება სხვანაირად მოეთხოვოს პასუხი აქ მომუშავე სამასა-

17 ლიბერალი, “ვინ ფლობს ლაგუნა ვერეს,“ მარტი 28 , 2014, https://bit.ly/2MAiQgJ

მდე ადამიანის უმუშევრად დატოვებისათვის. ეს არც ღიად მოქმედ პოლიტიკურ ფიგურას წარმოაჩენს კარგად ამომრჩევლის თვალში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მესვეურებმა შეიძლება სხვანაირი პასუხი მოთხოვონ „უბრალო“ მფლობელს, რომელიც წლების განმავლობაში უპატრონობით ანადგურებს ქალაქის ცენტრში მდებარე მნიშვნელოვან შენობას. ხოლო, მაშინ, როდესაც საქმე ბატონ ბიძინას შეეხება, ხოლმე, ოფიციალურ პირებს შეკითხვები არ უჩნდებათ. პირიქით.

ის, რომ ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს ხელისუფლების ყველა რგოლში სათუთად უფრთხილდებიან, ასევე „ყველასთვისაა ცნობილი“. რამდენად შეესაბამება ეს რეალობას?

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება მაშინ, როდესაც საქმე ღიად შეეხება ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს, 2016 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღსა და მის მიმდებარე რამდენიმე მიწის ნაკვეთის განკარგვის საკითხი განვიხილოთ.

## როგორ წყდება, ვის რა ეკუთვნის?

*„ბოტანიკური ბაღის საზღვრების კორექტირება მოხდა კანონის სრული დაცვით. წითელი ხაზების კორექტირების შედეგად, 4 ჰექტარი მიიღო ბოტანიკურმა ბაღმა. სანაცვლოდ, კომპანია ფინსერვისს აქ არსებული 4 ჰა ტერიტორია გადაეცა.“* თბილისის მერი დავით ნარმანია, 2016 წელი. [18]

2016 წლის აპრილის ბოლოს, თბილისის ხელისუფლების თანხმობით, ბოტანიკურ ბაღსა და მის მიმდებარე არსებული მიწის ნაკვეთები გაიცვალა. ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა კომპანია „ფინსერვისი XXI-მ“ (რომელიც 2007 წლიდან ფლობდა 10 ჰექტარის ფართობის ნაკვეთს ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ) ბოტანიკურ ბაღს გადასცა 4 ჰექტარის ფართობის ნაკვეთი, სანაცვლოდ კი მიიღო იმავე სიდიდის ტერიტორია, რომელიც მანამდე ბოტანიკური ბაღის ნაწილი იყო.[19]

ერთი შეხედვით თითქოს არაფერი დაშავებულა. მაგრამ, მოვლენების განვითარებას თუ მივყვებით, უამრავ საეჭვო გარემოებას აღმოვაჩენთ. აი, მივყვეთ.

თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტომ აუქციონზე საპრივატიზაციოდ გამოიტანა ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, სარეკრეაციო ზონაში არსებული 29 ჰექტარის ფართობის მიწის ნაკვეთი. პრივატიზაციის პირობა შესყიდულ ნაკვეთზე არანაკლებ 80-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა იყო[20].

---

18 ნეტგაზეთი, „ნარმანია: ბოტანიკური ბაღი ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადაარჩინა,“ მაისი 8, 2016, http://netgazeti.ge/news/112931/

19 ნეტგაზეთი, „ბოტანიკური ბაღის ადმინისტრაციის განმარტებით, მათ 4 ჰექტარი მიწა სხვა ტერიტორიაში გაცვალეს,“ აპრილი 26, 2016, http://netgazeti.ge/news/110366/

20 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო, ლოტი N26 აუქციონი N308, აპრილი 22, 2016, http://auction.tbilisi.gov.ge/Pages/Auctions/Lot.aspx?id=19647

აუქციონში ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დაფუძნებულმა „თანაინვესტირების ფონდმა“ გაიმარჯვა, რომელმაც ნაკვეთი 6 326 495 ლარად შეიძინა.[21]

ამ ოპერაციების შედეგად, ივანიშვილთან დაკავშირებულმა კომპანიებმა მიიღეს კონსოლიდირებული ტერიტორია, რომლის საერთო ფართობი ბევრად აღემატებოდა მათ საკუთრებაში 2016 წლის აპრილამდე არსებული ტერიტორიისას. [22]

არასამთავრობო ორგანიზაციებმა „ტფილისის ჰამქარმა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ მაშინვე განაცხადეს, რომ ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის ნაწილის დათმობის გადაწყვეტილება „მიღებული იქნა გაუმჭვირვალედ და დაინტერესებული ჯგუფების მონაწილეობის გარეშე“ და რომ „არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საზღვრების კორექტირება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალში განხორციელდა,“ რაც კითხვებს ბადებს პროცესის კანონიერებასთან დაკავშირებით.[23] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ კი ბოტანიკურ ბაღში ნაკვეთების განკარგვის პროცესში კორუფციის ნიშნები დაინახა. [24]

რამ გამოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი? ბევრმა რამემ. დავიწყოთ იქიდან, რომ საპრივატიზაციო პროცესი საეჭვოდ მოკლე ვადებში წარიმართა.

---

21 ლიბერალი, „ბოტანიკურ ბაღთან 29 ჰა მიწის ნაკვეთი თანაინვესტირების ფონდმა შეისყიდა,“ მაისი 3, 2016, https://bit.ly/2J9XZyH

22 თბილისი მერია, ბოტანიკური ბაღის რუკა, აპრილი 27, 2016, https://bit.ly/2BB5yKx

23 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საიას და ტფილისის ჰამქარის ერთობლივი განცხადება თბილისის ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით,“ მაისი 28, 2016, https://bit.ly/2VZO5om

24 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „თბილისის ბოტანიკურ ბაღში და მის მიმდებარედ მიწის ნაკვეთების განკარგვის პროცესში კორუფციის ნიშნები იკვეთება“ მაისი 13, 2016, https://bit.ly/2oZ0IUM

თბილისის არქიტექტურის სამსახურის მონაცემთა ბაზაში არსებული დოკუმენტების თანახმად, სასტუმროს მშენებლობის პირობით ბოტანიკური ბაღის მიმდებარე 29 ჰექტარის ფართობის მიწის ნაკვეთის აუქციონზე გატანის პროცესს სათავე დაუდო წერილმა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსმა ნოდარ ჭიჭინაძემ (ახლა ის საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსების და ადმინისტრაციის ბლოკის დირექტორია) თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს უფროსს კარლო ლაფერაძეს 2016 წლის 18 აპრილს მიწერა. [25]

არ გასულა ხუთი დღეც და ნაკვეთი აუქციონზე გამოიტანეს. იმის წარმოსადგენად, თუ რა მოცულობის სამუშაოა ჩასატარებელი ობიექტის აუქციონზე გამოსატანად, მოკლედ აღგიწერთ პროცესს:

ჯერ საკითხი ქონების მართვის სააგენტომ უნდა განიხილოს, შესაბამისი ტერიტორია შეარჩიოს და საკითხი განსახილველად გადააგზავნოს არქიტექტურის სამსახურში.

შემდეგ საკითხი უნდა განიხილოს არქიტექტურის სამსახურმა და ის დამატებითი განხილვისთვის წარუდგინოს ზონალურ საბჭოს. (მოცემულ ზონაში სასტუმროს მშენებლობას სპეციალური ზონალური ნებართვა სჭირდება).

ზონალურმა საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

საკითხი უნდა დაუბრუნდეს ქონების მართვის სააგენტოს, რომელმაც უნდა ჩაატაროს აუქციონის მოსამზადებელი სამუშაოები, რაშიც, სხვა საკითხებთან ერთად, საპრივატიზაციო მიწის საწყისი ფასის განსაზღვრაც შედის.

---

25 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის წერილი #3/97759, აპრილი 18, 2016; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ქონების მართვის სააგენტოს წერილი # 01-8/2550, აპრილი 19, 2016. https://drive.google.com/file/d/0B_mjaQE8wbGwWDd3Ry1HVjhRd3c/view

აქვე აღსანიშნავია, რომ ეს, წესით, უბრალოდ ბიუროკრატიული პროცესი ან უაზრო ფორმალობა არ გახლავთ – რომლის გამარტივება ან გვერდის ავლა თან საქმეს დააჩქარებს და თან არაფერს ავნებს. ცხადია, რომ როდესაც საქმე არა მხოლოდ მსხვილი სახელმწიფო ქონების განკარგვას, არამედ ქალაქის მომავალ იერსახესაც შეეხება, ყველა შესაბამის უწყებას ადეკვატური დრო უნდა ჰქონდეს შესაბამისი პროცედურების ჩასატარებლად. ორშაბათიდან პარასკევამდე ყველა ამ საფეხურის გავლა კი ვერანაირად ჩაითვლება ადეკვატურად.

ქალაქის მომავალ იერსახეს სულ ცოტა ხანში მოვუბრუნდებით. ჯერ დარღვევების და საეჭვო გარემოებების ჩამოთვლას მოვრჩეთ, რომელიც კიდევ ბლომად დარჩა.

თავად აუქციონი სულ 6 სამუშაო დღეში ჩატარდა. სად ეჩქარებოდათ? განა ერთი კვირა საკმარისია, თუ მეტი პოტენციური მყიდველის მოზიდვა და ნაკვეთის მაქსიმალური კონკურენციის პირობებში გასხვისება გინდა?

„სად ეჩქარებოდათ“ თემის გასაგრძელებლად – სარეკრეაციო ზონაში სასტუმროს მშენებლობისთვის აუცილებელია სპეციალური ზონალური ნებართვა. ეს ნებართვა ზონალურმა საბჭომ 21 აპრილს გასცა, არქიტექტურის სამსახურის განაცხადის საფუძველზე. ეს განაცხადი კი ნებართვის ერთიანად გაცემას რამდენიმე ნაკვეთზე გულისხმობდა. ამ ნაკვეთებიდან ორი იმ დროს უკვე ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული კომპანიის საკუთრებაში იყო, ხოლო ერთი – ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაში. ის დაახლოებით ორი კვირის შემდეგ შეიძინა ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულმა კომპანიამ. რას უნდა ნიშნავდეს მსგავსი გადაწყვეტილება, თუ არა იმას, რომ ქალაქის ხელისუფლებამ ნაკვეთის მომავალი მფლობელი ჯერ კიდევ აუქციონის გამოცხადებამდე იცოდა?

როგორ შეეხება მიწების ეს გაცვლა-გამოცვლა „რიგით თბილისელს“. ერთი შეხედვით, ძალიან ტრაგიკული რა არის იმაში რომ ბიძინა ივანიშვილმა მიწის ნაკვეთები თუნდაც დაჩქარებულად, ან ბიუროკრატიული ფორმალობების გვერდის ავლით მიიღო? სხვა თუ არაფერი, როგორც თბილისის მაშინდელი მერი, დავით ნარმანია ამბობდა, „ბოტანიკური ბაღი ბიძინა ივანიშვილმა გადაარჩინა?“[26] ნუთუ არ შეიძლება, რომ მადლიერმა ქალაქმა მისთვის გამონაკლისები დაუშვას?

საქმე იმაშია, რომ საქმე მხოლოდ ბიუროკრატიულ ფორმალობებს არ შეეხება. მსგავსი ნაჩქარევი გადაწყვეტილებები ძირეულად რევს ქალაქის დაგეგმარების პროცესს და, შედეგად, მომავალ თაობებს კიდევ უფრო უსისტემო და უსახურ თბილისს უტოვებს.

აი, ნახეთ:

ზემოთ წერილი ვახსენეთ, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსმა ქონების მართვის სააგენტოს უფროსს გაუგზავნა. სწორედ ამ წერილის საფუძველზე გამოცხადდა აუქციონი. წერილში ნათქვამია, რომ თბილისში მზარდი მოთხოვნა არსებობს სასტუმრო დაწესებულებებზე და რომ „დედაქალაქის მასშტაბით ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება აჩენს ახალ შესაძლებლობებს დეველოპმენტის მიმართულებით.“ იგივე გაიმეორა მოგვიანებით მაშინ თბილისის მერის მოადგილემ, ირაკლი ლექვინაძემაც, რომელმაც 3 მაისის აუქციონის შედეგებზე კომენტირებისას განაცხადა, რომ ახალი გზის მშენებლობა თბილისში ჯერ კიდევ აუთვისებელი ტერიტორიების განვითარების შესაძლებლობას ქმნის.

სჭირდება თუ არა თბილისს აუთვისებელი ტერიტორიების განვითარება? თავად მერია მანამდე ამბობდა – არაო!

---

26 ნეტგაზეთი, „ნარმანია: ბოტანიკური ბაღი ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადაარჩინა,“ მაისი 8, 2016, http://netgazeti.ge/news/112931/

ვიდრე ქალაქის მესვეურები ახალი გზის სიკეთეებზე და „დეველოპმენტის ახალ შესაძლებლობებზე“ დაიწყებდნენ ლაპარაკს, ისინი სულ სხვას ამბობდნენ.

მაგალითად, მერიამ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე გამოაცხადა კონკურსი. გაიმარჯვა წინასაპროექტო ხედვამ (ეს ხედვა საზღვრავს წესით მომავალ გენერალურ გეგმას), სადაც წერია, რომ თბილისი უნდა იყოს „კომპაქტური“ და „რესურსდამზოგავი“ ქალაქი. არ უნდა დაიწყოს განაშენიანების ახალი ცენტრების შექმნა იქ, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის კარგად განვითარებული ქსელები არ არსებობს.

ეს ხედვა თბილისის მერიამ 2015 წელს მოიწონა.

ერთი წლის შემდეგ კი, იმავე შემადგენლობის მერიამ კრწანისი-შინდისის ახალი გზის მიმდებარე, დღემდე აუთვისებელი ტერიტორიების განაშენიანებაზე დაიწყო ლაპარაკი, რაც ამ ხედვას აშკარად ეწინააღმდეგება.

ასე რომ, არა – ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ნაკვეთების გაცვლისას გამოკვეთილი საეჭვო გარემოებები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მადლიერი თბილისის მიერ მისი ბენეფაქტორისთვის ბიუროკრატიული პროცესის გამარტივება. თბილისის ბიუჯეტი, მისი დაგეგმარება და სამომავლო განვითარება თბილისელების დღევანდელ ყოფაზეც აისახება და იმაზეც, თუ სად და რა პირობებში იცხოვრებენ მათი შვილები. მსგავს საკითხებში გამჭვირვალობის ნაკლებობა ყველას აზარალებს.

არადა, ზოგ შემთხვევებში, გამჭვირვალედ არც ის ქმედებებია, რომლებიც საჯაროდ, ყველას დასანახავად ხორციელდება. არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ბიძინა ივანიშვილი თავის დენდროლოგიურ პარკში გიგანტურ ხეებს მიეზიდება. დაფარული ამაში არაფერია – თავად ბიძინა

ივანიშვილი ლაპარაკობს ხეებზე სატელევიზიო ინტერვიუ-ებში.[27]

შემდეგ თავში ამ ხეების ყიდვის და გადატანის გარემო-ებებზე ვილაპარაკებთ. გარემოებებზე, რომლებიც ზოგჯერ ბურუსით არის მოცული არა მხოლოდ მოსახლეობისთვის, არამედ მათთვისაც, ვინც წესით ამ პროცესს უნდა ზედა-მხედველობდეს.

27 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ექსკლუზიური ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან – პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე „აქტუალურ თემაში,“ ივლისი 24, 2018, https://bit.ly/2JRNzkD

## ვინ იცის, ვის რა ეკუთვნის?

*„ამ ახირებაში რა იმალება – ეს ფული, რომელიც არ ღირს, რა თქმა უნდა, იმ ჰარკად, რასაც მე ვაკეთებ, ძალიან ძვირი ჯდება და მხოლოდ ბევრი პირადი ფული იხარჯება იმიტომ, რომ მთლიანად საზოგადოებაში და საქართველოში რჩება.“* ბიძინა ივანიშვილი, 2018 წელი.[28]

ის პირველი კადრები სიზმარს უფრო მოგაგონებდა („ხედავ, ზღვაზე იალქანი როგორ ელტვის შვების საზღვარს“) – მორუხო-მოლურჯო ზეცა, თვალუწვდენელი წყალი და ცარიელი ჰორიზონტი, რომელზეც ციცქნად მოჩანს ბარჟა და მასზე ამაყად წამომართული ვეებერთელა ეული ხე, რომელიც თან ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის დროინდელ მოგონებებს დაატარებს. იმ შორეთში რას ეძებს ნეტავ, ან რა დატოვა მშობელ მხარეში?

რა უნდა ხეს შუაგულ ზღვაში?

ეს ხე – ასწლოვანი, 650-ტონიანი ტიტა – ბუნებრივია, შორეთში თავისით არ აღმოჩენილა. ის ბიძინა ივანიშვილის განკარგულებით გადაჰქონდათ ციხისძირიდან შეკვეთილში.

ალბათ, სწორედ ეს ხე გახდა ბევრი ქართველისთვის ბიძინა ივანიშვილის ძალაუფლების ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება. არა არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება, ან ქართველი პოლიტიკოსების მიერ მის მიმართ გამოთქმული გაუთავებელი დითირამბები... ესენი, ცხადია, შთამბეჭდავია, მაგრამ ახლოსაც ვერ მოვა ეფექტთან, რომელსაც შავ ზღვაში მოცურავე უზარმაზარი ხის პირველად დანახვა იწვევს.

---

28 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ბიძინა ივანიშვილი – მოსახლეობამ 12 მილიონი ლარი მიიღო ნაკვეთებზე ხეების გატარების კომპენსაციად, რასაც ვაკეთებ, მთლიანად საზოგადოებასა და საქართველოში რჩება“ ივლისი 24, 2018, https://bit.ly/32ygdlf

ვეებერთელა ტიტა ბარჟას ოთხი დღის განმავლობაში გადაჰქონდა და ვერ გადაჰქონდა... ოთხი დღის განმავლობაში იდებოდა ინტერნეტში ახალ-ახალი ფოტოები, რომლებსაც შემდეგ მახვილგონივრულ კომენტარებს უწერდნენ. ხის გადატანის ვიდეოს სოციალური ქსელების მომხმარებლები დიდხანს ურჩევდნენ შესაფერის საუნდტრეკს, რომელთაგანაც, ყველაზე მეტად, ალბათ, მაინც დები იშხნელების „არ დაიჯერებ“ მოუხდა.

მართლაც, დაუჯერებელი ჩანდა – რამდენი შეძლებია ადამიანს! ერთი კაცის სიტყვა და საუკუნოვანი უზარმაზარი ხე საცხოვრისს შეიცვლის და ახლა უკვე სხვა ადგილს, სხვა ნიადაგში გააგრძელებს ცხოვრებას!

თუმცა, ხშირად კაცის სიტყვა უძლურია ბუნებასთან. თუნდაც ეს სიტყვა ყოვლისშემძლე მილიარდერს ეკუთვნოდეს.

ხის მოგზაურობა რთული და თავგადასავლებით აღსავსე აღმოჩნდა. ტიტა ჯერ ნაპირზე ვერ გადაჰქონდათ – მის გადასატანად შეკვეთილის სანაპიროდან დანიშნულების ადგილამდე ბეტონის ფილები დააგეს. დღე და ღამე მუშაობდნენ, მაგრამ მაინც ორი დღე დასჭირდა.

მარტო ფილების დაგება საკმარისი არ აღმოჩნდა. ხის გადატანისას რამდენიმე საათით ჩახსნეს სარკინიგზო მაგისტრალის ელექტროგადამცემი ხაზები. ბათუმი-ქობულეთის გზაზე კილომეტრიანი საცობი გაჩნდა. ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანების ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა...[29] ხის გზაზე გასატარებლად ბობოყვათში საჭირო გახდა ასწლოვანი ევკალიპტების გაჩეხვა – იქვე დაყრილი მოჭრილი ტოტები შემდეგ მოსახლეობამ გაზიდა სახლებში.[30]

---

29 რუსთავი 2, „ივანიშვილისთვის ხის გადატანის გამო სარკინიგზო მაგისტრალის ელექტროგადამცემი ხაზები ჩახსნეს,“ იანვარი 13, 2017, http://rustavi2.ge/ka/news/65466

30 აჭარის ტელევიზია, „მაგნოლიას გადატანა,“ http://ajaratv.ge/news/ge/10169/magnolias-gadatana.html (ნანახია 2019 წლის აპრილში)

და ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, ამაოდ. „გურიის მოამბის“ ცნობით, ხემ მგზავრობა მაინც ვერ გადაიტანა. ადგილობრივებმა გამოცემას უთხრეს, ხეს საუკეთესო „ექიმები“ დაახვიეს, მაგრამ ვერ გადაარჩინეს. მრავლისმნახველი ტიტა გახმა და რამდენიმე დღეში მოჭრეს. [31]

პირველმა შოკმა გადაიარა და დღეს მოგზაური ხეები აღარავის უკვირს. მათი უმეტესობა ხმელეთით გადააქვთ, მაგრამ ზოგჯერ რომელიმე გიგანტი კვლავაც გაჭრის ხოლმე შავი ზღვის ჰორიზონტს. ჩვეულებრივი ამბავია. ინტერნეტშიც იშვიათად ნახავთ ახალ მიმებს. გაცვდა ხუმრობა. მხოლოდ „რუსთავი 2-ის“ იუმორისტული გადაცემები და გიორგი გაბუნია ახსენებენ ხოლმე ხეების გადატანას მეტ-ნაკლები პერიოდულობით.

ერთი შეხედვით, ეს ასეც უნდა იყოს. ზღვაში მოცურავე ხე შთამბეჭდავია, მაგრამ, განა ამით ვინმეს რამეს უშავდება? კანონი ირღვევა? მილიარდერს უნდა და შეუძლია გიგანტური ხეების გადარგვა – მერე?

თავად ბიძინა ივანიშვილმაც, „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა – შეიძლება ხეებით ჩემი გატაცება ახირება იყოს, მაგრამ ამით ქვეყანა და იქ მცხოვრები მოსახლეობა მხოლოდ ხეირობსო. „ვერ დამისახელებთ ვერც ერთ მინუსს. ერთი პატარა მინუსი, რაც შეიძლება დავასახელოთ არის ის, რომ გარკვეულ დროს, რამდენჯერმე 5-10 წუთიანი, მაქსიმუმ 15-წუთიანი საცობი წარმოიქმნა“. – უთხრა ბიძინა ივანიშვილმა მაკა ცინცაძეს. [32]

---

31 გურიის მოამბე, „ასწლოვანი ტიტა გახმა, ხე, რომელმაც ზღვაში პირველმა იმოგზაურა, მოჭრეს (ექსკლუზივი),“ ივნისი 15, 2017, http://guriismoambe.com/index.php?m=105&news_id=25078

32 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ბიძინა ივანიშვილი – მოსახლეობამ 12 მილიონი ლარი მიიღო ნაკვეთებზე ხეების გატარების კომპენსაციად, რასაც ვაკეთებ, მთლიანად საზოგადოებასა და საქართველოში რჩება,“ ივლისი 24, 2018, https://bit.ly/32ygdlf

არადა, ხშირად ამ ხეების ყიდვის და გადატანის გარემოებები ბურუსით არის მოცული არა მხოლოდ მოსახლეობისთვის, არამედ იმ სტრუქტურებისთვისაც, ვისაც წესით ამაზე ზედამხედველობა ევალება.

ყველამ იცის, რომ ხეები ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით გადააქვთ. სამაგიეროდ, ბევრ შემთხვევებში არავინ იცის, თუ რამდენადაა ეს გადატანები კანონთან შესაბამისობაში, ვინ გასცა ნებართვა, ვისი იყო მანამდე...

ზოგჯერ შეიძლება არც იმაში იყოს საქმე, რომ რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურა რამეს შეგნებულად მალავდეს – კონკრეტული დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას არ გასცემდეს ან ამ დოკუმენტის გაცემის პროცესს აჭიანურებდეს. არა. სახელმწიფო სტრუქტურამ თავადაც არ იცის, თუ რა ხდება იმ სფეროში, რომლის კონტროლიც, წესით, მას უნდა ევალებოდეს.

ხშირად, როდესაც საქმე ბიძინა ივანიშვილის ქონებას ან მის გადაწყვეტილებებს შეეხება, რთული გასარკვევია, ვის უნდა მოთხოვო გამჭვირვალობა.

* * *

დენდროლოგიური პარკის გაშენება ბიძინა ივანიშვილის აგარაკთან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, წვერმაღალასა და შეკვეთილის ტერიტორიაზე, 2016 წელს დაიწყო.

პარკის მშენებლობის დაწყებიდან ერთ წელიწადში „ქართუ ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი გიორგი უძილაური ამბობდა, რომ სულ პარკში 60-მდე ხის გადარგვა იგეგმებოდა, რომელთა 95% კერძო პირებისგან იყო შეძენილი, დანარჩენი კი – სახელმწიფოსგან. თუმცა, მას ამ ინტერვიუშივე ეტყობოდა, რომ თავადაც ბოლომდე არ იცოდა, თუ რას ამბობდა. მაგალითად, არ იცოდა, თუ რა ფართობი ექნებოდა პარკს – „ძალიან რთულია

წინასწარ თქმა. შეიძლება, გაიზარდოს და დაემატოს სხვა კომპონენტები. ჯერ რამდენიმე ჰექტარზეა ლაპარაკიო“ – უთხრა მან „ლიბერალს“. [33]

2018 წლის გაზაფხულისთვის, „იმედის კვირის“ ცნობით, პარკში უკვე ასამდე ხე იყო გადარგული. პარკი ოთხნახევარი ჰექტარია და წესით მისი მშენებელობა 2019 წლისთვის დასრულდებაო. „იმედის კვირის“ ამ სიუჟეტში, რომელიც მაყურებლისთვის დენდროლოგიური პარკის სიკეთეებს აჩვენებდა, ნახსენები იყო „ასწლოვანი ხეები, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზით და სხვადასხვა ადგილიდან გადაიტანეს.“[34] გასაოცარი კონკრეტიკაა. თუმცა, კონკრეტული დრო, გზა და ადგილი ძალიან რთული დასადგენია. ზოგჯერ ეს ხის მეპატრონემაც არ იცის – მაშინაც კი, როდესაც მეპატრონე სახელმწიფოა და ხეები სახელმწიფო მნიშვნელობის გზის გვერდით იჭრება.

აი, მაგალითად: 2018 წლის მარტში „ბათუმელებს“ აცნობეს, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის გზის, ბათუმი-ქობულეთის მონაკვეთის გასწვრივ, ორ ადგილზე ხეებს თხრიდნენ. ერთგან ხე კერძო კომპანიის საკუთრებაში მყოფ მიწაზე იდგა. მეორე ადგილზე კი – სახელმწიფო საკუთრებაში.[35]

ალბათ განსაკუთრებული ახსნა არ უნდა, რომ სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე ფერდობის გადათხრას და იქ გზის გაყვანას, შემდეგ კი ამ ტერიტორიიდან სახელმწიფო ქონების (ხის) გატანას შესაბამისი ნებართვა უნდა სჭირდებოდეს. არადა, როგორც აღმოჩნდა, ნებართვა კი არა,

---

33 ლიბერალი, „რა ვიცით ბიძინა ივანიშვილის დენდროლოგიური პარკის შესახებ,“ აპრილი 04, 2017, https://bit.ly/2MvwH7U

34 იმედი, „ექსკლუზიური რეპორტაჟი დენდროლოგიური პარკიდან,“ აპრილი 15, 2018, https://www.imedi.ge/ge/video/23168/eqskluziuri-reportaji-dendrologiuri-parkidan

35 ბათუმელები, „ახალი ფაქტი – ივანიშვილისთვის ხეებს სახელმწიფო მიწიდან თხრიან, მთავრობამ კი არაფერი იცის,“ მარტი 23,2018, http://batumelebi.netgazeti.ge/news/124675/

შესაბამისმა სტრუქტურებმა არც კი იცოდნენ, რომ აქ ვინმე რამეს თხრიდა.

„ბათუმელები“ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაუკავშირდა, სადაც თქვეს რომ – კი, ეს ტერიტორია ნამდვილად სახელმწიფოს ეკუთვნოდა, თუმცა ხეების ამოთხრის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. სააგენტოს ფოტომასალა გაუგზავნეს, სადაც ხეების ამოთხრის პროცესი ჩანდა. იქ თქვეს – გავარკვევთ და გეტყვით პასუხსო. პასუხი „ბათუმელებს“ არ მიუღია.[36]

ზოგ შემთხვევებში სახელმწიფომ იცის, რომ ხეებს უკანონოდ თხრიან, თუმცა ამაში პრობლემას ვერ ხედავს.

2017 წლის 15 ნოემბერს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ კომპანია „ატუს“ ჩაქვში, უმაღლესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორიაზე 19 ერთეული ცრუ ქაფურის ხის მოჭრის ნებართვა მისცა.[37] ადგილობრივების ცნობით კი კომპანიამ იქ 19-ზე გაცილებით მეტი ხე მოჭრა და გაიტანა. ამავეს ამტკიცებდა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გია აბულაძე, რომელმაც „ბათუმელებს“ უთხრა – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცხელ ხაზზეც დავრეკე, თუმცა რეაგირება არავის მოუხდენიაო.[38]

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფომ ნებართვა ხეების მოჭრა-დასაწყობებაზე გასცა. ხეების ამოღებას და გატანას კი ცალკე ნებართვა სჭირდება, რომელიც არავის გაუცია. შესაბამისად, ტერიტორიიდან სახელმწიფოს კუთვნილი ხეების გატანა უკანონობაა. „ბათუმელებმა“ აჭარის მთავრობას ამის შესახებაც აცნობა, თუმცა ამ ცნობას, ცხადია, რეაგირება არ მოჰყოლია.[39]

---

36 იქვე.

37 ბათუმელები, „ივანიშვილის კომპანია ჩაქვში ქაფურის ხეებს ჭრის,“ იანვარი 11, 2018, http://batumelebi.netgazeti.ge/news/110069/

38 იქვე.

39 ბათუმელები, „ივანიშვილს ჩაქვიდან ხეები უკანონოდ მიაქვს – აჭარის მთავრობას ამჯერად თანხმობა არ გაუცია,“ იანვარი 17, 2018, http://

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მსგავსი შემთხვევები ხშირი არაა. როგორც წესი, ბიძინა ივანიშვილის კომპანიები სახელმწიფოს კუთვნილ ხეებს უნებართვოდ არ თხრიან. თუმცა, ზოგჯერ ნებართვას მას შემდეგ იღებენ, რაც ხეები უკვე ამოთხრილია. [40]

ყველაფერი წესრიგში არც მაშინ ჩანს, როდესაც მიწის შესყიდვა თითქოს კანონის დაცვით ხდება.

აი, მიწის ერთი ნაკვეთის ისტორია, რომელიც ბიძინა ივანიშვილის კომპანიამ აჭარაში იყიდა და შემდეგ იქიდან რამდენიმე ხე ამოთხარა.

2016 წელს კომპანია „ბიზნეს დეველოპმენტმა“ (ამ კომპანიის ასპროცენტიან წილს შპს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი“ ფლობს, თავად ეს ფონდი კი ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებული „თანაინვესტირების ფონდის“ შვილობილი კომპანიაა) ქობულეთთან, სოფელ ციხისძირში, 1 მილიონ 99 ათასი ლარად შეიძინა 18 ათას კვ/მ-ზე ცოტა მეტი მიწის ნაკვეთი. აუქციონი სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ გამოაცხადეს.

„აღნიშნული საინვესტიციო მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ღირებულება დამოუკიდებელი აუდიტის მიერ შეფასდა, რის შემდეგაც კანონით დადგენილი წესით ქონება გამოტანილი იქნა გასაყიდად უპირობო ელექტრონულ აუქციონზე, რომელშიც მონაწილეობის მიღება ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო“, – მისწერეს „ბათუმელებს“ სამინისტროდან.[41]

---

batumelebi.netgazeti.ge/news/110371/

40 ბათუმელები, „უკან მიდევნებული ბრძანება – ივანიშვილმა ხეები ჯერ ამოთხარა, შემდეგ დაუკანონეს,“ იანვარი 24, 2018, http://batumelebi.netgazeti.ge/news/112091/

41 ბათუმელები, „ივანიშვილს მთავრობამ ციხისძირში 1 კვადრატული მეტრი მიწა 60 ლარად და უპირობოდ მიჰყიდა,“ ნოემბერი 20, 2017, http://

ერთი შეხედვით, ყველაფერი წესრიგშია. ბიძინა ივანიშვილს უნდოდა მიწის ნაკვეთები, დამოუკიდებელი აუდიტორის დაწესებული ღირებულება გადაიხადა და შემდეგ, (რადგან აუქციონი უპირობო იყო), ამ მიწაზე რასაც უნდა იმას გააკეთებს. ვის რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს?

დავიწყოთ იმით, რომ ამ აუქციონის მიხედვით, 1 კვ/მ მიწის ნაკვეთის ფასი 60 ლარი და 60 თეთრი გამოდის. უცნობია, თუ რა მეთოდოლოგიით იხელმძღვანელა დამოუკიდებელმა აუდიტორმა ფასის განსაზღვრისას, თუმცა, თუ დაუჯერებთ და იფიქრებთ, რომ ტურისტულ ზონაში, ზღვისხედიან ნაკვეთს 60 ან თუნდაც 100 ლარად შეიძენთ, დიდი იმედგაცრუება გელით.

ფასის დასადგენი ჩემეული მეთოდი ასეთი იყო: გუგლში ჩავწერე „იყიდება მიწის ნაკვეთი ციხისძირი". საძიებო სისტემამ უძრავი ქონების სხვადასხვა საიტზე უამრავი განცხადება მაჩვენა. ერთგან კვადრატული მეტრი 185 დოლარის ეკვივალენტი იყო. [42] უნდა აღინიშნოს, რომ განცხადების ავტორი წერდა ფასი საბოლოო არ არის და მოლაპარაკება შეიძლებაო, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რომ, ასე, 460 ლარიდან ასამდე ჩამოსულიყო.

ყველა ასეთი მეძვირე არ ყოფილა. სხვაგან კვადრატული მეტრი 380 ლარი გამოდიოდა[43] ერთგან ზღვისგან მოშორებული 2500 კვ/მ-იანი ნაკვეთი ვიპოვე იაფად – კვადრატული 200 ლარი ღირდა.[44] უფრო ძვირიანი ნაკვეთებიც იყო – ერთი ზღვასთან ახლოს 4 000 კვ/მ-ს ყიდდა კვადრატულს 300 დო-

---

batumelebi.netgazeti.ge/news/102991/

42 Home.ge, მიწის ნაკვეთის გაყიდვის განცხადება, http://home.ge/ads/?id=124172 (ნანახია 2019 წლის აპრილში)

43 Allproperty.ge, მიწის ნაკვეთის გაყიდვის განცხადება, https://allproperty.ge/iyideba-mitsis-nakveTi-230533 (ნანახია 2019 წლის აპრილში)

44 Samaklero.ge, „იყიდება მიწა, ქობულეთი, ციხისძირი," თებერვალი 15, 2018, http://samaklero.ge/43309

ლარად.[45] 60 ან თუნდაც 100 ლარად ვერსად ვერაფერი ვნახე.

კიდევ ერთი პრობლემა ამ მიწის უპირობო გაყიდვაა. როგორც წესი, მსგავს აუქციონებზე მიწის ნაკვეთების მყიდველს საინვესტიციო ვალდებულებებიც ეკისრება ხოლმე – სასტუმროს აშენება, გზის კეთილმოწყობა ან რამე მსგავსი. რაც უფრო იაფია მიწა, ეს ვალდებულებები მით უფრო იზრდება ხოლმე. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მანამდე აცხადებდნენ, რომ ყველა ნაკვეთზე, რომლებიც აჭარაში „ბიზნეს დეველოპმენტს“ მიჰყიდეს, კომპანიას საინვესტიციო ვალდებულებებიც დაეკისრა, თუმცა, ციხისძირში ბიძინა ივანიშვილს, გაურკვეველი მიზეზით, მიწა ყოველგვარი ვალდებულების გარეშე მიჰყიდეს.[46]

შესაბამისად, უცნობია, თუ რა პროექტის განხორციელებას გეგმავს კომპანია ციხისძირში. „ბათუმელებმა“ ამ შეკითხვით „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდს“ მიმართეს, თუმცა პასუხი არ მიუღიათ.

საბოლოოდ, რა გამოვიდა? ბიძინა ივანიშვილის კომპანიამ საეჭვოდ დაბალ ფასად შეიძინა მიწა, რომლის მიმართ საინვესტიციო ვალდებულება არ გააჩნია და ამ ნაკვეთიდან რამდენიმე ხე მოთხარა. რა ბედი ეწევა ტერიტორიას, არავინ იცის.

* * *

ზოგ შემთხვევებში აჭარაში მიწა საინვესტიციო ვალდებულებებით იყიდება. თუმცა, შემდეგ ისე ხდება, რომ იქიდან ხე ითხრება, ვალებულებები კი არ სრულდება.

აი, მაგალითად – 2016 წლის სექტემბერში პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხელი მოაწერა განკარგუ-

45 Myhome.ge, „იყიდება არა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი,“ ოქტომბერი 07, 2017 https://www.myhome.ge/ka/product/?id=7663942

46 ბათუმელები, „ივანიშვილს მთავრობამ ციხისძირში 1 კვადრატული მეტრი მიწა 60 ლარად და უპირობოდ მიჰყიდა,“ ნოემბერი 20, 2017, http://batumelebi.netgazeti.ge/news/102991/

ლებას, რომლითაც „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქობულეთში, დაბა ჩაქვში მდებარე 5436 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები [484,8 კვ/მ] პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 400 ათას ლარად საკუთრებაში გადაეცა ტარიელ ფაღავას.“[47]

ტარიელ ფაღავას ვალდებულებები დაეკისრა – ამ ტერიტორიაზე უნდა განეხორციელებინა სულ მცირე 500 ათასი ლარის ინვესტიცია. დამატებით, მიწის ნაკვეთზე უნდა მოეწყო სულ მცირე 4 კოტეჯი, საიდანაც თითოეულში 4 სასტუმრო ნომერი მაინც იქნებოდა; უნდა აეშენებინა სპორტული მოედანი, კვების ობიექტი, არანაკლებ 20 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომი... პირობებში „ნარგავების გაშენების“ ვალდებულებაც იყო. [48]

ნარგავები იმ ტერიტორიაზე არავის გაუშენებია. არც პრემიერის დაკისრებული პატარა საყვარელი კოტეჯები წამოუჭიმავს ვინმეს. ხელშეკრულების გაფორმებიდან მცირე ხანში იქ მძიმე ტექნიკა მართლაც შევიდა, თუმცა არა სპორტული მოედნის ასაშენებლად, არამედ რამდენიმე მრავალწლოვანი ხის მოსათხრელად და, სავარაუდოდ, ურეკში გადასატანად.

საქმე იმაშია, რომ ტარიელ ფაღავასთან ნასყიდობის ხელშეკრულება სახელმწიფომ 2016 წლის 18 ოქტომბერს გააფორმა. რამდენიმე კვირაში კი ქონება იპოთეკით დაიტვირთა – ბანკ „ქართუში“.[49]

ამ, თითქოსდა კოტეჯებისათვის და 20-მანქანიანი ავტოსადგომისთვის განკუთვნილ ტერიტორიას და მეზობელი

47 ბათუმელები, „ტერიტორია, სადაც ივანიშვილისთვის ხეებს თხრიან, სახელმწიფომ ოფშორულ კომპანიას მიყიდა,“ მარტი 09, 2017, http://batumelebi.netgazeti.ge/news/70374/

48 იქვე.

49 იქვე.

მიწის ნაკვეთებს საერთო ღობე აქვთ და საერთო პერიმეტრი, რომელსაც დაცვის საერთო სამსახური აკონტროლებს და ტერიტორიაზე უცხო პირებს არ უშვებს.

მიწის ეს მეზობელი მონაკვეთები შპს „სისაიდმა“ შეისყიდა უპირობო აუქციონზე სახელმწიფოსგან. „სისაიდის“ ასპროცენტიანი წილის მფლობელი შპს „ოლდ სითი დეველოპმენტია“, რომელიც, თავისი მხრივ პანამაში რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოება Frankston International S.A.-ს ეკუთვნის. „ოლდ სითი დეველოპმენტის“ დირექტორი იყო ირაკლი ქარსელაძე, თანაინვესტირების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და ამავე ფონდის მიერ დაარსებული ტურიზმის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი.[50] ამჟამად ირაკლი ქარსელაძე ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილეა და, პარალელურად, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტსაც ითავსებს.[51]

ეს ყველაფერი ნამდვილად აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ ტარიელ ფაღავასთვის დაკისრებული ვალდებულებები თავიდანვე ფიქცია იყო – იქ არაფრის აშენება იგეგმებოდა და მიწის ნაკვეთი სახელმწიფომ იმისთვის გაყიდა, რომ ბიძინა ივანიშვილს იქ რამდენიმე ხე ამოეთხარა. იცოდა თუ არა ეს მთავრობამ, პრემიერის ხელმძღვანელობით, როდესაც პირდაპირი მიყიდვის შესახებ განკარგულება გასცა? ან იცოდა და შეგნებულად მიიღო მონაწილეობა ფარსში, ან კი – არ იცოდა და „ისიც მწარედ მოატყუეს“. რთული სათქმელია, თუ რომელი ვარიანტია უარესი.

აქამდე სამი მაგალითი განვიხილეთ – როდესაც მფლობელი კომპანიების და ქვეკომპანიების ქვეშაა დამალული, როდესაც აშკარა დარღვევები იკვეთება ნებართვების პროცესში

50 იქვე.

51 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ირაკლი ქარსელაძე ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა,“ აპრილი 04, 2018, https://bit.ly/2p0pkfU

და როდესაც, ხშირ შემთხვევაში, თავად მესვეურებისთვის გაუგებარია ვინ იღებს გადაწყვეტილებებს. ეს სამივე თვისება ერთადაა შერწყმული „პანორამა თბილისის პროექტში“.

## ვის ეკუთვნის თბილისის მომავალი

*„ივანიშვილს როდესაც მიანიშნებ კანონის დაცვაზე, ერთხელ მაინც უნდა გყავდეს შემჩნეული კანონის დარღვევაში. „პანორამა თბილისთან“ დაკავშირებით იყო ბევრი შეხვედრა, პირველად ის საზოგადოებას გააცნეს. ბევრი შეხვედრა მოხდა, ყველა კითხვას პასუხი გასცეს. დღეს არავის არაფერი აქვს სათქმელი და მხოლოდ იმას იძახიან, რომ პროექტი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაკეთდეს“* – ბიძინა ივანიშვილი, 2015 წელი[52]

ადრე აქ თბილისის ყველაზე ცნობილი უნივერმაღი იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „უნივერმაღი“ ჩვეულებრივი სიტყვა იყო, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანები ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებდნენ. „წამო, უნივერმაღში წავიდეთ“ – რა უცხოდ და უცნაურად ჟღერს დღეს...

ამ უნივერმაღს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანებმა გაუყარა „სპიცა“. კარგა ხანს ღაფავდა სულს. სუნიან, უპატრონო დარბაზებში სევდიანი გამყიდვლები კიდევ წლების განმავლობაში მისხდომოდნენ დახლებს, სადაც განსაკუთრებულად უხარისხო საქონელს თითქმის არავინ ყიდულობდა.

დღეს აქ „თანაინვესტირების ფონდის“ აშენებული პრიალა, თანამედროვე სავაჭრო ცენტრი, „გალერია თბილისია“ – ძვირიანი და ჩვეულებრივფასიანი მაღაზიებით, კინოთეატრით, ბოულინგით და რესტორნებით. ყოველთვის ბევრი ხალხი ირევა. მუდამ სავსეა „გალერიის“ აივანიც – ერთადერთი ადგილი, სადაც მოწევა შეიძლება.

აივანზე ადვილად შეგიძლია მიხვდე, ვინ არის აქ პირველად მოსული. აქედან ხომ ზემოდან დაჰყურებ რუსთაველის ქუჩის დასაწყისს და თავისუფლების მოედანს. თუმცა,

52 ამბები.ge, „პანორამა თბილისის“ პროექტი უნიკალურია და ის აუცილებლად უნდა განხორციელდეს – ივანიშვილი ელისაშვილს პასუხობს,“ მაისი 03, 2015, https://bit.ly/35Me1bP

აქ მოხვედრილ ადამიანზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ალბათ არა მოედნის ცენტრში უშნოდ მოლაპლაპე წმინდა გიორგის ქანდაკება, წინა საუკუნის დასაწყისში აშენებული შენობები ან, თუნდაც, მეტრო „თავისუფლების მოედნის“ წინ შეკრებილი ახალგაზრდები, რომლებიც დიმპიტაურით აყრუებენ ქუჩას, როგორც თავად ამბობენ, ავადმყოფის დასახმარებლად.

არა, პირველ რიგში თვალი გარბის რუსთველის ნომერი ერთის უკნიდან ამოზიდული ვეებერთელა ყრუ კედლისკენ. ცემენტი, აგური და რუხი ფერი თითქოს ყვირის – მარტო მე შემხედეთ, გარშემო ყველაფერს შეეშვითო. ეს კედელი „გალერიის“ აივნის შიგნითაც აღწევს და აირეკლება ფანჯრისკენ ზურგით მჯდომების ლეპტოპების ეკრანებზეც.

ცხადია, მალე ბეტონი და რუხი ფერი გაქრება. ნელ-ნელა იკვეთება შენობის საბოლოო კონტურები. უკვე ჩანს, თუ სად იდგება საბაგიროს ვეება ბორბალი. რამდენიმე ადგილას უკვე ჩასვეს შუშის ბლოკები, რომლითაც ბეტონი დაიფარება. მაგრამ, შუშა კი არა, ვენეციური ბროლიც ვერ შენიღბავს იმას, რომ ეს შენობა თბილისის სხეულში ძალით ჩანერგილი უცხო სხეულია.

ეს ამომართული ყრუ კედელი, რომელიც „პანორამა თბილისის“ ერთ-ერთი პირველი თვალსაჩინოებაა, მომავალი თბილისის სახეა და ნათელი ილუსტრაციაა იმისი, რომ ქალაქის სავიზიტო ბარათის, მისი ცენტრის იერსახე მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში სულ სხვანაირი გახდება.

პროექტი „პანორამა თბილისი“ ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაპირისპირების საგანი იყო ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ თბილისის გულშემატკივართა შორის. მართალია, თავდაპირველი საპროტესტო მუხტი ნელ-ნელა მინავლდა და ყურადღებამ დაპირისპირების სხვა კერებზე გადაინაც-

ვლა, მაგრამ ის არ გამქრალა და დროდადრო მაინც წამოყოფს ხოლმე თავს.

ისე, რა არის პანორამა?

2015 წელს ინტერნეტ-ჟურნალ მარკეტერმა კომპანია „ეისითის“ დაუკვეთა მცირე კვლევა, რომლის მიზანიც იყო გაეგოთ, თუ რა იციან თბილისელებმა „პანორამის“ შესახებ და რა დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ.

ამ კვლევის შედეგებით თბილისელთა უმრავლესობა (74%) ამბობდა, რომ სმენოდა „პანორამა თბილისის“ პროექტის შესახებ. აქედან 69%-ს ჰქონდა ინფორმაცია პროექტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით და ნახევარზე ცოტა მეტს (55%) ენახა პროექტის არქიტექტურული დიზაინი.

რაც შეეხება დამოკიდებულებას – მათგან, ვისაც პანორამის შესახებ სმენოდა, ნახევარზე ცოტა ნაკლებს (45%), მისი იერსახე მოსწონდა, თუმცა, არ მოსწონდა ადგილმდებარეობა; ყოველი მეხუთისათვის (19%) კი, პირიქით – ადგილმდებარეობა მისაღებია იყო, თუმცა, არ ეთანხმებოდნენ პროექტის შემოთავაზებულ დიზაინს. [53]

ის, რომ უმეტესობას სმენია „პანორამის“ შესახებ გასაკვირი სულაც არაა – საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად აჩვენებდნენ ან მის საწინააღმდეგოდ ჩატარებულ აქციებს, ან კი პირიქით – ამ პროექტის სიკეთეებს აღწერდნენ (გააჩნია ტელევიზიას). მაგრამ, რამდენად გულწრფელები იყვნენ გამოკითხულები, როდესაც ამბობდნენ, რომ ამ პროექტის დიზაინის შესახებ ჰქონდათ ინფორმაცია? დიდი ეჭვი მაქვს, რომ გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ ცოდნას ცოტა მაინც აჭარბებდა... ეს იმიტომ, რომ „პანორა-

53 Marketer.ge, „თბილისელთა დამოკიდებულება „პანორამა თბილისი“-ს პროექტის მიმართ,“ მარტი 06, 2015, https://www.marketer.ge/tbiliselta-damokidebuleba-panorama-tbilisis-proeqtis-mimart/

მა თბილისის“ გარშემო უამრავი არასრული და გაუმჭვირვალე ინფორმაცია არსებობს. „პანორამის“ საბოლოო სახე, როგორც ჩანს, ჯერ თავად მისმა შემქმნებებმაც შეიძლება არ იცოდნენ.

მოდი, მივყვეთ – ინტერნეტში „პანორამა თბილისის“ ჩაწერისას უამრავ ბმულს ამოგიგდებს, სადაც თითქოს ახსნილია, თუ რა არის ეს პროექტი. „თითქოს“ მეთქი იმიტომ, რომ ყველაზედ ხშირად აი, ასეთი პასაჟები შეგხვდებათ:

„პროექტი „პანორამა თბილისი“ უპრეცედენტოა იმით, რომ ის ქმნის 4 მრავალფუნქციური კომპლექსის (1. სოლოლაკის მაღლობი, 2. სოლოლაკის ბაღები, 3. თავისუფლების მოედანი და ერეკლე II-ს მოედანი) ერთობლიობას და აკავშირებს მათ საბაგირო გზებით და დახრილი ლიფტებით, რაც დღის ყველაზე დატვირთულ პერიოდშიც უზრუნველყოფს კომპლექსებს შორის ავტოტრანსპორტის გარეშე, სწრაფად და მოხერხებულად, გარეთ გაუსვლელად გადაადგილებას.“[54]

სავარაუდოდ, პრესრელიზიდან გადმოწერილ ამ აღწერას ათობით სხვადასხვა საიტზე ნახავთ ოდნავ სახეცვლილი ფორმით. ზოგ საიტს, მაგალითად, ნამუსი ეყო და „უპრეცედენტო“ და „მოხერხებული“ ამოიღო, მაგრამ აზრი იგივე დარჩა. უფრო სწორად, ზოგადი სიტყვები, რომლებიც, თითქოს ქართულადაა დაწერილი, მაგრამ, აზრს რომ დაატან, უფრო დაგაბნევს, ვიდრე გაგარკვევს. „მრავალფუნქციური კომპლექსები“! რა არის ეს, კარგია, ცუდია, როგორია...?

ასევე სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას გადააწყდებით, თუ გადაწყვეტთ იმის გარკვევას, თუ რანაირად წაადგება ეს პროექტი ქალაქს. ერთგან შეიტყობთ, რომ „პროექტის განხორციელების პროცესში დასაქმდება 2,000-

54 მარშალპრესი, „როგორი იქნება პანორამა თბილისი?,“ მაისი 03, 2015, https://bit.ly/2JkANh8

ზე მეტი ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ ოთხივე კომპლექსი შექმნის 1,000-ზე მეტ მუდმივ სამუშაო ადგილს“.[55]

სხვაგან გვამცნობენ, რომ მშენებლობის პროცესში 6 000 ადამიანი დასაქმდება, დასრულების შემდეგ მუდმივ სამუშაო ადგილებზე კი – 2000. [56]

უფრო სავარაუდოა, რომ ამ განცხადებების ავტორებს წარმოდგენა არა აქვთ, თუ რამდენი ადამიანი დასაქმდება ან მანამდე ან – მერე და იმედი აქვთ (იმედი აქვთ კი არა, იციან), რომ ამ რიცხვებზე მათ არასდროს არავინ გამოეკიდება.

ასევე, განცხადებებიდან ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში არც იციან, ზუსტად როგორი იქნება „პანორამის“ საბოლოო სახე. გეგმები გზადაგზა იცვლება, ისე რომ ქალაქს არავინ არაფერს ეკითხება.

კი, არსებობს „პანორამა თბილისის“ პროექტში შემავალი შენობების რენდერები. „იუთიუბზე“ ლამაზ, კომპიუტერში აწყობილ 3D მოდელებსაც ნახავ. ვიდეოს, სადაც ჩიტის თვალთახედვიდანაა დანახული საბაგიროები, რომლებიც რუსთაველის გამზირიდან სოლოლაკისკენ ადიან და მწვანეში ჩაფლულ სასტუმროსკენ გადაჰყავთ ხალხი.[57]

თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, ეს ვიდეოები და რენდერები ბევრს არაფერს გვეუბნება – „პანორამა თბილისის არქიტექტურული პროექტი არ არსებობს, შესაბამისად დამტკიცებულიც არ არის. არსებობს ასეთი ტერმინი „პროექტის კითხვა“, თანაინვესტირების ფონდის მიერ წარმოდგენილი მასალიდან – რენდერებიდან და ანიმაციიდან

55 იქვე.

56 Bpn.ge, „პროექტი „პანორამა თბილისი“ 6 000 მოქალაქეს“ დაასაქმებს“ მაისი 08, 2015, https://bit.ly/2oZLiQ7

57 მარშალპრესი, „როგორი იქნება პანორამა თბილისი?,“ მაისი 03, 2015, https://bit.ly/2JkANh8

– ჩვენ ვერ წავიკითხავთ რა გაბარიტების შენობა შენდება, რამდენია მალებს შორის დაშორება, რამდენია სართულს შუა გადახურვის სიმაღლე და ა.შ. ამიტომ ამას პროექტს ნუ დავარქმევთ. წარმოდგენილია კონცეფცია, რომელსაც არ ახლავს მუშა ნახაზები, გაბარიტები, სიმაღლე თუ სიგანე“.[58]

რა ვიცით ზუსტად „პანორამაზე? ყველაზე სანდო წყარო, ალბათ, პროექტის მმართველის, თანაინვესტირების ფონდის ოფიციალური ვებსაიტია. სიტყვა „პანორამა“ საიტზე ვერ ვიპოვე, მაგრამ მასში შემავალი პროექტების ცალ-ცალკე აღწერა კი არის. აი, ეს პროექტებია:[59]

* * *

პანორამის პირველი პირველი საფეხური „თავისუფლების მოედანზე“, ყოფილი „ცეკავშირის“ შენობის ადგილზე, უზარმაზარი, 220 ოთახიანი სასტუმროს მშენებლობაა, რომელიც „მერიოტის“ მდიდრული ბრენდის (luxury brand), Autograph Collection-ის სახელით იმუშავებს. პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა 100 მილიონი დოლარია და ის, წესით, 2019 წელს უნდა გაიხსნას.[60] სწორედ ამ სასტუმროს კედელია, „გალერიის“ აივანზე მოსაწევად გასულებზე რომ ახდენს წარუშლელ შთაბეჭდილებას.

„პანორამის“ მეორე საფეხური სოლოლაკის ქედზე კიდევ უფრო უზარმაზარი, 370 ოთახიანი სასტუმროს მშენებლობაა, რომელიც ასევე Autograph Collection-ის ბრენდისა იქნება. აქ იქნება რესტორნები, ფიტნეს ცენტრები, დიდი აკვარიუმები და თბილისში ყველაზე დიდი, ათას კვადრატულ

58 ლიბერალი, „პანორამა თბილისი“ – ინვესტიცია, რომელიც კლავს,“ იანვარი 19, 2015 http://liberali.ge/articles/view/3851/panorama-tbilisi--investitsia-romelits-klavs

59 საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, ტურიზმი და უძრავი ქონება, http://www.gcfund.ge/en/hospitalityandrealestate/

60 საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, საინვესტიციო პროექტები – სასტუმრო თავისუფლების მოედანზე, http://www.gcfund.ge/en/hospitalityandrealestate/8/ (ნანახია 2019 წლის აპრილში)

მეტრიანი საკონფერენციო დარბაზი. ამ სასტუმროს საინვესტიციო მოცულობაც 100 მილიონი დოლარია და მისი გახსნა 2020 წლისთვისაა დაგეგმილი.[61]

პარალელურად, თაბორის ქედზე, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ შენდება გოლფის მოედანი და სარეკრეაციო ცენტრი, სადაც 5-ვარსკვლავიანი, 160-ოთახიანი სასტუმრო აღიმართება. მთლიანი კომპლექსი 40 ჰექტარის ტერიტორიაზე იქნება განფენილი, აქედან კი უშუალოდ სასტუმრო ფართობის 2 პროცენტს დაიკავებს. საინვესტიციო მოცულობა 60 მილიონი დოლარია და ის წესით 2019 წელს გაიხსნება.[62]

პანორამის ფარგლებში კიდევ ორი სასტუმრო ერეკლეს მოედანზე შენდება. ერთი 10 მილიონი დოლარი დაჯდება, მეორე კი – 60 მილიონი. ერთის გახსნის თარიღად 2018 წელი წერია, მეორესი კი – 2019.[63] [64]

ვიცით ასევე, რომ პანორამის შემადგენელი კომპლექსები ერთმანეთს რაღაც შთამბეჭდავი და მოსახერხებელი სახით დაუკავშირდება. „რაღაც სახით“ იმიტომ, რომ თავდაპირველად ყველგან „საბაგიროები და დახრილი ლიფტები“ ეწერა, თუმცა შემდეგ ინტერნეტგამოცემა „კომერსანტ.გე“-ს „პანორამის“ დირექტორმა, ირაკლი ქარსელაძემ უთხრა, რომ თავდაპირველი კონცეფცია შეიცვალა და გადაწყდა,

61 საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, საინვესტიციო პროექტები – სოლოლაკის ქედი, http://www.gcfund.ge/en/hospitalityandrealestate/11/ (ნანახია 2019 წლის აპრილში)

62 საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, საინვესტიციო პროექტები – თაბორის ქედი, http://www.gcfund.ge/en/hospitalityandrealestate/10/ (ნანახია 2019 წლის აპრილში)

63 საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, საინვესტიციო პროექტები – სასტუმრო ერეკლეს მოედანზე, http://www.gcfund.ge/en/hospitalityandrealestate/13/ (ნანახია 2019 წლის აპრილში)

64 საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, საინვესტიციო პროექტები – სასტუმრო ერეკლეს მოედანზე, http://www.gcfund.ge/en/hospitalityandrealestate/12/ (ნანახია 2019 წლის აპრილში)

რომ „საბაგიროებით მხოლოდ თავისუფლების მოედნის კომპლექსი დაუკავშირდება სოლოლაკის ბაღებს.“[65]

ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად საგანგებოდ აღნიშნავენ ხოლმე, რომ „პანორამა“ მხოლოდ მდიდრების საბოგინო ასპარეზი კი არ იქნება, არამედ – საყოველთაო სიკეთე. ბევრგან ნახავთ ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლების განცხადებებს, რომ პანორამა „ქალაქისთვის შენდება“ და არა ინვესტორისთვის და რომ ის „ყველას წაადგება“, მათ შორის სოციალურად დაუცველებს. (ისე, „თანაინვესტირების ფონდის“ საიტზე ინფორმაცია პროექტის შესახებ მხოლოდ ინგლისურ ენაზეა და ინფორმაციაც სწორედ ინვესტორებზეა გათვლილი).

„აქ იქნება დარბაზები სპორტის ყველა სახეობისთვის, ღია და დახურული აუზები, იმოქმედებს შეღავათები სოციალურად დაუცველ ბავშვებსა და მრავალშვილიან ოჯახებზე. იმოქმედებს საგანმანათლებლო დარბაზები და ყველა ტიპის კულტურული დაწესებულება“ -ამბობდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე, როდესაც ხსნიდა, თუ რატომ იყო კარგი „პანორამა“ „ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის“.[66]

არ ვიცი, ნანახი აქვს თუ არა სასტუმროების რენდერები. ან წაუკითხავს თუ არა მათი აღწერა. რა შეღავათი ექნება მრავალშვილიან ოჯახებს და გაჭირვებულებს და რა უნდა აკეთონ სოციალურად დაუცველმა ბავშვებმა გოლფის მოედანზე?

ის, თუ რამდენად ღია და ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება იქაურობა, წინასწარ, ცხადია არავინ იცის. სამა-

65 რადიო თავისუფლება, „პანორამა თბილისი“ – ძველი თბილისის რეკვიემი?“ იანვარი 31, 2015, https://www.radiotavisupleba.ge/a/aktsia-panorama-tbilisis-tsinaamdeg/26823007.html

66 Bpn.ge, „პროექტი „პანორამა თბილისი“ 6 000 მოქალაქეს დაასაქმებს,“ მაისი 08, 2015 https://bpn.ge/ekonomika/11453-qproeqti-qpanorama-thbilisiq-6-000-moqalaqes-daasaqmebsq.html?fullComments=1

გიეროდ, შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ თანაინვესტირების ფონდის მიერ უკვე დასრულებული სასტუმროს, „პარაგრაფის“ მაგალითზე.

„პარაგრაფი“ გურიაში, შეკვეთილში მდებარე ფეშენებელური სასტუმროა, რომელსაც გარს დიდი მწვანე ტყე აკრავს. მისი მშენებლობა, თანაინვესტირების ფონდის ცნობით, „სულ რაღაც“ 90 მილიონი დაჯდა – 10 მილიონით ნაკლები „ცეკავშირის“ სასტუმროზე.[67]

„პარაგრაფში“ ერთხელ, შემთხვევით მოვხვდი. იქვე, მახლობლად ვისვენებდი და ნაღდი ფული გამითავდა. ჩემი ბანკის ერთადერთი ბანკომატი ახლომახლო კი სწორედ ამ სასტუმროში იყო.

სასტუმროში მოსახვედრად საგანგებოდ მოვემზადე. ვიდრე „პარაგრაფის“ გადასახვევთან, დაცვის ჯიხურს მივუახლოვდებოდი ყურსასმენები გავიკეთე და არხეინი სახით ვცადე გვერდით ჩავლა. ვერ გავძვერი. დაცვის თანამშრომელმა ზრდილობიანად მანიშნა, ყური მიგდეო და სად მიბრძანდებითო მკითხა. მე თავი მოვიუცხოელე და „ჰოტელ, მაი რუმ“ მეთქი ვუთხარი. გაჭრა. გამიღიმა და მიბრძანდითო – მანიშნა. საერთოდ, სასტუმროების უმეტესობაში როგორც გინდა ისე შედიხარ და გამოდიხარ, მაგრამ აქ ვიცოდი, რომ ასე არ იყო – წინა დღით ჩემმა ორმა მეგობარმა გადაწყვიტა ველოსიპედებით სასტუმროს წინ გასეირნება და დაცვამ უკან გააბრუნა.

გადასახვევიდან უშუალოდ სასტუმრომდე ფეხით ალბათ კარგა 10-15 წუთი ვიარე. ულამაზესი იყო – ბილიკი მიიკლაკნებოდა, ძირს აქა-იქ ახლადგაყვითლებული ფოთლები ეფინა, თუმცა ხეები დიდწილად ისევ მწვანე იყო... გზაზე სულ ორი თუ სამი ადამიანი შემხვდა.

---

67 საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, საინვესტიციო პროექტები – სასტუმრო პარაგრაფი, http://www.gcfund.ge/en/hospitalityandrealestate/16/ (ნანახია 2019 წლის აპრილში)

თავად სასტუმროში სულ 4 წუთი დავყავი – ბანკომატთან მივირბინე და გამოვირბინე. ამიტომ, შიგნით რა ხდებოდა კარგად ვერ დავათვალიერე. ერთი შეხედვით მდიდრული და ფეშენებელური ჩანდა. სწრაფად კი იმიტომ გამოვიქეცი (მიუხედავად იმისა, რომ იქ ყოფნის ლეგიტიმური მიზეზი მქონდა), რომ სრულიად ზედმეტად ვიგრძენი თავი.

ჰოდა, ქალბატონი რიმას სიტყვებზე, თუ როგორი შეღავათი ექნებათ სოციალურად დაუცველებს, მაშინვე ის ჩემი ხუთწუთიანი ვიზიტი გამახსენდა „პარაგრაფში“. თავს სოციალურად ზომიერად დაცულად ვგრძნობ და კარგ სასტუმროებშიც მოვხვედრილვარ რამდენჯერმე, მაგრამ იქ მაინც ისე ვიგრძენი თავი, როგორც მეცხრამეტე საუკუნის თბილისში თავადების საოპერო წარმოდგენაზე მოხვედრილმა ჯუღაანელმა ობოლმა, ან, გნებავთ რევოლუციამდელ საფრანგეთში პარიზულ სალონში შეპარულმა ლიმოჟელმა გლეხმა, ან სულაც დისტოპიურ მომავალში, „შიმშილის თამაშებიდან“ არისტოკრატიულ მეჯლისზე აღმოჩენილმა თინეიჯერმა...

მსგავსი სასტუმროები მხოლოდ მათთვისაა, ვისაც იქ ღამის გატარების ფული აქვთ.

თან, განა მარტო მე ვიგრძენი ასე თავი. აი, ნახეთ – „პარაგრაფის“ გარშემო, 10-15 წუთის სავალზე ათასობით ადამიანი ისვენებს იაფიან და საშუალოფასიან სასტუმროებსა და ბინებში. რამდენი მათგანი მიდის ხოლმე სასეირნოდ „პარაგრაფის“ წინ? არავინ! გარშემო უკეთეს სასეირნოს ვერსად ნახავ – მაგრამ იქ ან არ შეგიშვებენ ან კი, თუ შეხვედი, მალევე გამოხვალ – იქ შენი ადგილი არ არის!

* * *

ვინ და როგორ გადაწყვიტა, რომ დედაქალაქში „პანორამა თბილისი“ აშენებულიყო? უდავოა, რომ ეს პროექტი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მშენებლობაა, რაც აქ მა-

ცხოვრებლებს ახსოვთ. რა მსჯელობა, კამათი და ვაჭრობა უძღოდა წინ ქალაქის იერსახის ასეთ საფუძვლიან ცვლილებას?

ეს, რა თქმა უნდა რიტორიკული შეკითხვაა. არა, რასაკვირველია, ამხელა პროექტის მომზადება კამათისა და მსჯელობის გარეშე არ ჩაივლიდა, მაგრამ ამ დისკუსიაში თბილისელები არავის არასდროს ჩაურთავს – „პანორამის“ დეტალები მის ავტორთა ოფისებში წყდება.

ინტერნეტში რამდენიმე ინტერვიუ ვნახე ექსპერტებთან, რომლებიც „პანორამის“ აშენებას ემხრობიან. თუმცა, მათი ძირითადი არგუმენტი არის ხოლმე ასეთი – ეს დიდი ინვესტიციაა, თბილისი ამაზე უარს ვერ იტყვის და ამიტომ პროექტი კარგიაო.[68] ვერსად ნახავთ მსჯელობას, რომ, აი, ქალაქს ფეშენებელური სასტუმროები აკლია და, მოდი, ბიძინა ივანიშვილს აშენება ვთხოვოთო... ან, რომ, ქალაქში გოლფის თამაშის უამრავი მსურველია და იქნებ, თაბორის მთაზე რამე გაგვეკეთებინაო... არანაირი ამის დაკვეთა არასდროს არავისგან წამოსულა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხდება საქართველოს კანონმდებლობის მორგება „პანორამის“ ინტერესებზე ჯერ, მოდი ერთი პატარა დეტალი განვიხილოთ. თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ კარგად აჩვენებს, თუ რაზე და როგორ ფიქრობენ ხელისუფლების წარმომადგენლები. „პანორამის“ ისტორია უამრავი ასეთი თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ, საბოლოო ჯამში უმნიშნელოვანესი დეტალებისგან შედგება.

* * *

2017 წლის აპრილში პარლამეტში განსახილველად შევი-

68 Pia.ge, „ექსპერტის თქმით პანორამა თბილისისა და ქუთაისის მაკდონალდსის შედარება უსინდისობაა,“ https://bit.ly/2W8GFPX (ნანახია 2019 წლის აპრილში)

და კანონპროექტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ.“ [69]

კანონპროექტში აღწერილია ყველა ის საფუძველი რა დროსაც, საკუთრების ჩამორთმევა, იგივე ექსპროპრიაცია ხორციელდება. საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონის ახალ რედაქციაში, მცირედი ცვლილებით პრაქტიკულად უკლებლივ გადმოიტანეს ყველა ის საფუძველი, რა დროსაც შესაძლებელია საკუთრების ჩამორთმევა.

ერთი განსხვავებით.

მანამდე არსებულ სიას დაემატა ერთი ახალი პუნქტი – საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელი ხდება თუ ეს „სტაციონარული საბაგირო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის საჭირო სამუშაოებს უკავშირდება.“

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტს მოზრდილი განმარტებითი ბარათი ახლავს თან, სადაც ახსნილია, თუ რა პუნქტი რისთვისაა შეტანილი, აქ ვერსად ნახავთ, თუ რით არის განპირობებული „სტაციონარული საბაგირო მოწყობილობების დამონტაჟების დროს საკუთრების ჩამორთმევის“ დაკანონება.

მოდი და ნუ გაგიჩნდება შეკითხვა, თუ რატომ შეიმუშავეს დაუსაბუთებლად, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, ასეთი სპეციფიკური ინიციატივა? ხომ არ ემსახურება ეს ცვლილება კერძო ინტერესებს და არა ობიექტურ საზოგადო საჭიროებას.[70]

---

69 საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/147615?

70 განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ,“ https://bit.ly/35SG6y9

სწორედ ეს შეკითხვა გაუჩნდათ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაშიც. ორგანიზაციამ განცხადებაც გაავრცელა, სადაც წერია, პანორამა თბილისის ორი პროექტი – თავისუფლების მოედნის მიმდებარედ არსებული მშენებარე ნაგებობა და ე.წ. „სოლოლაკის მაღლობი“ სწორედ საბაგირო გზით უნდა დაუკავშირდეს ერთმანეთს. შესაბამისად, საბაგირო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის საჭირო სამუშაოები თბილისის ისტორიულ ნაწილში უნდა განხორციელდეს, რასაც შესაძლოა თან ახლდეს საკუთრების ჩამორთმევის საჭიროებაო.[71]

შესაძლოა, პანორამა აქ არაფერ შუაშია. იქნებ რომელიმე კანონმდებელს უცებ თავში დაარტყა – ღმერთო ჩემო, რა სახელმწიფოა ის სახელმწიფო, თუ სტაციონარული საბაგირო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის მიწის ჩამორთმევის უფლება არა აქვსო. მართალია, უახლოესი დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში არანაირი საბაგიროს აშენება, „პანორამის“ გარდა არ იგეგმება, მაგრამ გავა დეკადები და მერე უკვე გვიანი იქნება, ამიტომ წინასწარ უნდა შევქმნათ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ნიადაგს ქმნის ამისთვისო.

ან ეს, ან კი კანონში ცვლილება პანორამას დასჭირდა.

რომელი უფრო სანდოდ გეჩვენებათ?

ეს ერთი, უმცირესი მაგალითია იმისა, თუ როგორი პროცესები მიმდინარეობს ხოლმე „პანორამის“ გარშემო. იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეეხება პანორამა თბილისის მოსახლეებს, ისევ იქ უნდა დავბრუნდეთ, საიდანაც დავიწყეთ.

---

71 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „სტაციონარული საბაგირო მოწყობილობების დამონტაჟებისთვის საკუთრების ჩამორთმევის ინიციატივა, სავარაუდოდ, „პანორმა თბილისის“ პროექტს უკავშირდება,“ აპრილი 26, 2017, https://bit.ly/2q46dgt

* * *

ამ თავის დასაწყისში „ცეკავშირის“ შენობის ადგილას წამომართული ყრუ კედელი ვახსენეთ. აი ის, გალერიის აივნიდან რომ ცუდად გხვდება თვალში. იცით ვის უფრო ცუდად ხვდება ის თვალში? ამ კედლის ჩრდილის ქვეშ მცხოვრებლებს, რომლებსაც „პანორამამ“ სინათლე და ჰაერი შეუზღუდა და ბინების ღირებულება შეუმცირა.

რუსთაველის №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი 1939 წელს არქიტექტორებმა მელიამ, ქურდიანმა და ყუბანეიშვილმა ააშენეს. ისტორიული შენობაა – მიიჩნევენ რომ ამ სახლმა („ცეკავშირის“ აწ უკვე დანგრეულ შენობასთან ერთდ) მისცა ახალი სახე თავისუფლების მოედანს მეოცე საუკუნეში. [72]

რამდენ ხანს გაძლებს ის ოცდამეერთე საუკუნეში ჯერ უცნობია. არა, სტრუქტურულად არაფერი ჭირს, მაგრამ...

„ცეკავშირის“ სასტუმროს თავდაპირველ რენდერებზე რუსთაველის №1 წაშლილი იყო – მის ნაცვლად რუსთველის ქუჩაზე სასტუმროს ერთი ფრთა გამოდიოდა. [73]

უცნობია, რამდენად სერიოზულად განიხილებოდა ამ ისტორიული შენობის დანგრევა. ისიც არ ვიცით, მართლა გადაიფიქრეს თუ დროებით ხმაურს მოერიდნენ. თუმცა, რუსთაველის №1-ში მაცხოვრებლებისთვის საცხოვრებელი პირობები მხოლოდ გაუარესდა.

იქ, სადაც ჯერ კიდევ შარშან ფანჯრები და აივნები გადიოდა და საიდანაც ოთახების განიავება იყო შესაძლებელი (რუსთველზე გამავალი ფანჯრების გაღება თითქმის შეუძლებელია. იქიდან 24 საათის განმავლობაში მტვერი, ბუღი

72 თბილისის არქიტექტურული ქსელი, თავისუფლების მოედანი, მარტი 13, 2013, https://www.tbilisiarchitecture.net/ka/freedom-square/

73 პანორამა თბილისის ერთ-ერთი კომპონენტის პირველადი დიზაინი, https://bit.ly/2BF0eG1

და ხმაური შედის) ახლა 54-მეტრიანი კედელია აღმართული. კედელი, რომელიც საცხოვრებელი კორპუსიდან მხოლოდ ერთი მეტრითაა დაშორებული.[74]

სახლის მცხოვრებლებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ჩიოდნენ, საცხოვრებელი პირობები გაგვიუარესდა და ისიც არ ვიცით, მერე რას ველოდოთო. აი, მაგალითად, სასტუმრომ თუ გადაწყვიტა, რომ სწორედ ამ მხარეს გამოიყვანოს გამწოვები, მერე რანაირად უნდა ვიცხოვროთო. იმასაც ეჭვობენ, იქნებ შეგნებულად გვიკეთებენ ასე, რომ მერე ბინები იაფად იყიდონ და მომავალში თავდაპირველ რენდერებში ასახული ვირტუალური რეალობა სიცხადეში მოიყვანონ.[75]

პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია და არც მოჰყვება. მშენებლობისას კანონი, როგორც ჩანს, არ დარღვეულა. საქმე იმაშია, რომ ეს სასტუმრო მეხუთე კატეგორიის მშენებლობას მიეკუთვნება და ამიტომ მის მიმართ კანონს განსხვავებული მოთხოვნები აქვს.

რა არის მეხუთე კატეგორიის მშენებლობა? მეხუთე კლასის მშენებლობები სტრატეგიულ ობიექტებს მოიცავს – ესენია ფართომასშტაბიანი, დიდი ობიექტები, რომელთა საძირკვლის ჩაღრმავება 30 მეტრზე მეტია. ასეთებია კაშხლები, წყალსაცავები, აეროპორტები, მეტროსადგურები...[76]

სასტუმროები ამ ჩამონათვალში არ შედის. თუმცა, 2015 წლის ზაფხულში ჩამონათვალს დაუმატეს „ხაზობრივი ნაგებობა“ – ანუ საბაგირო გზა. სწორედ ამიტომ გადავიდა „პანორამა თბილისი“ მეხუთე კლასის კატეგორიაში. [77]

---

74 მეტრონომი, „პანორამა თბილისის“ ჩრდილქვეშ: ვის სურს რუსთაველის გამზირზე N1 კორპუსის ხელში ჩაგდება?“ იანვარი 15, 2016, https://metronome.ge/პანორამა-თბილისის-ჩრდილ/

75 იქვე.

76 ლიბერალი, „პანორამა თბილისი“ – ინვესტიცია, რომელიც კლავს,“ იანვარი 19, 2015, http://liberali.ge/articles/view/3851/panorama-tbilisi--investitsia-romelits-klavs

77 იქვე.

შეიძლება გაგიჩნდეთ სრულიად ლოგიკური შეკითხვა – რაში შეიძლება აწყობდეს ვინმეს ამ მეხუთე კატეგორიაში გადასვლა. სტრატეგიულ ნაგებობებს ხომ, წესით, სახელმწიფო უფრო მეტს უნდა სთხოვდეს და უფრო მაღალ სტანდარტებს უწესებდეს?

ლოგიკურად ეგრეა. ისე კი – პირიქითაა. საქმე იმაშია, რომ ასეთი ტიპის მშენებლობებისთვის საქართველოში საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა და მიღება კანონით გამარტივებულია. ძირითადი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა უფრო დაბალი კლასის მშენებლობისათვის, მათ არ მოეთხოვებათ. შესაბამისად, თუ მშენებლობა მეხუთე კლასს მიაკუთვნეს, მაშინ მათ შეუძლიათ ისე დაიწყონ ნგრევაც და მშენებლობაც, რომ პროექტი არავის წარუდგინონ. შესაბამისად, მსგავსი ტიპის სამუშაოებისას მონიტორინგის განხორციელებაც შეუძლებელია – რისი მონიტორინგი უნდა გააკეთო, როდესაც პროექტი არაა წარდგენილი. [78]

ამიტომაც, ფუჭია რუსთველის პირველ ნომერში მაცხოვრებელთა პროტესტი. მათ თავს დატრიალებული უბედურება კანონიერად ხდება.

როგორ მოხდა, რომ ასეთი მასშტაბის მშენებლობა – რომელიც ქალაქის იერსახეს მთლიანად ცვლის და ისტორიულ ადგილებს და მის გარშემო სივრცეებს ძირფესვიანად გარდასახავს – პროექტის ავტორების ნებაზეა მიშვებული და ეს კანონიერია?

ცოტა ზემოთ კანონპროექტი ვახსენეთ, რომელიც საბაგიროს მშენებლობისთვის ექსპროპრიაციის შესაძლებლობას იძლევა. ის არაფერი, ერთ კანონპროექტში ჩაკარგული ერთი პატარა შესწორებაა, რომელიც, შეიძლება არც არაფერში დასჭირდეთ.

78 იქვე.

პანორამის მშენებლობისთვის უამრავი ასეთი მცირე თუ მსხვილი შესწორება გახდა საჭირო.

ამ შესწორებებს, კანონებს და განკარგულებებს ეძღვნება კვლევა, რომელიც „ინიციატივამ საჯარო სივრცისთვის“ 2016 წელს ჩაატარა სათაურით – „როგორ გახდა შესაძლებელი პროექტ „პანორამა თბილისის“ მშენებლობის ნებართვების გაცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში“. [79] მაგრამ, ვიდრე ამ კვლევის შედეგებს გაგაცნობდეთ, ორი სიტყვით „კულტურულ მემკვიდრეობაზე“ უნდა ვილაპარაკოთ. იმიტომ რომ, მთავარი სწორედ ესაა – მემკვიდრეობის დაკარგვას აპროტესტებენ ქალაქის მოყვარულები და თბილისის გულშემატკივრები. სწორედ ეს კულტურული მემკვიდრეობაა, როგორც ქალაქის წარსული, ისე მისი მომავალიც. ამიტომ, ცოტა დრო იმ ადგილებსაც უნდა დავუთმოთ, თუ სად შენდება „პანორამა“ და ავხსნათ, თუ რას ცვლის ის.

* * *

(ქვემოთ მოყვანილი ცნობები თითქმის მთლიანად ეყრდნობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორის, არქიტექტურის ისტორიკოსის, საპატიო თბილისელის მაია მანიას ინტერვიუს, რომელიც მან ჟურნალ „ლიბერალს“ 2015 წელს მისცა.)[80]

დავიწყოთ ერეკლეს მოედნით. ერეკლე მეორის მოედანი ძველი ქალაქის შუაგულია, სადაც, მეჩვიდმეტე საუკუნეში ქართლის მეფე როსტომმა სასახლე აიშენა და იქ მეტ-ნაკლებად რეგულარული, სწორკუთხა მოედნების მთელი ჯაჭვი ჩამოაყალიბა. ისინი სპარსელების შემოსევისას განადგურდა.

79 ინიციატივა საჯარო სივრცისათვის, „როგორ გახდა შესაძლებელი პროექტ „პანორამა თბილისის“ მშენებლობის ნებართვების გაცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში,“ 2016 წელი, https://emc.org.ge/uploads/products/pdf/სამართლებრივი-კვლევა-კულტურული-მემკვიდრეობის-დაცვის-ისტორიული-ლანდშაფტის-ზონების-შესახებ.pdf

80 ლიბერალი, „თბილისი უიღბლო ქალაქია,“ თებერვალი 18, 2015, http://

ამ მოედნების მიმდებარედ წარმოიქმნა ერეკლე მეორის მოედანი. ერეკლე მეორის მოედნის დასახიჩრება ჯერ კიდევ საბჭოთა დროს დაიწყო, შემდეგ კი ეს პროცესი დაჩქარდა. ბოლო წლებში დაანგრიეს, არ შეინარჩუნეს და სახე უცვალეს მოედნის მიმდებარე რამდენიმე ისტორიულ სახლს.[81]

თავისუფლების მოედანს ბოლო წლების განმავლობაში არაერთმა ახალაშენებულმა ნაგებობამ უცვალა სახე, თუმცა იქ ჯერ კიდევაა დარჩენილი სტილისტური თვალსაზრისით „სუფთა“ რამდენიმე შენობა. ერთია ზუბალაშვილის ყოფილი სახლი – ხელოვნების მუზეუმის 1830-იან წლებში აშენებული, მაღალი არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული შენობა, რომელიც არქიტექტორმა იოსეფ ბერნარდაციმ დააპროექტა. ითვლება, რომ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თბილისის არქიტექტურულ ძეგლებს შორის. აქვეა ხელოვნების მუზეუმის და ყოფილი კორპუსის შტაბის 1824 წელს აღმართული შენობა, რომელიც ოდესღაც სასახლის ქუჩისა და თავისუფლების მოედნის შერწყმაზე მდებარეობდა და დღესაც ამშვენებს თავისუფლების მოედნის სივრცეს. იქვეა პუშკინის სკვერი, რომელიც ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად მყუდროა და თბილისელებს და ტურისტებს ჩამოჯდომა შეუძლიათ. მოკლედ, თავისუფლების მოედანს, რამდენიმე შენობის ხარჯზე ჯერ კიდევ  შემორჩენილი აქვს ადამიანური მასშტაბი – რაც ქალაქს ჯერ კიდევ უტოვებს შანსს რომ მოედანზე ძველი და ახალი ქალაქის შესაყარზე, ადამიანური მასშტაბის ახალი ნაგებობა გაჩნდეს, რომელიც მასშტაბითა და ხასიათით მოედანს მოერგება.[82]

თბილისის გულშემატკივრები ყველაზე მეტად მაინც სოლოლაკის ქედზე წუხან. საქმე იმაშია, რომ თბილისის რელიეფი თავისთავადი ფასეულობაა. მისი შენარჩუნებისთვის

---

liberali.ge/articles/view/3907/tbilisi-uighblo-qalaqia

81 იქვე.

82 იქვე.

ბრძოლა ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში დაიწყეს ძეგლთა დაცვის სპეციალისტებმა. მაშინ თბილისის გარემომცველ ბუნებრივ რელიეფს ლანდშაფტური ზონის სტატუსი მიანიჭეს. ამის ინიციატორი აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე იყო. დღეს ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონას სტატუსი შეეცვალა (ამაზე უფრო მეტს სულ ცოტა ხანში გეტყვით), რამაც იქ ახალი მშენებლობები გააჩინა. არადა, ქალაქი შენობების გარდა მისი ლანდშაფტით, ხედებით, ბორცვებითაც ფასობს, რომელიც მთლიანობაში ქმნის თბილისის სახეს. სახეს კი ბოლო წლების განმავლობაში არაერთმა მსხვილმა თუ წვრილმა მშენებლობამ დაატყო იარები. „სოლოლაკის ქედზე, პროექტის განხორციელება თბილისის განადგურებას მოასწავებს. ამ ადგილას მშენებლობის წარმოება არ შეიძლება. ეს არის ლანდშაფტი, რომელიც ხელუხლებელი უნდა დარჩეს“ – ამბობს მაია მანია.[83]

* * *

„პანორამის“კრიტიკოსები ერთხმად ამბობენ, რომ ქალაქს, ცხადია  განვითარება სჭირდება. „ცეკავშირის“ შენობა კარგა ხანია დანგრეულია და იქ რამე მართლაც უნდა აშენდეს. ერეკლეს მოედანიც მისახედია. მაგრამ, ეს ქალაქის ინტერესების, იერსახის და სამომავლო გეგმების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამას ადრე კანონი არეგულირებდა. ნელ-ნელა კი უფრო და უფრო მარტივი გახდა კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ახალი მშენებლობების დაწყება.

სწორედ ამ პროცესს აღწერს ზემოთნახსენები სამართლებრივი კვლევა, რომელიც ჩაატარა „ინიციატივამ საჯარო სივრცისთვის“.

საერთოდ, საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტე-

83 იქვე.

ბს კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებს – „ქ. თბილისის ისტორიული ლანდშაფტი, კი როგორც თბილისის ისტორიული და კულტურული გარემოს ნაწილი, ასევე როგორც დამოუკიდებელი ისტორიულ-კულტურული და ეკოლოგიური ღირებულება დაცვის ღირსი სამართლებრივი სიკეთეა.“[84]

ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა თბილისის რუკაზე 1985 წელს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გამოჩნდა. მაშინ დადგინდა, რომ თბილისში კულტურული მემკვიდრეობის დამცავი სამი ზოგადი ზონა გამოიყოფოდა – 1. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა 2. განაშენიანების რეგულირების ზონა და 3. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა. ლანდშაფტის დაცვის ზონის საზღვრები თაბორის მთის, წავკისის წყლის ხევის, მთაწმინდისა და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გადიოდა.[85]

მართალია, ის დადგენილება სხვა ქვეყანაში, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში მიიღეს, მაგრამ წესით ის დღემდე უნდა იყოს ძალაში, რადგან ის „არა თუ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, არამედ იცავს და ამყარებს კონსტიტუციით გარანტირებულ კულტურულ გარემოში ცხოვრების უფლებას“. [86]

„წესით“ კი იმიტომ, რომ 2009 წელს თბილისის საკრებულომ, გენერალური გეგმის დამტკიცებისას არად ჩააგდო თბილისის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონების დადგენილება და გეგმაში არ ასახა – ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა.[87]

---

84 საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“. მე-3 მუხლი, „ლ.ა“ ქვეპუნქტი.

85 ინიციატივა საჯარო სივრცისათვის, „როგორ გახდა შესაძლებელი პროექტ „პანორამა თბილისის“ მშენებლობის ნებართვების გაცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში,“ 2016 წელი, https://emc.org.ge/uploads/products/pdf/სამართლებრივი-კვლევა-კულტურული-მემკვიდრეობის-დაცვის-ისტორიული-ლანდშაფტის-ზონების-შესახებ.pdf

86 იქვე.

87 იქვე.

ისტორიული დაცვის ზოგადი ზონის გაუქმების შემდეგ აქ უკვე ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე დაიწყეს ნებართვების გაცემა მასშტაბურ მშენებლობებზე. სწორედ ამ დროს დაიწყო თბილისის სახის დასახიჩრება და ლანდშაფტური პანორამების დიდი ნაწილის განადგურება.[88]

2014 წლის 8 დეკემბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურმა, განიხილა ფიზიკური პირის მოთხოვნა, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით.[89] ცვლილება „პანორამა თბილისის“ პროექტს უკავშირდებოდა.

საქმე იმაშია, რომ მართალია აქ ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა კი აღარ არსებობდა, მაგრამ კვლავ რჩებოდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო-ფუნქციური ზონა, რომელსაც, რეგულირებით განსაზღვრული შედარებით ლიბერალური რეჟიმი აქვს, მაგრამ ისიც კი წინააღმდეგობაში მოდიოდა ამ ტერიტორიაზე მსგავსი მასშტაბებით ჩარევასთან. [90]

საბჭომ, ბუნებრივია, დადებითი რეკომენდაცია მისცა ამ ცვლილების განხორციელებას, რომელიც შემდეგ აისახა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 30 დეკემბერს მიღებულ №20-105 დადგენილებაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“.

შედეგად, ქალაქის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ახალი გენერალური გეგმა, რომლის თანდართულ რუკაზე 2009

88 იქვე.

89 სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, განაცხადის ნომერი: AR1270665, www.tas.ge (ნანახია 2019 წლის აპრილში)

90 2016 წლის 24 მაისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №14-39 „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 16, პუნქტი 1. ქვე პუნქტი „ა“.

წლის გენერალური გეგმის ანალოგიურად, არ დაუტანიათ ისტორიული ლანდშაფტის დამცავი ზონა. შეიცვალა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაც.[91]

სწორედ ამ ცვლილებების შემდეგ გახდა შესაძლებელი ნებართვის გაცემა თბილისში, გერგეთის ქუჩაზე ფართომასშტაბიანი მშენებლობის დასაწყებად; ტელეკომპანია GDS-ის სტუდიის მშენებლობა სოლოლაკის ქედის მიმდებარე ტერიტორიაზე; ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ არსებული 29 ჰა ტერიტორიის გამოტანა აუქციონზე მასში სასტუმროს მშენებლობის მიზნებისათვის და სხვა მასშტაბური სამშენებლო პროექტები, რომელიც თბილისის ისტორიულ ნაწილში განხორციელდა ან დაიგეგმა.

იმას, რომ ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის ზონის გაუქმება არასწორი იყო, თბილისის ამჟამინდელი ხელისუფლებაც ეთანხმება. თბილისის მერის მოადგილემ, მაია ბითაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა, რომ  ეს ზონა სწორედ წინა ხელისუფლების დროს გაუქმდა (თუმცა ხაზი არ გაუსვამს, რომ 2014 წელს, არც ახალი ხელისუფლების პირობებში უცდია ვინმეს მისი აღდგენა) და თქვა, ლანდშაფტის დამცავ ზონას აუცილებლად დავაბრუნებთ, ახალ მშენებლობებს ავკრძალავთ, თუმცა რაზეც ნებართვა უკვე გაცემულია, „პანორამის“ ჩათვლით, მშენებლობას დავასრულებინებთო.[92]

როგორ ხდება, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაიჭრება? იმიტომ რომ ხელისუფლე-

91 ინიციატივა საჯარო სივრცისათვის, „როგორ გახდა შესაძლებელი პროექტ „პანორამა თბილისის“ მშენებლობის ნებართვების გაცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში,“ 2016 წელი, https://emc.org.ge/uploads/products/pdf/სამართლებრივი-კვლევა-კულტურული-მემკვიდრეობის-დაცვის-ისტორიული-ლანდშაფტის-ზონების-შესახებ.pdf

92 კომერსანტი, „მაია ბითაძე – ლანდშაფტის ზონაში, სადაც „პანორამა თბილისიცაა“ მოქცეული, ახალი მშენებლობების ნებართვები არ გაიცემა, თუმცა, ძველი მშენებლობები დასრულდება,“ ივლისი 25, 2018 https://bit.ly/2MxCNVg

ბის ყველა რგოლში მისი ერთგული ხალხია. არა პარტია „ქართული ოცნების“, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ან რაიმე პოლიტიკური იდეოლოგიის, არამედ – პირადად მისი.

სწორედ ამიტომაა, რომ „პანორამას“ აქვს ისეთი სახე როგორიც აქვს – ჯერ-ჯერობით პირბადით შებურული. თბილისის მომავლის განმსაზღვრელი, ბოლო ხანების ყველაზე მასშტაბური მშენებლობა ისე დაიგეგმა, გეგმა შეიცვალა, დამტკიცდა, კანონები მოერგო, მიწები გაიცვალა რომ ამასთან დაკავშირებული არც სათანადო მსჯელობა ყოფილა, არც დისკუსია და არც რამე ეგეთი.

არა, დისკუსიების და მსჯელობების მეტი რა იყო, მაგრამ მათში პროექტის ავტორებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ძაღლი ყეფს, კედელი რუსთველის ნომერი ერთის უკან კი ნელ-ნელა შუშით იმოსება.

როდესაც საქმე ბიძინა ივანიშვილის, მისი კომპანიების ან მასთან დაკავშირებული ადამიანების ინტერესებს შეეხება, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში – პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული პატარა ქალაქის საკრებულოების წევრებით დამთავრებული, გადაწყვეტილებებიც შესაბამისი მიიღება.

შემდეგ თავში სწორედ ამაზე ვილაპარაკებთ.

## ვის ეკუთვნის ჩინოვნიკთა ერთგულება

*„მე არ ვმართავდი. გარწმუნებთ, არ ყოფილა არაფორმალური მმართველობა. ძალიან კანონმორჩილი ვარ და ძალიან ვცდილობ, პირველი დავემორჩილო კანონებს. ამას ვითხოვ სხვებისგანაც. კონტროლს არქმევენ მართვას.“* – ბიძინა ივანიშვილი, 2018 წელი [93]

არის ასეთი ლეგენდა, რომელიც, ალბათ, კარგი ილუსტრაციაა იმისა, თუ რა მიიჩნევა დღეს ქართულ პოლიტიკაში წინსვლის მთავარ საწინდარად. ლეგენდა ღარიბ, ბეჯით და ნიჭიერ სტუდენტს შეეხება, რომელიც საბოლოოდ უდიდეს წარმატებას მიაღწევს, თუმცა არა მაინცდამაინც თავისი ნიჭის და სიბეჯითის – არამედ გამართლებისა და ერთგულების წყალობით.

ეს ამბავი სამი სხვადასხვა ადამიანისგან (ერთი მეგობარია, მეორე – თანამშრომლის ნათესავი, მესამე – ტაქსისტი) მოვისმინე მცირედით განსხვავებული დეტალებით.

ძირითადი ფაბულა ასეთია: ერთ ქართველ სტუდენტს, რომელიც ოჯახმა დიდი გაჭირვებით და ძალისხმევით სასწავლებლად საფრანგეთში გაუშვა, მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო (ოჯახში მოხდა რაღაც) ფული შემოაკლდა. მალე სწავლის გადასახადს ვეღარ გადაიხდიდა. არადა, კარგი სტუდენტი იყო – საუკეთესო ნიშნებს იღებდა და საშინელი ცოდვა იქნებოდა, უფულობისთვის რომ გარიცხულიყო.

ეს ახალგაზრდა წელებზე ფეხებს იდგამდა და, სწავლის პარალელურად, სამ სხვადასხვა ადგილას მუშაობდა ოფიციანტად. ღამე თითქმის აღარ ეძინა – როცა არ სწავლობდა,

93 საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ბიძინა ივანიშვილი – მათ, ვინც არაფორმალურ მმართველობას მაბრალებს, არაფორმალური მმართველობა საზოგადოებრივ კონტროლში ერევათ,“ ივლისი 24, 2018 https://bit.ly/2W8xsag

სულ მუშაობდა. ჯოჯოხეთური გრაფიკის მიუხედავად სწავლის ხარისხი არ დაუგდია. თუმცა, როგორც ჩანდა, ამაოდ შვრებოდა — გადახდის თარიღი ახლოვდებოდა, კაფეებსა და რესტორნებში გამომუშავებული ჯამაგირით კი სასწავლებლის ვალს ვერ დაფარავდა.

ერთ დღეს, როდესაც ჩვენი სტუდენტი მუშაობდა და რესტორანში მაგიდებს ემსახურებოდა, მას უცხო მამაკაცი ქართულად გამოლაპარაკებია. უკითხავს — საფრანგეთში რა გინდა, რას საქმიანობო.

ახალგაზრდას უთქვამს, თუ რასაც აკეთებდა. საუბარი გაუბამთ. ლაპარაკისას სტუდენტი იმ კაცს გამოტყდომია — აქ ბევრი ალბათ აღარც დამრჩენია. მართალია, საუკეთესო ნიშნები მაქვს, მაგრამ, გადასახადს ვერ ვიხდი და მალე სამშობლოში დაბრუნება მომიწევსო.

ის უცხო კაცი, ცხადია, ბიძინა ივანიშვილი იყო.

მას გულთან ახლოს მიუტანია სტუდენტის გასაჭირი. მართალია, ბოლომდე შეიძლება არ დაიჯერა, რომ სტუდენტს ფული ობიექტური გარემოებების გამო დაუმთავრდა- აბა, ვის გაუკვირდება, ახალგაზრდა რომ პარიზში შეცდეს და ფული შემოეხარჯოს — მაგრამ, როგორც ჩანს, მოსწონებია ახალგაზრდა. იმ წუთას არაფერი უთქვამს. არც არაფერს დაჰპირებია. თუმცა, თავისი ხელქვეითებისთვის მაშინვე დაუვალებია სტუდენტის კოორდინატების დადგენა. მეორე დილით კი ახალგაზრდის საბანკო ანგარიშზე, მისთვის სრულიად მოულოდნელად, კარგა გვარიანი თანხა დამჯდარა.

სტუდენტი თვალებს არ უჯერებდა — იმდენი ფული იყო, რომ სწავლის გადასახადსაც სრულად ეყოფოდა და, თუ ზომიერ მომჭირნეობას გამოიჩენდა, მუშაობაც აღარ დაჭირდებოდა. რამდენიმე საათში უკვე სასწავლებლის სალაროსთან იდგა და ქაღალდებს ხელს აწერდა — მას უკვე ვეღარავინ გარიცხავდა.

მთავარი კი ისაა, თუ რა მოუმოქმედებია სტუდენტს ამის შემდეგ. ისეთი რამ უქნია, რომ მრავლისმნახველი ბიძინა ივანიშვილიც კი გაუოცებია. ახალგაზრდას თავისი კეთილისმყოფლის ვინაობა დაუდგენია, მისი ადგილსამყოფელისთვის მიუგნია და დაუბრუნებია ის თანხა, რომელიც უნივერსიტეტის ვალის გასტუმრების შემდეგ დარჩენია. თან, ეს განსაკუთრებული ტაქტით გაუკეთებია – „დიდი მადლობა დახმარებისთვის, მუდამ თქვენი მადლობელი ვიქნები, მაგრამ თავს მოვალედ მივიჩნევ, ყოველდღიური სახარჯო ფული ჩემით გამოვიმუშაოო“.

ბიძინა ივანიშვილი იმდენად მოხიბლულა ახალგაზრდით, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე თავის კომპანიაში – შპს „ბურჯში“ დააწყებინა მუშაობა ერთ-ერთი განყოფილების მენეჯერად. შემდეგი 8 წლის განმავლობაში აწ უკვე ყოფილ სტუდენტს ყოველმხრივ გამოუჩენია თავი – როგორც ერთგულ, სანდო და დაუზარელ მუშაკს, რომელიც ყველა გამოწვევას თავს ართმევდა.

ეს ახალგაზრდა ბიძინა ივანიშვილის გვერდით იდგა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც. პარლამენტარიც გახდა. თუმცა, მანდატი მალევე დათმო, რადგან მისი ნიჭი აღმასრულებელ ხელისუფლებას დასჭირდა.

ერთ წელიწადში კი ირაკლი ღარიბაშვილი, რომლის ვინაობაც, ალბათ პირველივე წინადადებიდან გამოიცანით, აღმასრულებელ ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში.

ლეგენდის თანახმად, ბიძინა ივანიშვილმა იმ ხელმოკლე სტუდენტს საფრანგეთში გაწეული კეთილშობილური ჟესტი დაუფასა და პარლამენტს ის პრემიერ-მინისტრად აარჩევინა.

ამ ამბავს ლეგენდა დავარქვით, მაგრამ, თავისუფლად შეიძლება მასში დიდი წილი სიმართლეც ერიოს. ცხადია, გამორიცხული არაა, რომ თავიდან ბოლომდე გამოგონილი

იყოს, მაგრამ, წარმოუდგენელი არც ის არის, რომ რაღაც მსგავსი ნამდვილად მომხდარიყო. ირაკლი ღარიბაშვილი მართლაც სწავლობდა საფრანგეთში, სადაც კარგა ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ბიძინა ივანიშვილიც. ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად არაერთ ადამიანს დახმარებია და, რა გასაკვირია, რომ მათი გზები რაღაც დროს გადაკვეთილიყო.

სამაგიეროდ, მაინცდამაინც სამარჩიელო არაა, რომ სწორედ ბიძინა ივანიშვილმა „დანიშნა“ და „გადააყენა“ ის პრემიერობიდან.

ირაკლი ღარიბაშვილმა განცხადება გადადგომის შესახებ 2015 წლის 23 დეკემბერს გააკეთა. მის ამ განცხადებას არც რაიმე განსაკუთრებული ღია პოლიტიკური დაპირისპირება უძღოდა წინ და არც ხილული კრიზისი. გადადგომის მიზეზებზე მას სატელევიზიო გამოსვლისას არ ულაპარაკია, თუმცა, ბევრისათვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ წასვლისკენ მას ბიძინა ივანიშვილმა მოუწოდა.[94]

ეს შემდეგ ირიბად თავად ბიძინა ივანიშვილმაც დაადასტურა. მართალია, მან ცალსახად უარყო, რომ „აიძულა“ ირაკლი ღარიბაშვილი გადამდგარიყო, მაგრამ აღნიშნა, „ვურჩიე“ რომ გადამდგარიყო, თუმცა არ მითქვამს, „გინდა თუ არა 5 წუთში ეხლა როგორმე გადადექიო.“[95]

გადადგომის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკურ ცხოვრებაში აღარ მონაწილეობდა. ყოფილი პრემიერი ჩინური კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მრჩეველი იყო. 2019 წლის მარტში კი პოლიტიკაში დააბრუნეს და მან „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის პოზიცია დაიკავა.[96]

---

94 რადიო თავისუფლება, „ირაკლი ღარიბაშვილი გადადგა,“ დეკემბერი 23, 2015, https://bit.ly/2BtBtg2

95 რადიო თავისუფლება, „სალომე ასათიანის ინტერVIEW ბიძინა ივანიშვილთან,“ ივნისი 02, 2016, https://www.radiotavisupleba.ge/a/salome-asatianis-interviu-bidzina-ivanishviltan/27775347.html

96 იმედი, „ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა,“ მარტი 05, 2019, https://imedinews.ge/ge/saqartvelo/98560/irakli-garibashvili-politikashi-dabrunda

დაბრუნების შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილის ერთ-ერთი პირველი კომენტარი, რომელიც მან „ტვ პირველზე“ ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქციაში“ გააკეთა, ასეთი იყო: „რეალურად ძალაუფლება, მანდატი ეკუთვნოდა ბატონ ბიძინას, ეკუთვნის მას. ეს ავიწყდება ყველას. ყველაში ვგულისხმობ ყველას. ხალხს სჭირდება ლიდერი, ლიდერის გარეშე არაფერი არ გამოდის. რა თქმა უნდა, ლიდერი ვერ შეძლებს ამას ხალხის გარეშე... ეს მანდატი გადმომეცა მე და ეს ორი წელი, მისი პოსტიდან წასვლის შემდეგ, ვფიქრობ, ღირსეულად ვატარე. როცა გადაწყდა, რომ მე უნდა გამოვსულიყავი პოლიტიკიდან, ასევე ღირსეულად გადავაბარე შემდგომს.“[97]

* * *

გახსოვთ, დასაწყისში რომ ვყვებოდით, როგორ გაიცვალა 2016 წლის აპრილის ბოლოს ბოტანიკურ ბაღსა და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები? აი, ერთი შეხედვით რომ თითქოს არაფერი დაშავებულა, მაგრამ მოვლენების განვითარებამ რომ უამრავი საეჭვო გარემოება გამოავლინა?

იმ თავში ვილაპარაკეთ, თუ როგორ მიიღეს მაშინ კონკრეტული გადაწყვეტილებები. ის, თუ რატომ მიიღეს ის გადაწყვეტილებები უფრო რთული დასადგენია – ალბათ შეუძლებელიცაა – ადამიანის ფიქრებს ვერ წაიკითხავ და შეგიძლია მხოლოდ მის ოფიციალურ განცხადებებს დაეყრდნო, რომლებიც, ჩვენ შემთხვევაში ლოგიკური და სანდო არ არის.

უფრო სასარგებლო იქნება იმის დადგენა, თუ ვინ არიან გადაწყვეტილებების მიმღებნი და ამის შემდეგ ყველას თავისით შეეძლება დასკვნების გამოტანა მათი სავარაუდო მოტივების შესახებ.

97 On.ge, ციტატები – ირაკლი ღარიბაშვილი, მარტი 05, 2019, http://go.on.ge/10fu

იმ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ვახსენოთ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის მაშინდელი უფროსი ნოდარ ჭიჭინაძე, რომლის წერილმაც დაუდო სათავე ბოტანიკური ბაღის მიწის ნაკვეთის პრივატიზაციის პროცესს, 2014-2015 წლებში ტელეკომპანია GDS-ში მუშაობდა. (GDS-ის მესაკუთრე, თუ რატომღაც არ იცით, ბერა ივანიშვილი იყო). თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი გივი კუბლაშვილი, რომლის უწყებაც კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობას ზედამხედველობს, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ კომპანია „ელიტა ბურჯში“ მუშაობდა 2014-2015 წლებში.

თბილისის მერის მოადგილე გრიგოლ ლილუაშვილი კი 2004-2016 წლებში ივანიშვილების ოჯახთან დაკავშირებულ არაერთ კომპანიაში მუშაობდა,[98] მათ შორის, სულაც „ოლდ სითი დეველოპმენტში“, რომელიც „პანორამა თბილისს“ ხელმძღვანელობს. 2015 წელს გრიგოლ ლილუაშვილი სწორედ ამ კომპანიის დირექტორის რანგში იყო მიწვეული საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „რეალურ სივრცეში“, სადაც „პანორამის“ სიკეთეებზე ლაპარაკობდა. [99]

კიდევ ერთხელ, ცხადია, ეს გადაჭრით არაფერს ამტკიცებს. არ არსებობს მტკიცებულებები, რომელიც ცალსახად მოგვცემს იმის თქმის უფლებას, რომ კონკრეტულმა ჩინოვნიკმა კონკრეტული გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ წარსულში „ქართუსთან“ ან ბიძინა ივანიშვილთან ჰქონია შეხება. ასე, ცალკე აღებული, ქვემოთ მოყვანილი ათობით მაგალითიდან ვერც ერთი ამტკიცებს რამეს. მაგრამ, ყველა-

98 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „თბილისის ბოტანიკურ ბაღში და მის მიმდებარედ მიწის ნაკვეთების განკარგვის პროცესში კორუფციის ნიშნები იკვეთება,“ მაისი 13, 2016, https://www.transparency.ge/ge/blog/tbilisis-botanikur-baghshi-da-mis-mimdebared-mitsis-nakvetebis-gankargvis-protsesshi-koruptsiis-nishnebia

99 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „პანორამა თბილისი“ – ბოლო პერიოდის ყველაზე სადავო არქიტექტურული პროექტი,“ იანვარი 15, 205, https://www.youtube.com/watch?v=fou-VE3BLTo

ფერს ერთად რომ შეხედავ, ძალიან გულუბრყვილო უნდა იყო, ტენდენცია რომ ვერ დაინახო.

* * *

როდესაც განვიხილავთ, თუ ვის რა ეკუთვნის საქართველოში, ყველაზე მნიშვნელოვანი იმის აღწერაა, თუ ვის ეკუთვნის სახელმწიფო აპარატში დასაქმებულთა ერთგულება. ვის წინაშე გრძნობენ ისინი თავს ანგარიშვალდებულად? ვის უმადლიან ისინი თავიანთ თანამდებობებს თუ კეთილდღეობას? ამომრჩეველს, პარტიას თუ ერთ კონკრეტულ ადამიანს?

ხომ არ ხდება ისე, რომ ხელისუფლების თუ კერძო კომპანიების ერთი შეხედვით უსამართლო ქმედებები კანონიერია მხოლოდ იმიტომ, რომ მანამდე პარლამენტმა კანონი მათთვის შეცვალა? ან, რომელიმე საკრებულომ გადაწყვეტილება მიიღო არა მაინცდამაინც თავისი ამომრჩევლის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, არამედ იმიტომ, რომ ბენეფაქტორმა სთხოვა?

2012 წლიდან დღემდე ხელისუფლების ყველა რგოლში ბიძინა ივანიშვილთან და მის კომპანიებთან დაკავშირებული ათობით ადამიანი მუშაობს. მათზე სულ ცოტა ხანში მოგახსენებთ, მაგრამ, მოდი ჯერ ის ვთქვათ, რომ ეს სია ვერაფრით ასახავს სრულ სიას. რთული დასადგენია, თუ რამდენი საჯარო მოხელეა დავალებული პირადად ბიძინა ივანიშვილისგან წარსული ან მიმდინარე დახმარებების გამო. ბევრია ისეთი, ვისაც არც „ქართუში“ უმუშავია, არც „ელიტა ბურჯში“, მაგრამ ფულს მაინც ბიძინა ივანიშვილსგან იღებდა და იღებს – არა როგორც ხელფასს, არამედ როგორც საჩუქარს.

* * *

2017 წლის ნოემბერში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარედ ,,ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე

დავით დარჩია მეორედ აირჩიეს. მას სხდომაზე მყოფი 40 დეპუტატიდან 37-მა დაუჭირა მხარი. „ჩვენ გავაკეთებთ ბევრ მნიშვნელოვან საქმეს. ჩვენი საკრებულო იქნება ღია და გამჭვირვალე. ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ არასამთავრობო სექტორთან და მედიასთანო“, – აღნიშნა საკრებულოს ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ.[100]

დავით დარჩიას სახელი შეიძლება არაფერს გეუბნებოდეთ, მაგრამ მას ოზურგეთში კარგად იცნობენ. ის ამ ქალაქში 1958 წელს დაიბადა. სპეციალობით ინჟინერ-ეკონომისტია. მთელი 90-იანები სოფელ მერიის ჩაის ფაბრიკის დირექტორი იყო, ორიათასიანების დასაწყისში კი – ფოთის საბაჟოს ექსპორტ-იმპორტის განყოფილების უფროსის მოადგილე. 2012 წელს მან „ქართული ოცნების“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია დააფუძნა. 2014-ში კი პირველად აირჩიეს ამ ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.[101]

2014 წელს, დეკლარაციის შევსების დროს დავით დარჩიას სახელფასო ანგარიშზე 20 ლარი ჰქონდა, მის მეუღლეს, ნინო სიხარულიძეს კი – 50 ლარი. ამ დეკლარაციის მიხედვით, მისი მეუღლის წლიურმა შემოსავალმა, სხვადასხვა წყაროებიდან, 8 ათას ლარამდე შეადგინა.

დეკლარაციის გრაფაში „თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს“ დავით დარჩიამ მიუთითა, რომ შპს „ახალი სერვისიდან“ საჩუქრად 15000 ლარი მიიღო.[102]

---

100 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ დავით დარჩია აირჩიეს,“ ნოემბერი 27, 2017 https://bit.ly/2p6gJYW

101 ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, საკრებულოს თავმჯდომარე, https://bit.ly/32L5Nii

102 გურია News, „კაი კაცობისთვის“ და „ვაჟკაცობისთვის“ საკრებულოს თავმჯდომარეს 15 000 ლარი აჩუქეს,“ ოქტომბერი 07, 2014, http://www.gurianews.com/article/mtavari/mtavari-tema/21967

რისთვის მიიღო საჩუქარი? „კარგი კაცობისთვის“. ეგ როგორ? როგორ და... თუმცა, აქ, უმჯობესია უცვლელად შემოგთავაზოთ კითხვა-პასუხი, რომელიც დავით დარჩიასა და „გურია ნიუსის“ კორესპოდენტს შორის გაიმართა.

„– რა ვიცი, აბა, რა გითხრათ. მაჩუქა და, ალბათ, კიდევ მაჩუქებს. კარგი ადამიანობისთვის, კაცობისთვის.

– ბატონო დავით, როდესაც ეს თანხა გაჩუქეს, თქვენ იყავით პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე. თანხა ვინ და რისთვის გაჩუქათ, არ შეიძლება გვითხრათ?

– უნდა გნახოთ და აგიხსნით. ტელეფონში რა გითხრათ...

– იმის თქმას, ვინ და რატომ გაჩუქათ ამხელა თანხა, ნახვა უნდა?

– ვაა. მაჩუქა კარგი ადამიანობისთვის. მარტო მე კი არ მჩუქნის, სხვებსაც ჩუქნის – ამბობს დარჩია.

მისივე თქმით, ამ თანხას დიდი ხანია ჩუქნიან და მართლა არ იცის, ვინ ჩუქნის.

– ეგ დასამალი არაა. მაგ თანხას 2006 წელსაც მჩუქნიდნენ. მე კი არა, ნახევარ საქართველოს...

– ბიძინა ივანიშვილი გჩუქნიდათ?

– არა. ბიძინა არა. შპს „ახალი სერვისი.“ მართლა არ ვიცი, ვინაა (?!) და აქ დასამალი არაფერია. არა მგონია გწყინდეთ, რომ ადამიანებს თანხას ჩუქნიან, – აკონკრეტებს დარჩია.“[103]

აქ რამდენმე რამ უნდა აღვნიშნოთ. პირველ რიგში ის, თუ საერთოდ რატომ აღგიწერეთ ბატონი დავითის ბიოგრაფია და მისი ოჯახის 2014 წლის დეკლარირებული შემოსავლები. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე საკუთარი თავი წარმოვიდგინე მსგავს ვითარებაში – თუ ვიღაც საჩუქრად მირიცხავს თანხას,

103 იქვე.

რომელიც შესაძლოა ჩემს წლიურ შემოსავალს აღემატებოდეს და მე ამ თანხას ვიღებ – ვისი ერთგული ვიქნები შემდეგ? დავიწყებ თუ არა შეკითხვების დასმას და პრობლემების შექმნას, თუ შემდეგ ეს ვიღაც მის სასარგებლოდ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას ან მხარდაჭერას მომთხოვს? საერთოდ, მართალი და ეთიკური ვიქნები, წლების განმავლობაში ჩემს ბენეფაქტორს რომ ზურგი შევაქციო და „ვალი არ დავუბრუნო“?

მეორე ის, რომ საერთოდ როგორ გავიგებდით ამ საჩუქრის შესახებ, ბატონ დავითს რომ ის პატიოსნად არ აესახა თავის დეკლარაციაში? ვინ იცის, რამდენ მოხელეს ერიცხება „კაიკაცობის“ მსგავსი საზღაური შპს „ახალი სერვისისგან“ ან რაიმე სხვა კომპანიისგან ისე, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი ვიცით? სხვები ხომ, როგორც ვიცით, დეკლარაციაში სრული ქონების ასახვას თავს არიდებენ?

ეგ საიდან ვიცით? აი, თუნდაც, თავად ბიძინა ივანიშვილს დეკლარაციაში ასახული არა აქვს სოლოლაკის ბიზნეს-ცენტრი და, შესაბამისად, მის გადასახადსაც არ იხდის. ივანიშვილმა, ქონებრივი დეკლარაცია ორჯერ შეავსო – 2012 წელს, როგორც პრემიერ-მინისტრმა და 2013-ში, როგორც უკვე ყოფილმა პრემიერმა. ბიზნესცენტრი, რომელიც იაპონელმა არქიტექტორმა შინ ტაკამაცუმ დააპროექტა და სხვადასხვა წყაროების ცნობით 40-იდან 50 მილიონი აშშ დოლარამდე დაჯდა, არც ერთგანაა ნახსენები[104]. არა, ის ნამდვილად ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის (სხვა თუ არაფერი, ერთ-ერთ ინტერვიუში ყვებოდა კიდეც, როგორ მუშაობდა თავის მეუღლესთან ერთად შენობის ინტერიერის დიზაინზე). ესეც, როგორც ჩანს, კანონიერია, რადგან, თურმე ბიძინა ივანიშვილი საკუთარ ბიზნესცენტრს კი არ ფლობს, არამედ ქირაობს. წელიწადში ის 194 460.00 დოლარს უხდის შპს „ფინსერვის XXI“-ს, რომელსაც ეკუთვნის კიდეც შენობა. შპს

104 ნეტგაზეთი, „ბიზნესცენტრი და ხელოვნების შედევრები ივანიშვილის დეკლარაციის მიღმა,“ იანვარი 13, 2014, http://netgazeti.ge/news/28539/

„ფინსერვის XXI,“ სავარაუდოდ (ჰეჰე, სავარაუდოდ), ბიძინა ივანიშვილისვე კომპანიაა, თუმცა ის არც დეკლარაციაში აქვს მითითებული და არც საჯაროო რეესტრის მონაცემებში ფიგურირებს მის მფლობელად.[105]

ისე, ცხადია დავით დარჩიამაც იცის, თქვენც იცით და მეც ვიცი, თუ ვინ ურიცხავს მას ფულს. შპს „ახალი სერვისი“ ვირჯინიის კუნძულებზე 2010 წელს დარეგისტრირდა. მისი ხელმძღვანელია ნათელა ყალიჩავა. საჯარო რეესტრში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით შპს „ახალი სერვისი“ ბანკი „ქართუს“ დაფუძნებულია, შპს-ს ხელმძღვანელი ნათელა ყალიჩავა კი, „ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.[106]

„ახალი სერვისი“, ცხადია, ფულს მხოლოდ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარეს არ ურიცხავს. თუმცა, შეუძლებელია გაიგო, თუ რამდენი ადამიანი ჰყავს მომადლიერებული ბიძინა ივანიშვილს „კაიკაცობისთვის.“

ინფორმაციას მიღებული საჩუქრების შესახებ ხომ, მხოლოდ მათგან ვიგებთ ხოლმე, ვინც ამაში პრობლემას ვერ ხედავს და მიიჩნევს, რომ ნორმალურია, როდესაც, ყოველ წელს საჩუქრად იღებ თანხას, რომელიც, შეიძლება ბევრის წლიურ ხელფასს აღემატებოდეს. ერთ-ერთი მათგანი, ვისთვისაც ეს ჩვეულებრივი ამბავია, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძეა.

* * *

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძემ დეკლარაციაში მიუთითა, რომ მის მეუღლეს, ლენა მამაცაშვილს სამი წლის განმავლობაში 80 ათას ლარზე მეტი აქვს მიღებული საჩუქრად შპს „ახალი სერვისისგან“. 2016 წელს მან 17 800 ლარიანი ფულადი საჩუქარი მიიღო, 2015

105 იქვე.

106 გურია News, „რომელი მინისტრის მოადგილის მეუღლეს აძლევს შპს სოლიდურ ფულად საჩუქრებს,“ მარტი 06, 2017, https://bit.ly/35XemIw

წელს – 21 000 ლარი, 2014 წელს – 20 850 ლარი და 2013 წელს იმდენივე – 20 850 ლარი.[107][108][109]

რა ფულია ეს და ვისგან მიიღო საჩუქრად? იური ნოზაძემ ფულის წამომავლობა გულწრფელად და პირდაპირ აუხსნა „გურია ნიუსს“:

„პირდაპირ გეტყვით, ჩვენ ვართ „ქართუდან“... ახლობლებს, მსახიობებს, მომღერლებს აძლევენ თანხას დახმარების სახით. იმისთვის, რომ თანხა გაოფიციალურებული და დაბეგრილი ყოფილიყო, „ქართუში“ შეიქმნა შპს“ახალი სერვისი“ და იქედან ღებულობენ ამ თანხას. ეს არის დახმარების ფული.“[110]

შეკითხვაზე, თუ კულტურის რა სფეროს წარმომადგენელი იყო მისი მეუღლე, მინისტრის მოადგილემ ასე უპასუხა:

„კულტურის სფეროს წარმომადგენელი კი არ არის, ჩვეულებრივი მეუღლეა, მე კიდევ „ქართუს“ ნათესავი ვარ, რომელიც ასეთ დახმარებას აძლევს ჩემს მეუღლეს.“[111]

შეიძლება მკითხველისთვის ცოტა გაუგებარი იყოს ფრაზები – „ჩვენ ვართ „ქართუდან“ და „ქართუს ნათესავი“. საქმე იმაშია, რომ იური ნოზაძე, მინისტრის მოადგილეობამდე „ქართუსთან“ დაკავშირებულ რამდენიმე კომპანიაში მუშაობდა.[112] როგორც ჩანს, იქ მომუშავე ხალხისთვის „ქართუ“ ოჯახად აღიქმება, რომლის წევრი მაშინაც რჩები,

---

107 იური ნოზაძე, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, თებერვალი 18, 2016, https://bit.ly/32EMKG4

108 იური ნოზაძე, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, თებერვალი 11, 2015, https://bit.ly/2Jcv5Ok

109 იური ნოზაძე, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, თებერვალი 03, 2014, https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/12755

110 გურია News, „რომელი მინისტრის მოადგილის მეუღლეს აძლევს შპს სოლიდურ ფულად საჩუქრებს,“ მარტი 06, 2017, https://bit.ly/35XemIw

111 იქვე.

112 იური ნოზაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, http://www.moa.gov.ge/7/deputy/6

როდესაც საჯარო სამსახურში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში იწყებ მუშაობას.

არ ვიცით, რამდენად კავშირშია ამ საჩუქრებთან, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იური ნოზაძემ 2016 წელს „ქართულ ოცნებას“ 20 000 ლარი შესწირა, რის შესახებაც ქონებრივ დეკლარაციაში არ მიუთითებია.[113]

რა პრობლემაა, თუ კომპანია თავისი „ოჯახის წევრს“ დროდადრო საჩუქარს გაუკეთებს? პრობლემა კი არა, სავარაუდოდ პირდაპირ კანონდარღვევაა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეფასებით მინისტრის მოადგილე ამ საჩუქრების მიღებით „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონს არღვევს, რადგან მისი მეუღლის მიერ ყოველ წელს მიღებული სოლიდური ფულადი საჩუქარი კანონით განსაზღვრულ ლიმიტს აღემატება. („საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მიხედვით, საჯარო მოსამსახურის მიერ წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს. საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს)[114]

113 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები დამატებით შესწავლას საჭიროებს,“ მარტი 07, 2018, https://bit.ly/2BzDY08

114 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები დამატებით შესწავლას საჭიროებს,“ მარტი 07, 2018, https://bit.ly/2BzDY08

* * *

ქონებრივი დეკლარაციების სისტემა ორი ძირითადი მიზნისთვის არსებობს – ერთი თანამდებობის პირთა უკანონო გამდიდრების პრევენციაა, მეორე კი ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევების გამოვლენა. ამ ორი მიზნიდან გამომდინარე, კანონი მთელ რიგ შეზღუდვებს ადგენს თანამდებობის პირებისთვის: ამიტომაა, რომ მათ ეკრძალებათ საჯარო სამსახურის პარალელურად რაიმე სხვა თანამდებობის დაკავება ან ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება კერძო სექტორში. მათ, წესით, არ აქვთ უფლება მიიღონ საჩუქარი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ მიერ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებაზე. ეს შეზღუდვები თანამდებობის პირთა ოჯახის წევრებსაც შეეხებათ – თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან, ქონებრივ დეკლარაციაში შეიტანონ მათი ოჯახის წევრის მიერ მიღებული ნებისმიერი საჩუქარი, რომლის ღირებულება 500 ლარს აღემატება.

თუმცა, კანონში არსებობს გამონაკლისებიც. ეს შეზღუდვები არ შეეხება საჩუქრებს, რომლებიც თანამდებობის პირების ოჯახის წევრებმა ან ახლო ნათესავებმა გადასცეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წერს – თავისთავად ეს გამონაკლისი გონივრული და გამართლებული შეიძლება იყოს, მაგრამ, ამასთან, არსებობს საფრთხე, რომ სათანადო ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში ეს გამონაკლისი კანონის „ხვრელად“ გადაიქცეს, რომელსაც არაკეთილსინდისიერი მოხელეები კანონით აკრძალული შემოსავლის დამალვის ან „გათეთრებისთვის“ გამოიყენებენო. ანუ, შეიძლება ისე მოხდეს, რომ შემოსავალი რეალურად არაჯეროვანი იყოს, თუმცა მისი დეკლარირება მოხდეს, როგორც ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავისგან მიღებული საჩუქრისა.[115]

115 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები დამატებით შესწავლას საჭიროებს,“ მარტი 07, 2018, https://bit.ly/2BzDY08

თუ ამ დეკლარაციებს შესაბამისი ორგანოები შესაბამისად არ ამოწმებენ, ბევრი ბერკეტი აღარ რჩება იმის გასარკვევად, მართლა დედამ ან ძმამ აჩუქა მოხელეს ფული თუ არა. ერთადერთი, რაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ ისაა, რომ ეს საჩუქრები აღწერონ და შემდეგ საზოგადოებამ თავად იმსჯელოს – ხომ არ იკვეთება აქ რაიმე დასაფიქრებელი ტენდენცია.

აი, თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომლებმაც, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, ცნობით, ბოლო ხანებში მსხვილი საჩუქრები მიიღეს.[116]

ექს-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს 2017 წელს მამამ 50 000 დოლარი აჩუქა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ მდივანმა ნინო წილოსანმა 2017 წელს მშობლისგან 100 000 ლარი მიიღო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადარაიას 2016 წელს მამამ 20 000 დოლარი აჩუქა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან თევზაძის მეუღლეს მამამ 2015 წელს 20 000 დოლარი მისცა. [117]

უფრო სწორად, ჩამონათვალი კი არა მცირედი ამონარიდია ამ სიიდან. იქ კიდევ ბევრი სხვა გვარია და კიდევ ბლომადაა სიდედრების მიერ გაკეთებული 5-7 ათასდოლარიანი საჩუქრები. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ყველა ტრანზაქცია საეჭვოა. ხდება, რომ მშობელს აქვს საშუალება და შვილს საჩუქარს უკეთებს. მაგალითად, ამავე სიაში მოხსენიებული იყო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე დავით მათიკაშვილი, რომელმაც 2016 წელს მამისგან 120 000 დოლარი მიიღო. თავად დავით მათიკა-

116 იქვე.
117 იქვე.

შვილის ცნობით, მამამისმა ამ პერიოდში მისი კუთვნილი კომპანიის წილი გაყიდა და მიღებული თანხა შვილს აჩუქა – რასაც რეესტრის მონაცემებიც ადასტურებს. ბუნებრივია, ამ ჩამონათვალში დაფიქსირებულ სხვა შემთხვევებსაც ექნება ლეგიტიმური ახსნა. კიდევ ერთხელ – რა თქმა უნდა, არსებობენ ფულიანი, კეთილი სიდედრები და სიმამრები, რომლებსაც ნათესავებისთვის ფული არ ენანებათ. არც ისაა გასაკვირი, რომ დედამ ან ძმამ საჩუქარი გაგიკეთოს. თუმცა, დამეთანხმებით, ისიც გონივრულია, რომ ეჭვი გაგიჩნდეს – რამდენად ხშირად ასახავს ეს საჩუქრები მათ სიკეთეს და როდის არის „დედა“ და „მამა“ არაჯეროვანი შემოსავლის დასაფარი შირმა?

გონივრული ეჭვი გიჩნდება მაშინაც, როდესაც აღმოაჩენ, რომ ადამიანს, რომელსაც მანამდე ბევრი არაფერი ებადა, სწორედ სახელმწიფო სამსახურის დაწყების შემდეგ აღმოაჩნდება ბიზნესის გასაოცარი ნიჭი. აი, მაგალითად, იოსებ გოგაშვილს – რომელმაც ორ წელიწადში დასძლია სიღატაკე და მილიონ კვადრატულ მეტრამდე მიწა შეიძინა. გგონიათ გამოიგონა რამე? ბიზნესში სიახლე დანერგა? მისი შექმნილი აპი გავრცელდა ვირუსულად? ნავთობის საბადოს მიაგნო?

არა, სამსახური დაიწყო!

**იოსებ გოგაშვილი**

2011 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ივლისამდე იოსებ გოგაშვილის ოთხწევრიანი ოჯახი სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ბაზაში ირიცხებოდა და სახელმწიფოსგან შემწეობას – 102 ლარს იღებდა. შემდეგ მათ ოჯახის მეხუთე წევრი შეემატათ და დახმარებაც 126 ლარამდე გაიზარდა.[118]

118 რუსთავი 2, „ექსკლუზივი – სოსო გოგაშვილის ცოლის დების სახელზე გაფორმებული ქონება,“ აპრილი 23, 2017, http://rustavi2.ge/ka/news/73874

ოჯახს დახმარება მას შემდეგ შეუწყდა, რაც იოსებ გოგაშვილი 2012 წლის მიწურულს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ინსპექტორად, ხოლო 2013 წელს ოპერატიული სამსახურის უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ამ სტატუსით შეავსო მან პირველი დეკლარაცია, სადაც, ბუნებრივია, მისი, ან მისი ოჯახის წევრების სახელზე უძრავი ქონება არ დაფიქსირებულა.[119] ეს გრაფა ცარიელი იყო 2014 წელსაც. [120]

მოგვიანებით გოგაშვილის დეკლარაციის სხვა გრაფამ მიიპყრო ყურადღება. იქ ასახული იყო, რომ გენერალური ინსპექციის უფროსის 20 წლის შვილი, ნინო გოგაშვილი გენინსპექციაში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა და 2013 წლის განმავლობაში ხელფასად 14 ათასამდე ლარი ჰქონდა აღებული.[121] ამას მცირე სკანდალი მოჰყვა, თუმცა, ცოტა ხანში გავრცელდა ცნობა, რომ ნინო გოგაშვილი გენინსპექციაში აღარ მუშაობდა და ამით ამბავი ამოიწურა.[122]

სოსო გოგაშვილი 2016 წელს ახალ, გაცილებით უფრო დიდ სკანდალში გაეხვა, რომელიც მისი ოჯახისა და ახლო ნათესავების საკუთრებაში გაჩენილ უძრავ ქონებას ეხებოდა. 2016 წლის დეკლარაციაში, რომელიც სოსო გოგაშვილმა უკვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პირველი მოადგილის სტატუსით შეავსო, მითითებულია დედოფლისწყაროში, სოფელ მაჩხაანში მის სახელზე არსებული მიწის ნაკვეთი და მისი შვილის, ნიკოლოზ გოგაშვილის სახელზე არსებული საცხოვრებელი სახლი და ორი

119 ნეტგაზეთი, „სუს-ის უფროსის მოადგილეს პროკურატურაში უჩივლეს," აპრილი 25, 2017, http://netgazeti.ge/news/189583/

120 იქვე.

121 ტაბულა, „გენერალური ინსპექცია შსს-ს გენინსპექციის ახალი უფროსის შვილი გენინსპექციის მთავარი სპეციალისტი," დეკემბერი 09. 2014, https://bit.ly/35U8Wyb

122 ტაბულა, „შსს: იოსებ გოგაშვილის შვილი გენერალურ ინსპექციაში აღარ მუშაობს," დეკემბერი 09, 2014, http://www.tabula.ge/ge/story/90646-shss-ioseb-gogashvilis-shvili-generalur-inspeqciashi-aghar-mushaobs

მიწის ნაკვეთი მაჩხაანში.[123]გარდა ამისა, მან 2016 წლის 7 ივნისს ავთო ვარაზის 91-ში 261 კვადრატული მეტრის მიწა შეიძინა, თავისი სამსართულიანი სახლით. ბინა მან იპოთეკური სესხით იყიდა საკუთარი ცოლისდისგან, ნინო მარტყოფლიშვილისგან. [124]

ეს, თავისთავად უკვე ძალიან საეჭვოდ გამოიყურება, მაგრამ განსაკუთრებულად სახსენებელი არ იქნებოდა, საქმე რომ მხოლოდ თბილისში ერთ ბინას და კიდევ მიწის სამ ნაკვეთს შეეხებოდეს. საქმე იმაშია, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, 2016 წლის აგვისტოში, სოსო გოგაშვილის კიდევ ერთი ცოლისდის, ხათუნა მარტყოფლიშვილის სახელზე სასოფლო-სამეურნეო მიწის სხვადასხვა ფართობის 9 ნაკვეთი დარეგისტრირდა. სათითაოდ ნაკვეთების ზომას არ ჩამოგითვლით, მაგრამ კარგა მოზრდილი ნაკვეთებია – საერთო ჯამი მილიონ კვადრატულ მეტრს აღემატება. დაახლოებით იმავე დროს, ხათუნა მარტყოფლიშვილის სახელზე გაფორმდა კიდევ ერთი ბინა, რომელიც თბილისში, ცაგარელის ქუჩაზე მდებარეობს.[125]

იქნებ ხათუნა მარტყოფლიშვილს გაუმართლა ბიზნესში? იქნებ სწორედ მაშინ შემოიტანა ტყლარწის დიდი პარტია, როდესაც ყველა ქართველმა ბავშვმა მიიჩნია, რომ, აი, ეს იყო ყველაზე კარგი სათამაშო? რატომ ეპარებათ ეჭვი, რომ სახელმწიფო მოხელის ცოლისდას შეიძლებოდა თავისით გამოეჩინა ფულის შოვნის ფხა და მილიონი კვადრატული მეტრი ეყიდა?

რატომ და იმიტომ, რომ ცაგარელის ქუჩის ბინაში „რუსთავი 2“-ის გადამღები ჯგუფი იყო მისული და გაარკვია, რომ, ჯერ ერთი, იქაურობას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იცავდა და მეორე – ხათუნა მარტყოფლიშვილი სულ

123 რუსთავი 2, „ექსკლუზივი – სოსო გოგაშვილის ცოლის დების სახელზე გაფორმებული ქონება,“ აპრილი 23, 2017, http://rustavi2.ge/ka/news/73874
124 იქვე.
125 იქვე.

სხვაგან, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და, საერთოდაც, მისი შემოსავლის ძირითად წყაროს კერძო მკერავად მუშაობიდან აღებული შემოსავალი წარმოადგენდა.[126]

კერძო მკერავს საქართველოში შეიძლება კარგი შემოსავალი ჰქონდეს, მაგრამ არა იმდენი, რომ მილიონი კვადრატული მეტრის ყიდვა შეძლოს.

გამოძიების დაწყების შესახებ ინფორმაცია მედიით არ გავრცელებულა. იოსებ გოგაშვილმა თანამდებობა 2018 წლის აგვისტოს ბოლოს დატოვა. [127] თუმცა, შეკითხვაზე, ხომ არ უკავშირდებოდა მისი გადადგომა ფინანსურ სკანდალებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ უპასუხა – ეგ ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკური აჟიოტაჟიაო. [128]

სოსო გოგაშვილის დაგროვებული ქონება იმის საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ, რომ ერთგულების დამსახურებისთვის ხშირად საჩუქრების კეთება არ არის საჭირო. ზოგჯერ დამკვეთს ურჩევნია, რომ ადამიანს თავად მისცეს ქონების მოხვეჭის შესაძლებლობა და ის დაიცვას შესაბამისი ორგანოების ზედმეტი შეკითხვებისგან. ან, როგორც ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმისას მოხდა – სულაც თავად მისცეს შესაძლებლობა, „პასუხი გასცეს“ ამ შესაბამის ორგანოებს.

**ოთარ ფარცხალაძე**

2018 წლის ნოემბერში პროკურატურამ ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე ოფიციალურად დაადანაშაულა ყოფილი გენერალური აუდიტორის, ლაშა თორ-

126 იქვე.

127 იმედი, „სუსის უფროსის პირველი მოადგილე იოსებ გოგაშვილი თანამდებობას ტოვებს,“ აგვისტო 21, 2018, https://bit.ly/2pJ5sxG

128 news.ge, „მამუკა ბახტაძე იოსებ გოგაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს პოლიტიკურ აჟიოტაჟს უწოდებს,“ აგვისტო 22, 2018, https://bit.ly/31xfD5H

დიას ცემაში. სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიებად 5 000-ლარიანი გირაო შეუფარდა. პროკურატურა ორ ყოფილ ჩინოვნიკს შორის მომხდარი დაპირისპირება „ყოფით ნიადაგზე მომხდარად“ დაახასიათა.[129]

ბრალის წარდგენას წინ უძღოდა „რუსთვი 2-ის“ ეთერში გასული რამდენიმე სიუჟეტი, რომელიც ოთარ ფარცხალაძეს შეეხებოდა. მას ადანაშაულებენ სპორტის ყოფილი მინისტრის, ლევან ყიფიანის ცემაში და ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილისთვის 4 მილიონი დოლარის გამოძალვაში[130]. აღწერილი იყო მისი ერთ-ერთი სახლიც – წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩაზე მშენებარე ციხესიმაგრე, რომლის მხოლოდ სარდაფი, უფრო სწორად, მიწიქვეშა ბუნკერი, 380 კვადრატული მეტრის ფართობს იკავებს.[131]

ფარცხალაძის სახლებზე და ყიფიანის „ინციდენტზე“ უფრო მეტს სულ ცოტა ხანში მოგახსენებთ. ჯერ უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ მასსა და ლაშა თორდიას შორის მომხდარი ინციდენტი, რომელსაც პროკურატურა „ყოფით დაპირისპირებას“ უწოდებს. თუმცა, ყველა სხვას გონივრული ეჭვი აქვს, რომ საქმე გვაქვს არა ნასვამი კაცების გარჩევებთან, არამედ სწორედ „შესაბამისი ორგანოების ადგილზე მოსმასთან“ თავისი საქმის კეთებისათვის.

ამ აზრზეა საქართველოში მოქმედი ყველა მსხვილი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებმაც ერთობლივი განცხადებაც გაავრცელეს და „აღშფოთება გამოხატეს საქართველოს გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიაზე მო-

---

129 რადიო თავისუფლება, „რით დაისჯება პროკურორი ფარცხალაძე თორდიას ცემისთვის?“ ნოემბერი 06, 2018, https://bit.ly/2qpqW31

130 რუსთავი 2, „ექსმინისტრი, რომელიც სარდაფში ჩაკეტეს, სცემეს და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ – ახალი სკანდალური ჩანაწერები „ომეგა ჯგუფის“საქმეზე,“ სექტემბერი 30, 2018, https://bit.ly/2pFkLYs

131 რუსთავი 2, „სად ცხოვრობს ოთარ ფარცხალაძე – ყოფილი მთავარი პროკურორის ციხე-სიმაგრე, რომლის დიდი ნაწილი მიწის ქვეშ მდებარეობს,“ ოქტომბერი 06, 2018, https://bit.ly/2W1iliK

მხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით“. განცხადებაში ნათქვამი იყო, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ დაზარალებულის განცხადებით თავდასხმა მოხდა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომელზეც აუდიტის სამსახური მოკვლევას აწარმოებდაო. [132]

დაპირისპირების ფონი ასეთია – ლაშა თორდია ამბობს, რომ ფარცხალაძის აგრესია გამოიწვია აუდიტის სამსახურში იმ დროისთვის მიმდინარე კვლევამ, რომელიც ფარცხალაძის კომპანიისა და მერიის ურთიერთობას ეხებოდა და რომლის ფარგლებშიც კორუფციის ნიშნები იკვეთებოდა.

საქმე ეხება კომპანია „ბი ეს არ-სი დი ჯი“ დეველოპმენტს. ეს კომპანია 2006 წლის 17 ივლისს დარეგისტრირდა. 2016 წლის თებერვლიდან მისი მფლობელი გახდა „როიალ დეველოფმენთი“, ხოლო 2016 წლის 29 ივნისიდან კომპანიის წილის 100%-ის მესაკუთრე ოთარ ფარცხალაძე გახდა.[133]

„ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტს“ თბილისში, მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკუთვნოდა მიწის ნაკვეთი, სადაც საავტომობილო გზამ გაიარა. კომპანიას კომპენსაციას წლების განმავლობაში არ აძლევდნენ. მას შემდეგ კი, რაც კომპანია ძველმა მფლობელებმა, ისრაელელმა ბიზნესმენებმა გაყიდეს და საქმეში ოთარ ფარცხალაძე ჩაერთო, თბილისის საკრებულომ 2016 წლის 15 აპრილს მიიღო განკარგულება, რომლის მიხედვითაც „ბი ეს არ-სი დი ჯი დეველოპმენტს“ მზიურის ტერიტორიაზე მდებარე 2302 კვ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძეზე მიწის ორ ნაკვეთში გაუცვალეს – რომლიდანაც ერთი 5515 კვ.მ, ხოლო მეორე 1193 კვადრატული

132 ინფორმაციის თავისუფლების გავრცელების ინსტიტუტი, „არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიაზე მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით,“ მაისი 13, 2017, https://idfi.ge/ge/ngos_statement_on_attack_to_general_auditor_lasha_tordia

133 ნეტგაზეთი, „რა (არ) ვიცით ოთარ ფარცხალაძეზე,“ 20 მაისი, 2017, http://netgazeti.ge/news/195699/

მეტრია.[134] სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფარცხალაძის კომპანიას 513 000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ თბილისის მერიამ 2 615 000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი მისცა.

ამ საქმის გარშემო სხვა გარემოებებიცაა, რომლებიც მერიასა და ოთარ ფარცხალაძეს შორის ურთიერთობაში კორუფციის ნიშნებს კვეთს. სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში. [135] ეჭვობენ, რომ სწორედ ეს გახდა ოთარ ფარცხალაძის გაღიზიანების მიზეზი და სწორედ ამიტომ დაესხა ის თავს ლაშა თორდიას

თავად ოთარ ფარცხალაძე ბრალს არ აღიარებს და ამტკიცებს, რომ ლაშა თორდია მთვრალი იყო და თავად დაესხა მას თავს, რადგან გამარჯობის ტონი არ მოეწონა.

* * *

ოთარ ფარცხალაძე გენერალურ პროკურორად 2013 წელს დაინიშნა და ამ პოსტზე ერთ თვეზე ცოტა მეტი იმუშავა. ხუთიოდ კვირაში კი ყველა, მათ შორის მმართველი პარტია შეთანხმდა, რომ მისი დანიშვნა შეცდომა იყო – რამდენიმე მიზეზის გამო.

პირველი სკანდალი მის დიპლომს უკავშირდებოდა. მთავარი პროკურატურის ვებსაიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მას 1995 წელს ჰქონდა დამთავრებული საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. არადა, ოთარ ფარცხალაძე 1976 წელსაა დაბადებული და ამ დროს 19 წლის იყო. ბუნებრივია, გაჩნდა შეკითხვები, თუ როგორ მოახერხა 19

134 იქვე.

135 სახელწიფო აუდიტის სამსახური, „შესაბამისობის აუდიტის ანგარიში," 2018 წელი, https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2018/tbilisis_qoneba.pdf

წლის ახალგაზრდამ ბაკალავრის დიპლომის მიღება.[136] შეკითხვებს ახალი შეკითხვები დაემატა, როდესაც აღმოჩნდა, რომ საჯარო რეესტრის ბაზაში მოპოვებული დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ღია ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში 1991 წელს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი არ არსებობდა და ის მხოლოდ 1992 წლის 2 ივნისს, განათლების სამინისტროს ნებართვით შემდეგ შეიქმნა.[137]

ოთარ ფაცხალაძეს ამ შეკითხვებზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ გაუცია. თუმცა დიპლომის სკანდალი მალევე გადავიდა მეორე პლანზე, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამოუქექა, რომ საქართველოს გენერალური პროკურორი 2000-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში ნასამართლევი ყოფილა, ოპოზიციის ცნობით – ქურდობისთვის. თავად ოთარ ფარცხალაძემ აღიარა, რომ ნასამართლევი იყო, თუმცა, მისი ვერსიით, ეს არა ქურდობას, არამედ პოლიციისთვის წინააღდმეგობის გაწევას უკავშირდებოდა.[138]

ბუნებრივია, გაჩნდა კითხვები თუ როგორ აღმოჩნდა წარსულში ნასამართლევი ოთარ ფარცხალაძე მთავარი პროკურორის თანამდებობაზე. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა (რომლის წარდგინებითაც დანიშნა პრემიერმა ფარცხალაძე მთავარ პროკურორად) შემდეგ განაცხადა, რომ წარდგინებამდე ფარცხალაძეს არ იცნობდა და რომ მას არ ჰქონდა „მორალური უფლება“ ყოფილიყო ამ თანამდებობაზე: „პრემიერი ჩემთან ერთად აღმოჩნდა იმ ძალიან უსიამოვნო სიურპრიზის წინაშე, რომელიც იყო ბატონი

136 ნეტგაზეთი, „როგორ აიღო ფარცხალაძემ 19 წლის ასაკში დიპლომი – „მე–11 კლასშიც იყო და უმაღლესშიც ჩააბარა,“ დეკემბერი 25, 2019, http://netgazeti.ge/news/28308/

137 ტაბულა, „1991 წელს ფარცხალაძე სამართალმცოდნეობაზე ვერ ჩააბარებდა,“ დეკემბერი 24, 2013, http://www.tabula.ge/ge/story/78515-1991-tsels-farcxaladze-samartalmcodneobaze-ver-chaabarebda

138 ნეტგაზეთი, „რა (არ) ვიცით ოთარ ფარცხალაძეზე,“ 20 მაისი, 2017, http://netgazeti.ge/news/195699/

ფარცხალაძის წარსული ნასამართლეობა. როგორც შემდეგ გაირკვა, ის ნასამართლევად აღარ ითვლებოდა. არის თანამდებობები, სადაც – როცა გაქარწყლებული ან მოხსნილი გაქვს ნასამართლეობა – შეგიძლია იმუშაო, მაგრამ არა მთავარი პროკურორის ან პროკურორის თანამდებობაზე, სადაც შენ სჯი სხვებს და არ უნდა იყო წარსულში თავად დასჯილი. მორალური უფლება არ ჰქონდა, ამ თანამდებობაზე ემუშავა, მე ასე ვფიქრობო“ – თქვა მან.[139]

ბიძინა ივანიშვილმა ოთარ ფარცხალაძე „ძალიან კაცურ და ვაჟკაც კაცად“ დაახასიათა და აღნიშნა, მისი დანიშვნა შეცდომა იყო და ქართულ ოცნებას ეს „გამოეპარაო.“ თუმცა, შემდეგ ისიც დაამატა, ოთარ ფარცხალაძეს წესიერად არ ვიცნობ, იშვიათად ვხედავ, თუმცა, რამდენადაც ვიცი, ბერა ივანიშვილი მისი შვილიშვილის ნათლიაა.[140]

* * *

ოთარ ფარცხალაძის ქონება, მთავარი პროკურორის თანამდებობის დაკავებამდე ასეთი იყო:

- 150 კვ. მ ფართობის ბინა თბილისში, ჯანაშიას ქუჩაზე
- მეუღლეს ეკუთვნოდა 76 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი სახლი თბილისში, მგალობლიშვილის ქუჩაზე
- ჰქონდა დაახლოებით 30 000 ლარის დანაზოგი / ანაბარი
- 100 000$-ის ოდენობის იპოთეკური სესხი
- 20 000 ლარის ოდენობის კრედიტი
- 1994 წელს გამოშვებული Toyota 4-runner

139 ნეტგაზეთი, „რა (არ) ვიცით ოთარ ფარცხალაძეზე,“ 20 მაისი, 2017, http://netgazeti.ge/news/195699/

140 იქვე.

2017 წელს კი მისი ქონება ასე გამოიყურებოდა:

- ტაბახმელა, სოფელი წავკისი, 4089 კვ.მ საერთო ფართობის 4 მიწის ნაკვეთი (უფლების რეგისტრაცია 25.11.2016)
- თბილისი, კოსტავას ქუჩა, 38 კვ.მ ფართი (უფლების რეგისტრაცია 25.11.2016)
- თბილისი, კოსტავას ქუჩა, 90 კვ.მ ფართი (25.11.2016)
- თბილისი, ყიფშიძის ქუჩა, 130 კვ.მ მშენებარე ბინა (25.11.2016)
- თბილისი, ყიფშიძის ქუჩა, 204 კვ.მ კომერციული ფართი (25.11.2016)
- თბილისი, ყიფშიძის ქუჩა, 101 კვ.მ კომერციული ფართი (25.11.2016)
- თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა, 143 კვ.მ კომერციული ფართი (30.05.2016)
- თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა, 336 კვ.მ კომერციული ფართი (30.05.2016)
- თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა, 77.5 კვ. მ მშენებარე ბინა
- დაბა ბაკურიანი, „დიდველი“, 26 კვ.მ ბინა (25.11.2016)
- დაბა ბაკურიანი, „დიდველი“, 25 კვ.მ ბინა (25.11.2016)

ამას ემატება მეუღლის სახელზე დარეგისტრირებული უძრავი ქონება:

- თბილისი, ჯანაშიას ქუჩა, 150 კვ.მ ბინა
- თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქ, 40.2 კვ. მ მშენებარე ბინა (11.05.2015)

- თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქ, 61.7 კვ. მ მშენებარე ბინა (17.02.2017)
- თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის ქ, 16.2 კვ. მ ავტოსადგომი (22.01.2016)
- თბილისი, ბარნოვის ქ, 15 კვ. მ ავტოსადგომი (28.12.2016)
- ბათუმი, ხიმშიაშვილის ქუჩა, 44.12 კვ.მ ფართი – (29.08.2016)

ეს, კიდევ ერთხელ, 2017 წლის მონაცემებია. უმეტესობა ჩვენგანის უძრავი ქონების რაოდენობა წლიდან წლამდე დიდწილად უცვლელია. ოთარ ფარცხალაძის შემთხვევაში კი, სავარუდოდ, ასე არ არის. სავარაუდოდ კი არა, უამრავმა ადამიანმა ნახა „რუსთავი 2-ის“ დრონით გადაღებული უზარმაზარი სასახლე წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩაზე.

რა ბიზნეს-ალღო გჭირდება რომ საქართველოში ამდენი ფული იშოვო?

აი, მაგალითად ასეთი: ოთარ ფარცხალაძემ 2015 წლის სექტემბერში კომპანია „როიალ დეველოპმენტში“ 40-პროცენტიანი წილი შეიძინა. ორიოდ კვირაში კომპანიამ სახელმწიფოსთან და საპარტნიორო ფონდთან ერთად 85-მილიონ დოლარიანი პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტი საავიაციო ნაწილების ქარხნის მშენებლობას შეეხებოდა და ამ ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებული მიწების ყიდვა – გაყიდვას და გადაფორმებას. მას შემდეგ, რაც ქართულმა მედიამ და არასამთვრობო ორგანიზაციებმა ამ გარიგებებთან დაკავშირებით კითხვები დასვეს, ოთარ ფარცხალაძემ „როიალ დეველოპმენტთან“ ოფიციალური კავშირი გაწყვიტა.

სიტყვა „ოფიციალური“ მნიშვნელოვანია. მართალია, ყოფილი მთავარიპროკურორი დოკუმენტებში აღარ ფიგურირებს, მაგრამ ეს პროექტი კვლავაც რჩება მისი შემოსავლის წყა-

როდ. ეს საიდანღა ვიცით? საიდან, და, მისსავე ადვოკატმა თქვა.[141]

საპარტნიორო ფონდი სახელმწიფომ დაარსა და ის საჯარო რესურსს განკარგავს. ოთარ ფარცხალაძე ყოფილი მაღალჩინოსანია, რომელსაც მანამდე დიდი გამოცდილება ბიზნესში არ ჰქონია. ცხადია, ადამიანს გონივრული ეჭვი უჩნდება – რა როლი ითამაშა მისმა გავლენამ და ხელისუფლებასთან კავშირებმა ამ გარიგების წარმატებაში.

* * *

2015 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა კვლევა საჯარო სამსახურის წამყვან თანამდებობებზე დანიშნული ან არჩეული პირების კავშირზე ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის კომპანიებთან. კვლევა თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციებს ეყრდნობოდა. იმ კვლევის მიხედვით, „სულ მცირე 38 თანამდებობის პირი წარსულში მუშაობდა ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ რომელიმე კომპანიაში,“ ხოლო „14 თანამდებობის პირის შემთხვევაში ამ კომპანიებში მათი ოჯახის წევრები იყვნენ დასაქმებულნი.“ [142]

კანონსაწინააღმდეგო ამ დანიშვნებში არაფერი იყო. თუმცა, არასამთვრობო ორგანიზაცია წერდა – ივანიშვილის კომპანიების თანამშრომლების მაღალ თანამდებობებზე გადანაცვლების ტენდენცია „ეჭვქვეშ აყენებს საჯარო მოხელეთა შერჩევის მერიტოკრატიულ პრინციპს და კიდევ უფრო ამყარებს ვარაუდს ხელისუფლებაზე ივანიშვილის არაფორმალური გავლენის შესახებო.“[143]

---

141 ტაბულა, „ფარცხალაძე დიდ ავიაციაში – ადვოკატი ადასტურებს, რომ ფარცხალაძე Elbit-ისგან ფულს იღებს,“ ოქტომბერი 11, 2018, https://bit.ly/2N5D9l1

142 საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო, „ ივანიშვილის კომპანიები – თანამდებობის პირების სამჭედლო,“ აპრილი 22, 2015, https://bit.ly/2IEkbiZ

143 იქვე.

იქ დასახელებულ პირთა შორის ქვეყნის უმაღლესი პირები იყვნენ: მაშინდელი პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი წარსულში ფონდ „ქართუს“ თავმჯდომარე, შპს „ქართული ოცნების“ დირექტორი და სს ბანკი „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო. მაშინდელი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი ბანკი „ქართუს“ და „ქართუ ჯგუფის“ გენერალური დირექტორი იყო, მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური წლების განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის დაცვის სამსახურში მუშაობდა და ასე შემდეგ...[144]

ორგანიზაციამ შედარებისთვის აიღო კიდევ ორი მსგავსი მსხვილი კომპანია, სამშენებლო კომპანია „აქსისი“ და „საქართველოს ბანკი“. „აქსისიდან“ 2012 წლიდან 2015-მდე სულ ორი ადამიანი დაინიშნა თანამდებობის პირად, „საქართველოს ბანკიდან“ კი – 12. თუმცა, მათგან არც ერთი გამხდარა პოლიტიკური თანამდებობის პირი ან დაუკავებია ხელმძღვანელი თანამდებობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში.[145]

სამი წლის შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მოუბრუნდა თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციებისა და ბიოგრაფიების შესწავლას და დაასკვნა, რომ კვლავაც გრძელდება საჯარო სექტორში მნიშვნელოვან პოზიციებზე ბიძინა ივანიშვილის კომპანიებიდან წამოსული კადრების დანიშვნის ტენდენცია. [146]

2015-იდან 2018 წლამდე სულ მცირე 17 ახალი შემთხვევაა, როდესაც თანამდებობაზე ივანიშვილის კომპანიებიდან წამოსული კადრი დაინიშნა ან აირჩა. კიდევ 9 შემთხვევაში

144 იქვე.
145 იქვე.
146 საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო, „ივანიშვილის კომპანიები – თანამდებობის პირების სამჭედლო სამი წლის შემდეგ,“ ოქტომბერი 05, 2018, https://bit.ly/2O4Hx7o

ასეთი პირები საჯარო სექტორში ახალ თანამდებობაზე დაინიშნენ ან აირჩნენ. ასევე, სულ მცირე 9 ახალ შემთხვევაში თანამდებობები ისეთმა პირებმა დაიკავეს, ვისი ოჯახის წევრებიც ივანიშვილის კომპანიებში არიან დასაქმებული.[147]

ეს ხდება პარლამენტშიც, სასამართლოშიც, აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, ადგილობრივ თვითმმართველობაშიც და მედიაშიც..[148]

კიდევ ერთხელ, აქედან არცერთ შემთხვევაში არ იკვეთება რაიმე მართლსაწინააღმდეგო. ცალკე აღებულ თითოეულ დანიშნვნაზე თუ არჩევაზე შეიძლება მსჯელობა – რამდენად იყო ესა თუ ის ადამიანი შესაბამისი კადრი კონკრეტული თანამდებობისათვის. თუმცა, ზოგად სურათს თუ შევხედავთ, ძალიან რთულია, შეკითხვები არ გაგიჩნდეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოც“ წერს – „ეს ტენდენცია ეჭვქვეშ აყენებს საჯარო სექტორში თანამდებობის პირთა შერჩევის პრინციპებს და მიუთითებს ხელისუფლებაზე ივანიშვილის არაჯეროვან გავლენაზეო.“[149]

ისე, ვთქვათ და გამოიკვეთა რაიმე მართლსაწინააღმდეგო. ვინ იქნება ამის განმსჯელი და რამდენად დამოუკიდებელი იქნება გადაწყვეტილების მიღებისას?

147 იქვე.
148 იქვე.
149 იქვე.

## სასამართლო გუშინ, დღეს, ხვალ...

*„სასამართლო სისტემა 2012 წლამდე იყო უვარგისი, ადეიშვილი რასაც ეტყოდა, იმას აკეთებდნენ. იყო მილიონი ქეისი, ცუდი ქეისი და ახლა არ არის არც ერთი ქეისი და ეს რას ნიშნავს? ნიშნავს იმას, რომ შეიცვალა სისტემა შემადგენლობის ცვლილების გარეშე და ადამიანები, რომლებიც მასობრივად ჩადიოდნენ ცუდ რაღაცებს, ახლა ჩადიან კარგ რაღაცებს, ამაშია საქმე...“* – ირაკლი კობახიძე, 2019 წელი. [150]

პირველ თავში ვახსენეთ, რომ ამ წიგნის წინა ვერსიის გამოსვლიდან 7 წელი გავიდა და ახლა სულ სხვა პერსონაჟებზე გვიწევს ლაპარაკი. არადა, მთლად ეგრეც არაა. არის სფერო, სადაც პერსონაჟები თითქმის არ შეცვლილან. ამჟამინდელ ვითარებაში უკეთ გასარკვევად კი ამბავი რამდენიმე წლის წინ მომხდარი ამბებით უნდა დავიწყოთ.

დღეს დაჩი ცაგურია ტელეეკრანებზე პიჯაკითა და ჰალსტუხით ჩნდება ხოლმე და რკინიგზის მიღწევებზე ლაპარაკობს. თანამდებობა აქვს ასეთი – სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ მგზავრთა გადამყვანი დირექტორია.[151] თუმცა, სახელი მას სარკინიგზო მოღვაწეობით არ გაუთქვამს. 2012 წლამდე მას სატელევიზიო გამოშვებებში დამშვიდებული სახით იშვიათად ნახავდით. სულ ჩხუბობდა – ან რომელიმე ჩინოვნიკს ამუნათებდა, ან კი თავისსავე უკანონო დაკავებას აპროტესტებდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაჩი ცაგურია რამდენიმე სხვადასხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. პოლიტიკური აქტივიზმით იყო დაკავებული – ხან თბილისის მაშინდელ მერს, გიგი

150 ტაბულა, „კობახიძე: მოსამართლეები, რომლებიც ცუდ რაღაცებს აკეთებდნენ, ახლა კარგ რაღაცებს აკეთებენ,“ თებერვალი 05, 2019, https://bit.ly/2MzZYys

151 საქართველოს რკინიგზა, დაჩი ცაგურია, http://www.railway.ge/dachi-caguria/

უგულავას უშლიდა პიარ აქციებს[152], ხან კი პრეზიდენტ საა-კაშვილს აშხამებდა სადილს.[153] ამის გამო პრობლემებსაც ხშირად უქმნიდნენ.

ერთხელ, მაგალითად, 2009 წლის ნოემბერში დააკავეს, ჯაბა ჯიშკარიანთან და ირაკლი კორძაიასთან ერთად, რო-დესაც პარლამენტის შენობის წინ ისხდნენ პლაკატებით ხელში. „ალიას“ ჟურნალისტი, რომელიც დაკავებისას იქვე იყო, წერდა, პოლიციელთან მივედი და ვკითხე „რატომ აკა-ვებთ ბიჭებს, მათ ნამდვილად არაფერი დაუშავებიათო...“. პოლიციელმა უპასუხა – „კანონი დაარღვიეს და იმიტომო“. „რეზონანსის“ ჟურნალისტიც აღნიშნავდა „პოლიციელე-ბისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, არც საზოგადოებ-რივი წესრიგი დაურღვევიათ და არც ისეთი მასობრივი აქცია გაუმართავთ, რომ პარლამენტარებისთვის მყუდროება დაე-რღვიათო“ [154]. საქმეში ჩახედული ყველა მხარე აღნიშნავდა, რომ სამივენი პოლიტიკური მოტივით დააკავეს. როგორც ჩანს, კანონი ფორმალურადაც კი არ დაურღვევიათ. ედავე-ბოდნენ, სახელმწიფო ობიექტებთან 20 მეტრში ატარებ-დნენ აქციას და პატრულს წინააღმდეგობა გაუწიესო. არადა, 50 მეტრის დაშორებით იდგნენ და პოლიციას არც კი შეპასუ-ხებიან.[155]

მოსამართლემ არც დაკავების დამსწრე ჟურნალისტები დაკითხა (პროცესი გაიწელებაო), არც დაკავების ამსახვე-ლი ვიდეომასალა ნახა (რომელიც ადვოკატს თან ჰქონდა

152 ინტერპრესნიუსი, „გიგი უგულავა ბენზინგასამართ სადგურზე დაჩი ცაგურიას მოემსახურა,“ https://bit.ly/2pNgbYd (ნანახია 2019 წლის აპრილში)

153 „9 აპრილის ახალგაზრდული შტაბი პრეზიდენტს სამუშაო საათებში რესტორნებში სიარულს „უკრძალავს,“ მარტი 31, 2009, https://bit.ly/2Pa0Qvu

154 რადიო თავისუფლება, ქართული პრესის მიმოხილვა. 24 ნოემბერი, 2009, https://www.radiotavisupleba.ge/a/1886597.html

155 ინტერპრესნიუსი, დაჩი ცაგურიას, ირაკლი კორძაიასა და ჯაბა ჯიშკარიანის საქმე სტრასბურგში გასაჩივრდება, მარტი 24, 2009, https://bit.ly/35WbvzF

მიტანილი) და სამივეს 500-ლარიანი ჯარიმა გამოუწერა. „ჩემი მოსამართლე სერგო მეთოფიშვილი იყო. ეს არის ყრუ, ბრმა, უგონო ადამიანი, რომელიც მოსამართლეობას მხოლოდ იბრალებს. ეს არის მიშას მონა და სხვა არაფერი.“ – ასე ახასიათებდა მაშინ დაჩი ცაგურია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დღევანდელ თავმჯდომარეს.[156]

დაჩი მაშინ, როგორც ჩანს, იოლად გამომძვრალა. ერთ-ერთი შემდგომი დაკავების დროს (ამჯერად 2012 წლის სექტემბერში, „ქართული ოცნების“ აქტივისტის რანგში დააკავეს, ბექა ალადოშვილთან და დავით ფაცაციასთან ერთად) ის ჯერ პოლიციელებმა, შემდეგ კი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა  სასტიკად ცემეს. სასამართლოზე კი პოლიციის მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის მოტივით ფაცაციას 40 დღით, ხოლო ცაგურიასა და ალადოშვილს 10–10 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს.[157]

„მოსამართლეს შეეძლო დაინტერესებულიყო რატომ ვიყავი ნაცემი, რატომ მქონდა დაზიანებები, რატომ მქონდა წამების კვალი, რომელიც მეტყობოდა იმ სასამართლო სხდომაზე, რომელსაც გვრიტიშვილი განიხილავდა. როცა ვთხოვე, დაინტერესდით, რატომ მაქვს ეს დაზიანებები, დიმიტრი გვრიტიშვილმა მიპასუხა, ეს ჩემი გასარკვევი არ არისო“ – ასე იხსენებს დაჩი ცაგურია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დღევანდელი თავმჯდომარის მაშინდელ საქციელს. [158]

---

156 Planeta.ge, „ცაგურია, ჯიშკარიანი და ირაკლი კორძაია დაიჭირეს!“ ნოემბერი 23, 2009, http://planeta.ge/topic/13456-ცაგურია-ჯიშკარიანი-და-ირაკლი-კო/page__st__45

157 ნეტგაზეთი, საიას შეფასებით, მოსამართლეებმა ცაგურიას საქმის განხილვისას კანონი დაარღვიეს, სექტემბერი 24, 2012,  http://netgazeti.ge/news/16156/

158 Ipress.ge, „ცაგურია პარლამენტს: არ აირჩიოთ დიმიტრი გვრიტიშვილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ!“ დეკემბერი 24, 2018, https://bit.ly/2Pa4tBi

თუმცა, ვერც უსამართლო 500-ლარიანი ჯარიმა და ვერც პოლიციელების მიერ სასტიკი ცემა და შემდეგ ამისთვის აქეთ მოსჯილი ათდღიანი პატიმრობა ვერ მოვა ახლოს იმასთან, რაც კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ, სულხან მოლაშვილმა გადაიტანა.

სულხან მოლაშვილი 2004 წლის აპრილში დააკავეს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის ბრალდებით და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საბოლოოდ, მან საპატიმროში 4 წელი დაჰყო.[159] ციხიდან გამოსვლისას საშინელი შესახედავი იყო – ეტყობოდა, რომ ჯოჯოხეთი ჰქონდა გამოვლილი. ის, რომ სულხან მოლაშვილი მთელი რიგი უსამართლობების და წამების მსხვერპლი იყო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომაც დადგინა – განჩინების მიხედვით სახელმწიფომ მასთან მიმართებით დაარღვია თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, დისკრიმინაციისა და წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის დაუშვებლობა.[160] სულხან მოლაშვილი 2016 წელს, ღვიძლის დაავადებით გარდაიცვალა, თუმცა მის ოჯახს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ჯანმრთელობა და სულიერი მდგომარეობა სახელმწიფომ, უფრო სწორად კი რამდენიმე კონკრეტულმა ადამიანმა მოსპო.

„ახლა ამბობენ, რომ კითხვები ისმის კაპანაძესთან მიმართებაში და კითხვები აქვს საზოგადოებასო. მე არავითარი კითხვა არ მაქვს. მე პირდაპირ ბრალს ვდებ, რომ ჩემი შვილი მაგანაც მოკლა. სულხან მოლაშვილს შუბლში ტყვია არავინ ესროლა, არც ხანჯალი გაუყრიათ, მაგრამ დაწყებული პირველი დღიდან, რა დღეშიც ჩააგდეს, გვარებს ჩამოვთვლი:

159 რადიო თავისუფლება, „20 000 ევრო და საქმის ხელახალი გამოძიება – ევროსასამართლო სულხან მოლაშვილის საქმეზე," ოქტომბერი 31, 2014, https://bit.ly/2pLpyY4

160 იქვე.

კაპანაძე, მეიშვილი, მურუსიძე, ვალერი გრიგალაშვილი, ბოკერია, ვინც გინდათ, იმდენი ხალხი იყო ჩემი შვილის ნელ-ნელა მოკვლაში ჩართული, რომ არ ვიცი. კითხვებს კი არ ვსვამ, პირდაპირ დანაშაულში ვამხელ ამ ხალხს.“ – განაცხადა სულხანის მამამ, თამაზ მოლაშვილმა.[161]

„კაპანაძე“, რომელსაც თამაზ მოლაშვილი ახსენებს, მანუჩარ კაპანაძეა, რომელიც მაშინ სულხან მოლაშვილის საქმეს განიხილავდა. დღეს ის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეა. [162]

როგორც თავიდანვე გითხარით, პერსონაჟები არ შეცვლილან. მეთოფიშვილის, კაპანაძის და გვრიტიშვილის სახელები დღეს უფრო ხშირად ხვდება ახალ ამბებში, ვიდრე მაშინ, როდესაც დაჩი ცაგურიას და სულხან მოლაშვილს ამტყუნებდნენ. დღემდე აქტუალურია ლევან მურუსიძის სახელი, რომელსაც საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე გახმაურებული საქმის, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის მონაწილეებისათვის სასჯელის შემცირებაში აქვს მონაწილეობა მიღებული.[163]

თავად ხელისუფლების წარმომადგენლები ამას ნორმალურად მიიჩნევენ. როდესაც ინგა გრიგოლიამ პარლამენტის თავმჯდომარეს უთხრა – სულხან მოლაშვილი ჩემი მეგობარი იყო და რას წარმოვიდგენდი, რომ მოსამართლე, რომელმაც მის განადგურებაში მიიღო მონაწილეობა ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც აქტუალური იქნებოდაო, ირაკლი კობახიძემ უპასუხა: „ადამიანები, რომლებიც მა-

161 იმედი, „სულხან მოლაშვილის მამა: პირდაპირ ბრალს ვდებ მანუჩარ კაპანაძეს, რომ ჩემი შვილი მაგანაც მოკლა,“ თებერვალი 24, 2018, https://bit.ly/2N7K1ym

162 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მანუჩარ კაპანაძე, http://hcoj.gov.ge/ge/kapanadze-manuchar

163 ნეტგაზეთი, „ლევან მურუსიძე გირგვლიანის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას „კანონის მძევლობით“ ხსნის,“ დეკემბერი 23, 2015, http://netgazeti.ge/news/86802/

სობრივად ჩადიოდნენ ცუდ რაღაცებს, ახლა ჩადიან კარგ რაღაცებს, ამაშია საქმე... პასუხისმგებლობის ზღვარი უნდა გაევლოს, აი, გერმანელებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იფიქრეს და გადაწყვიტეს რა – იყო რაღაცა პოლიტიკური დონე, ჰიტლერი, გებელსი, მათი მეგობრები, მათ დააკისრეს პასუხისმგებლობა, ნიურბერგის პროცესი და ყველაფერი. რაც შეეხება ქვედა დონეს, მოხელეებს და მოსამართლეებს, რომლებიც იყვნენ იმ რეჟიმის სამსახურში, მათ პასუხისმგებლობა არ დააკისრესო".[164] „კარგით რა, ბატონო ირაკლი!" – აღმოხდა ინგა გრიგოლიას პასუხად.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასება განსხვავდებოდა არა მხოლოდ ნაციზმთან დაკავშირებული საყოველთაოდ მიღებული შეხედულებებისგან (2018 წელს გერმანიაში 94 წლის კაცის სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს არასრულწლოვანი იყო და ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში ბადრაგად მუშაობდა. „ქვედა დონის მოხელეობას" ამდენი ათწლეულის მერეც კი არ პატიობენ[165]), არამედ სტრასბურგის სასამართლოს დასკვნისგან, სადაც წერია: „სასამართლო გაოგნებულია იმ შეთანხმებული ქმედებებით, რომლითაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოები მოქმედებდნენ... რათა ამ საშინელ მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყოო".[166]

ასევე, მოდი, სულაც თავი დავანებოთ საკითხს, თუ რამდენად „ქვედა დონის მოხელეები" იყვნენ მაშინ ეს მოსამართლეები. თავად მოსამართლეები ირაკლი კობახიძის

164 ტაბულა, „კობახიძე: მოსამართლეები, რომლებიც ცუდ რაღაცებს აკეთებდნენ, ახლა კარგ რაღაცებს აკეთებენ," თებერვალი 05, 2019, https://bit.ly/2MzZYys

165 გარდიანი, „ნაცისტური ომის დანაშაულების 94 წლის ეჭვმიტანილი გერმანიის ახალგაზრდული სასამართლოს წინაშე წარსდგა," სექტემბერი 21, 2018, https://bit.ly/2N6hvgJ

166 Civil.ge, „სტრასბურგის სასამართლოს განაჩენი გირგვლიანის საქმეზე," აპრილი 26, 2011, http://old.civil.ge/geo/article.php?id=23925

იმ სენტენციასაც კი არ იზიარებენ, რომ „ცუდ რაღაცებს“ ჩადიოდნენ.

პერსონაჟები კი არა, რიტორიკაც კი არ შეცვლილა. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძე დღეს ამბობს, რომ გირგვლიანის მკვლელები მან ჩასვა ციხეში[167] და, საერთოდაც, არასწორი არაფერი გაუკეთებია.[168]

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯომარე სერგო მეთოფიშვილი აცხადებს, რომ ახსოვს დაჩი ცაგურიას 2009 წლის საქმე და, მართალია, კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ მიანიშნებს, რომ არასწორი არაფერი გაუკეთებია.[169]

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე დიმიტრი გვრიტიშვილს კი ცაგურიას ცემის ფაქტი არ ახსოვს, მაგრამ ამბობს, რომ ცოტა ეჭვი მეპარება, ეს სუსტი აღნაგობის ბიჭი 50 კაცს ეცემაო.[170]

ერთადერთი, სიახლე რიტორიკაში ისაა, რომ ახლა წინახელისუფლებისდროინდელი სასამართლოს ხარვეზებში დიმიტრი გვრიტიშვილი ირიბად არასამთავრობოებს ადანაშაულებს და ეკითხება – სად იყავით 2012 წლამდეო.[171]

არადა, წესით სხვაზე უკეთესად უნდა იცოდეს ვინ სად იყო. სხვა თუ არაფერი, სწორედ დაჩი ცაგურიას საქმეზე

---

167 ტაბულა, „მურუსიძე: სანდრო გირგვლიანის მკვლელები ციხეში მე ჩავსვი,“ იანვარი 27, 2019, http://www.tabula.ge/ge/verbatim/143388-murusidze-sandro-girgvlianis-mkvlelebi-cixeshi-me-chavsvi

168 ნეტგაზეთი, „ლევან მურუსიძე გირგვლიანის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას „კანონის მძევლობით“ ხსნის,“ დეკემბერი 23, 2015, http://netgazeti.ge/news/86802/

169 Ipress.ge, „დაჩი ცაგურია მეთოფიშვილს: კი არ შეცვლილხართ, უფრო დიდ ნაძირლებად ჩამოყალიბებულხართ ამასობაში...“ იანვარი 10, 2019, https://bit.ly/3621PUf

170 მეტრონომი, „გვრიტიშვილი – დაჩი ცაგურიას ფაქტი არ მახსოვს,“ დეკემბერი 25, 2018, https://metronome.ge/story/182036

171 On.ge, „სად იყვნენ არასამთავრობოები 2012 წლამდე? — მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი,“ იანვარი 30, 2019, http://go.on.ge/yzf

მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წერდა თავის დროზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ – „ვფიქრობთ, წინასაარჩევნო პერიოდში ამგვარი ქმედება ცალსახად პოლიტიკურად იყო მოტივირებულიო.“[172] ცაგურიას, ფაცაციას და ალადოშვილს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ იცავდა და დაწვრილებით აღწერდა პროცესის დროს დაფიქსირებულ დარღვევებს, შემდეგ კი აცხადებდა – „ამ საქმეთა ანალიზი გვიქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ მითითებულ პირთა დაკავების მიზეზი მათი პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივობა გახდა და არა რაიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენაო“.[173]

დღეს თუ სადმე მედიაში გვრიტიშვილის და მურუსიძის გვარს ერთ წინადადებაში შეხვდებით, დიდი ალბათობით იქვე მიხეილ ჩინჩალაძეც და სიტყვა „კლანიც“ იქნება ნახსენები. თავად მოსამართლეებს, ცხადია, ეს სიტყვა არ მოსწონთ. „ოჯახს“ ამჯობინებენ.[174]

* * *

დავა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარმართულიყო სასამართლოს რეფორმა და როგორი უნდა ყოფილიყო წარსულში გახმაურებულ საქმეებში მონაწილე მოსამართლეების ბედი 2013 წლიდან მიმდინარეობს. თუმცა, ხმამაღალმა დაპირისპირებამ თავად მმართველ პარტიაში 2018 წლის ბოლოს იჩინა თავი, როდესაც ეკა ბესელიამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი დატოვა.[175]

---

172 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „განცხადება ბოლო დროს განხორციელებული დაკავებების შესახებ,“ სექტემბერი 23, 2012, https://bit.ly/32FVZWH

173 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საია დავით ფაცაციას, დაჩი ცაგურიასა და ბექა ალადოშვილს ადმინისტრაციული დაკავების ფაქტს აპროტესტებს,“ სექტემბერი 23, 2012, https://bit.ly/33WXy2N

174 ლიბერალი, „ლევან მურუსიძე: მიმაჩნია, რომ მოსამართლეები ჩემი ოჯახის წევრები არიან,“ დეკემბერი 28, 2018, https://bit.ly/2pFtMRa

175 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ეკა ბესელიამ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა,“ დეკემბერი 27, 2018, https://bit.ly/33T01uU

ბესელიამ წასვლის მიზეზად პარლამენტის თავმჯდომარის მითითება დაასახელა – ირაკლი კობახიძე ითხოვდა, რომ ეკა ბესელიას მოსამართლეების სია პარლამენტში დარეგისტრირებიდან მეოთხე დღეს განეხილა და მხარი დაეჭირა. ეკა ბესელია ამტკიცებდა, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკება ბევრჯერ ვცადე, ირაკლი კობახიძესაც შევხვდი და ბიძინა ივანიშვილსაც და, როდესაც ასე ვერაფერს გავხდი, გადავდექი და ამით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების სიის დამტკიცებას შევუშალე ხელიო.[176]

გადადგომამდე ეკა ბესელიამ მის მოადგილეს, ვანო ზარდიაშვილს დაატოვებინა თანამდებობა, რადგან, მისი თქმით, არ უნდოდა იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მის ხელში დაეტოვებინა. ვანო ზარდიაშვილი, სულ მცირე ხუთი გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, მმართველი პარტიისა და „სასამართლოს კლანური მმართველების“ საერთო საკონტაქტო პირია.[177]

მოსამართლეების საკითხზე დავა „ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე კვირა გაგრძელდა. ეკა ბესელია ბიძინა ივანიშვილმა დატუქსა და თქვა, რომ თავისი გადაწყვეტილებით ის გუნდისა და გუნდურობის წინააღმდეგ წავიდა.[178]

„ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე დავის პარალელურად ინტერნეტში ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გავრცელდა. პარლამენტარმა შესაბამის პირებს ამ კადრების გამავრცელებლების დადგენა მოთხოვა. „მივ-

176 On.ge, „მოსამართლეები, რომლებიც მასობრივად სჩადიოდნენ ცუდ რაღაცებს, ახლა სჩადიან კარგ რაღაცებს — კობახიძე,“ თებერვალი 05, 2017, http://go.on.ge/z9p

177 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმიანებიან მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას ხელისუფლებისა და სასამართლოს სისტემის წარმომადგენლების არაფორმალურ კავშირებზე,“ ივლისი 11, 2017, https://bit.ly/2o3Kwky

178 On.ge, „ეკა ბესელია თავისი გადაწყვეტილებებით გუნდისა და გუნდურობის პრინციპების წინააღმდეგ წავიდა — ბიძინა ივანიშვილი,“ იანვარი 10, 2019, http://go.on.ge/y9o

მართავ საჯაროდ შალვა თადუმაძეს, გიორგი გახარიას და ვახტანგ გომელაურს, სასწრაფოდ და უმოკლეს ვადაში დაადგინეთ, ვინ განახორციელა და ვინ დგას ამ მორალური ტერორის უკან? ... მე მგონი, კარგად ესმის ყველას, რას ნიშნავს წითელი ხაზების გადაკვეთა“ – განაცხადა ეკა ბესელიამ.[179]

შსს-მ ამ კადრების გავრცელების საქმეზე 18 პირი დააკავა.[180] დაკავებულებს შორის არ ყოფილა „მორალური ტერორის“ არც ერთი მასობრივი ორგანიზატორი. სამაგიეროდ, მაგალითად, შუაღამით ჩატარებული ოპერაციის შედეგად მომაკვდავი მამის თვალწინ დააკავეს არასრულწლოვანი ანა არაოშიძე, რომელმაც ეს კადრები მართლაც ნახა და ჩატში სამ მეგობარს გაუგზავნა.[181]

თებერვლის ბოლოს ეკა ბესელიამ და მისმა რამდენიმე თანამოაზრემ მმართველი პარტია დატოვეს. „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა.[182] მოსამართლეების გარშემო დავა ამ წიგნის წერის ბოლომდე გრძელდებოდა და, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს არ დასრულდება.

* * *

არადა, კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მოსვლის პირველ თვეებში მოვლენები თითქოს სხვაგვარად ვითარდებოდა. 2013 წლის მაისში ძალაში შევიდა მართლმსაჯულების რეფორმის „პირველი ტალღის“ ცვლილებები, რომელთა დიდი ნაწილი არასამთავრობო

179 ნეტგაზეთი, „ეკა ბესელიას განცხადება პირადი ცხოვრების ამსახველი შესაძლო კადრების გავრცელებაზე,“ იანვარი 28, 2019, http://netgazeti.ge/news/336539/

180 ნეტგაზეთი, „შსს – პირადი ცხოვრების კადრების საქმეზე 16 პირია დაკავებული,“ თებერვალი 1, 2019, http://netgazeti.ge/news/337620/

181 ნეტგაზეთი, „ფარული კადრების საქმეზე დაკავებული საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივის,“ თებერვალი 22, 2019, http://netgazeti.ge/news/342817/

182 იმედი, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა,“ თებერვალი 22, 2019, https://bit.ly/2ME5os0

ორგანიზაციების რეკომენდაციებს ეფუძნებოდა. ცვლილებების თანახმად, მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრიდან 7 ახალი მოსამართლე წევრი, მათ შორის საბჭოს მდივანი უნდა აერჩიათ.[183]

დაახლოებით ამავე დროს იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა წინა ხელისუფლების პერიოდში სისხლის სამართლის „უსამართლოდ განხილული“ საქმეების გამოსავლენად და შესაცვლელად, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ კანონპროექტი წარმოადგინა. მინისტრი არ გამორიცხავდა, რომ კომისიის მუშაობას ზოგიერთი მოსამართლის დასჯაც მოჰყოლოდა. კომისიის შექმნას მაშინ უზენაესი სასამართლოს იმდროინდელი თავმჯდომარე, კოტე კუბლაშვილი აპროტესტებდა – კანონპროექტი სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, სამართლებრივ უსაფრთხოებას, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებსო.[184]

იუსტიციის საბჭოს არჩევნებს იმედის თვალით უყურებდნენ. ერთი შეხედვით, მმართველი გუნდი და მისი წარმომადგენელი, თეა წულუკიანი, მხარს უჭერდნენ ძირეულ ცვლილებებს სასამართლო სისტემაში. იუსტიციის მინისტრი, მაგალითად, ესწრებოდა და მხარს უჭერდა ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ დაფუძნებას, რომელიც სასამართლო სისტემის მაკრიტიკებელი მოსამართლეებისგან შედგებოდა.[185] საბჭოს არჩევნების წინ თეა წულუკიანმა „ყველა სიახლეს“ მისცა ინტერვიუ, სადაც

183 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლსმსაჯულებისთვის, „მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში,“ მაისი 06, 2012, http://www.coalition.ge/index.php?article_id=55&clang=0

184 რადიო თავისუფლება, „მართლმსაჯულების ხარვეზების შესასწავლად კომისია იქმნება“, მარტი 16, 2013, https://www.radiotavisupleba.ge/a/justice-commission/24930501.html

185 ამბები.ge, „თეა წულუკიანი – 9 ივნისი მართლმსაჯულების ისტორიაში დიდი დღეა“, ივნისი 4, 2013, https://www.ambebi.ge/article/79224-tea-culukiani-9-ivnisi-martlmsajulebis-istoriashi-didi-dgea/

თქვა: „მოსამართლეებს ეძლევათ ისტორიული შანსი, გათავისუფლდნენ როგორც კუბლაშვილის, ასევე მეიშვილის, ჩინჩალაძის, ანუ ხელმძღვანელობის დიქტატისგან. დარწმუნებული ვარ, მოსამართლეები იყოჩაღებენ და აირჩევენ დამოუკიდებელ წევრებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოშიც და სადისციპლინო კომისიაშიცო“.[186]

თეა წულუკიანის მიერ ნახსენები ზაზა მეიშვილი იმ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან სამ დღეში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად აირჩიეს.[187] იუსტიციის საბჭოს მდივანი ლევან მურუსიძე გახდა.[188] საბჭოში ვერ მოხვდა კრიტიკულად განწყობილი ვერც ერთი მოსამართლე. ამავე ინტერვიუში ნახსენები მიხეილ ჩინჩალაძე დღეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეა.

ამ არჩევნებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ლევან მურუსიძეს პირველად შეხვდა ბიძინა ივანიშვილი, რომელიც მაშინ პრემიერი გახლდათ და, როგორც ჩანს, მოხიბლა კიდევაც. „დავრწმუნდი კიდევ ერთხელ, რომ სასამართლოში არის ძალიან ბევრი ჯანსაღი, ძალიან ბევრი პროგრესული კადრიო“ – თქვა მაშინ ბიძინა ივანიშვილმა.[189]

ბიძინა ივანიშვილმა ამის შემდეგ არაერთხელ შეაქო მურუსიძე. „აი, ვნახე კაცი, რომელიც ნამდვილად პასუხისმგებლობას იკისრებს იმისთვის, რომ სასამართლო იყოს მომავალში სამართლიანი და სასამართლოს ჰქონდეს პრესტიჟი და ნდობა მოსახლეობისგანო“ – თქვა ერთი შეხვედრის შე-

186 ამბები.ge, „რა პრეტენზიები ჰქონდა წულუკიანს კბილაშვილისადმი,“ ივნისი 05, 2016, https://bit.ly/2Mzud8B

187 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ზაზა მეიშვილი, http://hcoj.gov.ge/ge/zaza-meishvili

188 ტაბულა, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიტატთაგან ბარიერი ვერცერთმა გადალახა,“ ივნისი 09, 2013, https://bit.ly/33T3NEA

189 ნეტგაზეთი, „ივანიშვილი: მოსამართლეებს უნდა შევუქმნათ მაქსიმალური კომფორტი,“ ივლისი 12, 2013, http://netgazeti.ge/news/23647/

მდეგ.[190] ორი წლის შემდეგ, სატელევიზიო გამოსვლისას კი მურუსიძეს „გირგვლიანის საქმეზე“ პასუხისმგებლობაც ააარიდა. „სისტემის მსხვერპლი გახლდათ გირგვლიანი და არა ისე, როგორც დღეს ხატავენ, რომ ეს ლამის თავიდან ბოლომდე მურუსიძის გაკეთებული იყო, იმხელა აჟიოტაჟია აწეულიო“ – განაცხადა მან. [191]

2013 წლის ბოლოსთვის გამოჩნდა, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია არასოდეს შეიქმნებოდა. ოფიციალურად მისი შექმნა „გადაიდო“, თუმცა ნათელი იყო, რასაც ნიშნავდა ეს. „კომისიის შექმნას არავინ არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მთავრობამ მიიჩნია, რომ ძალიან ფრთხილად არის გასათვლელი ის შედეგები, რაც შესაძლოა ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მივიღოთ. თუ ადამიანს გაამართლებ, მას გაუჩნდება მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება, ამისთვის კი, დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა მზად არ არისო“ – განაცხადა მაშინ თეა წულუკიანმა.[192]

პარალელურად, რამდენიმე წლის განმავლობაში ნელ-ნელა მყარდებოდა კავშირები „სასამართლოს კლანსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის. მიხეილ ჩინჩალაძის მეგობარი ვანო ზარდიაშვილი ჯერ გენერალური აუდიტორის პირველ მოადგილედ დაინიშნა.[193] შემდეგ, ლევან მურუსიძემ ზარდიაშვილის მეუღლე თინათინ აბრალავა წარადგინა იუსტიციის საბჭოს მოსამართლის საქმიანობის შეფასე-

190 Old Georgia, „No comment: ბიძინა ივანიშვილის და ლევან მურუსიძის შეხვედრა, 2013,“ აგვისტო 13, 2018, https://www.youtube.com/watch?v=XA4HZ5-EGn0

191 ნეტგაზეთი, „ივანიშვილი: გირგვლიანი იყო სისტემის მსხვერპლი და არა კონკრეტული მოსამართლის,“ დეკემბერი 30, 2015, http://netgazeti.ge/news/88222/

192 ტაბულა, წულუკიანი: მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა ნაადრევია, ნოემბერი 28, 2013, https://bit.ly/2PcCYHA

193 საქართველოს პარლამენტი, ვანო ზარდიაშვილი, http://www.parliament.ge/ge/mp/5628

ბის მართვის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე.[194] ვანო ზარდიაშვილი შემდეგ „ქართული ოცნების“ სიით პარლამენტში შევიდა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობას დაიკავა, „რის შემდეგაც აქტიურად ლობირებდა ისეთ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომელთაც კლანის ძალაუფლების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია“.[195]

რეფორმის „მესამე ტალღა“ სამი წლით გაჭიანურდა, რის შედეგადაც, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ შეფასებით:

- გადავადდა საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ამოქმედება;
- შენარჩუნდა ყველა მოსამართლისათვის დადგენილი 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა;
- შენარჩუნდა სასამართლოს თავმჯდომარეების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დანიშვნის წესი, მოსამართლეების მიერ მათი არჩევითობის ნაცვლად;
- მოსამართლეთა დანიშვნის წესში შენარჩუნდა ხარვეზები, რომელიც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას აძლევს;
- 2014-2016 წლებში ხარვეზიანი წესით დაინიშნა 100-ზე მეტი მოსამართლე.[196]

დღეს არსებულ ვითარებას ასე აღწერს საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის თავმჯდომარე, გიორგი მშვენიერაძე: „თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე არის ბატონი მიხეილ ჩინჩალაძე, ქუთაისის სააპელაციო

194 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, თინათინ აბრალავა, https://bit.ly/2MEEsZy

195 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „ოცნების სასამართლოს ანატომია,“ თებერვალი 21, 2019, https://www.transparency.ge/ge/blog/ocnebis-sasamartlos-anatomia

196 იქვე.

სასამართლოს თავმჯდომარე არის ბატონი დიმიტრი გვრიტიშვილი, ყველაზე დიდი საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე არის ბატონი ვასილ მშვენიერაძე, საქართველოში ყველაზე დიდი სამოქალაქო კოლეგიის თავმჯდომარე არის ბატონი სერგო მეთოფიშვილი. კლანზე როცა ვლაპარაკობთ ჩვენ, ეს არის კლანი, ეს ადამიანები არიან ერთმანეთთან გადაჯაჭვული ადამიანები".[197]

თუმცა, ჩნდება შეკითხვა – რა შავდება ამით? კარგი, ვთქვათ არიან სასამართლოში ერთმანეთთან გადაჯაჭვული ადამიანები, რომლებიც, ადრე ცუდ გადაწყვეტილებებს იღებდნენ (მართალია თავად ამას მაინცდამაინც არ აღიარებენ, მაგრამ, მაინც...). რატომ არსებობს ეჭვი, რომ ისინი დღესაც შეიძლება არა მართლმსაჯულების, არამედ ფორმალური თუ არაფორმალური ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებდნენ? ეჭვს რამდენიმე გახმაურებული საქმე აჩენს.

### კაბელების საქმე

თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხუთი ყოფილი თანამშრომელი ბიუჯეტის სახსრების გაფლანგვის ბრალდებით 2014 წელს დააკავეს.

პროკურატურის მტკიცებით, ბრალდებულებმა კომპანია „სილქნეტს" უსამართლოდ გაამარჯვებინეს ტენდერში, რომლის მიზანიც კოჯორი-ახალციხე-ბათუმის მიმართულებით ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის შეძენა იყო. ბრალდების მიხედვით, სამინისტროს და გენერალური შტაბის თანამშრომლებმა არ გაითვალისწინეს, რომ სხვა კომპანიებს უკეთესი პირობები ჰქონდათ შეთავაზებული და, საბოლოოდ, მეტისმეტად ძვირი გადაიხადეს იმაზე ნაკლებ სამუშაოში, რაც თავდაპირველ მოთხოვნაში იყო გათვალისწინებული. პროკურატურა ამტკიცებდა, „სილქნეტის"

197 on.ge, „სად იყვნენ არასამთავრობოები 2012 წლამდე? — მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი," იანვარი 30, 2019, http://go.on.ge/yzf

გაწეული მომსახურება რეალურად 2 618 005 ღირდა და, რადგან სახელმწიფომ 6 720 877 ლარი გადაიხადა, შესაბამისად, ბრალდებულებს 4 102 872 ლარი გაუფლანგავთო.[198]

რა მოტივი ჰქონდათ ბრალდებულებს? თითქოს, სულელური შეკითხვაა, არა? რა მოტივი უნდა ჰქონოდათ – ასეთ შემთხვევებში ერთი ფორმულაა ხოლმე – ჩინოვნიკები კომპანიას ნაკლებს უხდიან და სხვაობას იჯიბავენ. ან, კომპანიას თანხას სრულად ურიცხავენ, შემდეგ კი ე.წ. „ატკატის“ სისტემა ამოქმედდება და იმ თანხის ნაწილი ქრთამის სახით უბრუნდებათ ხოლმე უკან.

ოღონდ, „კაბელების საქმის“ შემთხვევაში არც ერთი მომხდარა და არც მეორე. ფული „სილქნეტს“ პირდაპირ ბიუჯეტიდან გადაერიცხა, ბრალდებულებს მასთან შეხება საერთოდ არ ჰქონიათ. პროკურატურას არც უცდია იმის მტკიცება, რომ ხუთიდან რომელიმემ რაიმე სახით იხეირა ამ გარიგებისგან. დანაშაულის მოტივზე გაჩენილ შეკითხვებს ბრალდება ასე პასუხობდა – დანაშაულია არა მხოლოდ საკუთარი ქონების გაზრდა, არამედ სხვისი ქონების უკანონო გაზრდაცო. თუმცა, რაიმე მტკიცებულება, რომ რომელიმე ბრალდებულს ოდესმე შეხება ჰქონია „სილქნეტთან“, პროკურატურას არ წარმოუდგენია.[199]

რაც შეეხება თავად „სილქნეტს“, მას სასამართლოში არავინ ედავებოდა, მაგრამ კომპანია  მაინც დაზარალდა. განცხადება გაავრცელეს: „პროკურატურის მიერ გავრცელებული მასალა ისეთ ინფორმაციას შეიცავს, რაც აზიანებს როგორც „სილქნეტის“ იმიჯსა და საქმიან რეპუტაციას, ასევე ბიზნესს ქვეყანაშიო“. კომპანიის მტკიცებით, მათ ზუსტად ის მომსახურება შესთავაზეს სახელმწიფოს, რაც თავდაპირველ მოთხოვნაში იყო დასახელებული. მეტიც,

198 on.ge, „კაბელების საქმე: დეტალები მოკლედ,“ მაისი 20, 2016, http://go.on.ge/xm

199 იქვე.

მათივე ინფორმაციით, ტენდერში მონაწილე სხვა კომპანიებს სამინისტროსთვის გაცილებით ძვირი შეთავაზებები ჰქონდათ გაკეთებული. [200]

საქმეში ჩაუხედავ ადამიანს აქ წესით გაუჩნდება შეკითხვა – კი, მაგრამ, რა შუაშია აქ სასამართლოს დამოუკიდებლობა? ვისთვის რა უნდა დაეშავებინა ხუთ არც თუ ისე მაღალჩინოსანს?

სინამდვილეში, ვარაუდობენ, რომ იმ ხუთი ადამიანის დაკავება სულ სხვა ამოცანას ემსახურებოდა. რეალური სამიზნე მაშინდელი თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია იყო. ბიძინა ივანიშვილი ღიად და საჯაროდ იყო დაპირისპირებული თავის ყოფილ თანაგუნდელთან. ეს დაპირისპირება საბოლოოდ ირაკლი ალასანიას გადადგომით დასრულდა.[201]

ეჭვებს უამრავი სხვადასხვა გარემოება აძლიერებდა. მათ შორის ის, რომ ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი სატელევიზიო გამოსვლაში საქმის ისეთ დეტალებზე ლაპარაკობდა, რომლებზეც, წესით წვდომა არ უნდა ჰქონოდა – საქმეს საიდუმლო გრიფი ედო. თავად ბიძინა ივანიშვილი ამტკიცებდა, რომ დასკვნებს მხოლოდ საგამოძიებო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აკეთებდა, თუმცა ბევრი არასამთავრობოსთვის ამას ეჭვები არ გაუფანტავს.[202]

რვა მსხვილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მაშინ ერთობლივი განცხადება გაავრცელა, სადაც რამდენიმე საეჭვო გარემოებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას: რომ მსჯავრდებულები თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი რანგის

---

200 On.ge, „სილქნეტი: პროკურატურის მასალა კაბელების საქმეზე, აზიანებს ბიზნესს ქვეყანაში," მაისი 18, 2016, http://go.on.ge/wj

201 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, „არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება „კაბელების საქმეზე," მაისი 18, 2016, https://bit.ly/2qACaSp

202 On.ge, „კაბელების საქმე: დეტალები მოკლედ," მაისი 20, 2016, http://go.on.ge/xm

თანამდებობის პირები არ იყვნენ და ხელი საერთოდ არ მიუწვდებოდათ თანხაზე, რომლის გაფლანგვასაც პროკურატურა აბრალებდა; რომ მათ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება საერთოდ არ შეეძლოთ, შესაბამისად გაუგებარი იყო, რატომ არ დაკითხა პროკურატურამ მათი ზემდგომები, მათ შორის თავდაცვის მინისტრი; რომ ბრალდება ვერ ასაბუთებდა, რომ მსჯავრდებულებს ანგარება ამოძრავებდათ...[203]

ცალკე აღინიშნა ისიც, რომ მოსამართლემ 18-თვიანი განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება სულ რაღაც 2 არასამუშაო დღეში მიიღო და ბრალდებულებს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სააპელაციო სასამართლომ შემდეგ მათი ბრალდების მუხლი გადააკვალიფიცირა „სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად“ და  თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადამდე შეამცირა.[204] ამის მერე მსჯავრდებულები, წლინახევრამდე პატიმრობის შემდეგ, პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა შეიწყალა, რომელმაც დაასკვნა: „სამწუხაროდ, მთელი პროცესის განმავლობაში პოლიტიკოსების მხრიდან წინმსწრებად გამოთქმული შეფასებები ამძიმებდა საქმის ვითარებას და აღძრავდა კითხვებს შერჩევითი მართლმსაჯულებისა და პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლებრივი დევნის თაობაზე. პროცესის ვერც ერთ ეტაპზე პროკურატურამ ვერ შეძლო წაყენებული ბრალის სათანადოდ დასაბუთება. რასაც სხვადასხვა ეტაპზე არაერთი მწვავე შეფასება მოჰყვა, როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.“ [205]

---

203 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, „არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება „კაბელების საქმეზე,“ მაისი 18, 2016, https://bit.ly/2qACaSp

204 რადიო თავისუფლება, „კაბელების საქმე“ კვალიფიკაციას იცვლის – დაკავებულებს მალე გაათავისუფლებენ,“ იანვარი 26, 2017,  https://bit.ly/2Jijai8

205 ნეტგაზეთი,“ კობახიძის თქმით, კაბელების საქმე დანაშაული იყო, თუმცა რეალურ დამნშავეს „პასუხი არ უგია,“ თებერვალი 05, 2019,  http://netgazeti.ge/news/338726/

საბოლოოდ, ამ ამბებით კმაყოფილი ცოტა ვინმე თუ დარჩა. მხოლოდ არჩილ თალაკვაძემ თუ მიიჩნია „კაბელების საქმე“ ქვეყნის დემოკრატიულობის მახასიათებლად, რადგან, მისი მტკიცებით, „ინსტიტუტებმა, თუნდაც განსხვავებული პოზიციებით, საკუთარი როლი შეასრულეს და საკუთარი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში“.[206]

თალაკვაძის ეს მოსაზრება არ გაუზიარებია არც ერთ მნიშნელოვან ადგილობრივ თუ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციას და ამ საქმის ხსენებას შეხვდებოდით უამრავ საერთაშორისო მიმართვასა თუ დოკუმენტში. „ჰიუმან რაიტს უოჩმა“ „კაბელების საქმე“ აღწერა 2017 წლის ანგარიშში, ქვეთავში სათაურით „მართლმსაჯულების პოლიტიზებასთან დაკავშირებული შეშფოთება“.[207]

როგორც ჩანს, არჩილ თალაკვაძის მოსაზრებას ბოლომდე არც მმართველ პარტიაში იზიარებენ. ირაკლი კობახიძემ, მაგალითად ინგა გრიგოლიას უთხრა, რომ, თავის დროზე საქმის დეტალებს გაეცნო და აშკარა დანაშაულის ნიშნები დაინახა. თუმცა, მისივე ინფორმაციით, მსჯავრდებულებს სახლში კაპიკიც არ წაუღიათ და, როგორც ჩანს, რეალური დამნაშავე სხვა იყო, რომელიც მართლმსაჯულებას გაექცა.[208]

პარლამენტის თავმჯდომარის ამ განცხადებას მაშინვე ხმაური და პროტესტი მოჰყვა. საქმე იმაშია, რომ „თავის დროზე“ ირაკლი კობახიძე „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი იყო და წესით ვერაფრით უნდა გაცნო-

206 ტაბულა,“ თალაკვაძე: ჩემთვის ე.წ. კაბელების საქმე არის დემოკრატიული ქვეყნის მახასიათებელი,“ იანვარი 28, 2017, https://bit.ly/2BCWR2g

207 რადიო თავისუფლება, „„კაბელების საქმე“ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის მოლოდინში,“ იანვარი 16, 2017, https://www.radiotavisupleba.ge/a/kabelebis-saqme/28236565.html

208 ტაბულა, „კაბელების საქმის“ ადვოკატი: კობახიძემ პირდაპირ ეთერში აღიარა თავისი გუნდის ჩადენილი დანაშაული,“ თებერვალი 05, 2019, https://bit.ly/31AN4o1

ბოდა იმ საქმის დეტალებს, რომელსაც გრიფი საიდუმლო ედო.[209]

**თამბაქოს საქმე**

2016 წლის 24 თებერვალს „თბილისის თამბაქომ“ სასამართლოში საჩივარი შეიტანა კომპანია „ფილიპ მორისის“ წინააღმდეგ – სიგარეტის თვითღირებულებაზე დაბალ ფასად რეალიზაციის გამო.

„ფილიპ მორისი“ ალბათ იცით – „მარლბოროს“ მწარმოებელი ამერიკული კომპანიაა – სიგარეტისა და თამბაქოს მწარმოებელი გიგანტი. შპს „ფილიპ მორისი საქართველო“ არის „Philip Morris International“-ის შვილობილი კომპანია

„თბილისის თამბაქო“ შეიძლება არ იცოდეთ – ეს კომპანია 1998 წლიდან თამბაქოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ადგილობრივი მწარმოებელია საქართველოს ბაზარზე. „თბილისის თამბაქო“ აწარმოებს, მაგალითად, „პირველს“, რომელიც საქართველოში ყველაზე გაყიდვადი სიგარეტის ბრენდების სამეულში შედის. კომპანიის სახელს საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს უკავშირებენ.[210]

როგორ წარმოგიდგენიათ, რამდენი ხანი შეიძლება დაჭირდეს იურისტებით კარგად შეიარაღებული ორი უზარმაზარი კომპანიის დავის განხილვას, როდესაც საქმეში უამრავი მოცულობითი მასალაა და სასწორზე ათობით მილიონი ლარი დევს? ვერ გამოიცანით! სასამართლომ დავა არსებითად ერთ სხდომაში განიხილა და გადაწყვეტილებაც იმავე

209 ნეტგაზეთი, “როგორ გაეცნო კობახიძე გრიფით საიდუმლო „კაბელების საქმის“ დეტალებს?“ თებერვალი 06, 2019, http://netgazeti.ge/news/338751/

210 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „კორუფციის კვამლი: დიდი განაწილება თამბაქოს ბიზნესში,“ სექტემბერი 26, 2018, https://bit.ly/2Q5CP5R

სხდომაზე გამოაცხადა. „ფილიპ მორისს“ „თბილისის თამბაქოსთვის“ 93 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა.[211]

საიდან მოვიდა ეს უზარმაზარი თანხა? საქმე იმაშია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს შეფასებით, კომპანია „ფილიპ მორისის“ მიერ ბაზარზე კონკურენტების გაძევების მიზნით დადგინდა დემპინგური ფასები, რის გამოც სს „თბილისის თამბაქოს“ მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. სასამართლომ ერთ დღეში გადაწყვიტა, რომ „თბილისის თამბაქოს“ უნდა მიეღო თანხა, რომელსაც ის მიიღებდა 2013-2015 წლებში, მისი გაყიდვები იმავე ტემპით რომ გაგრძელებულიყო, როგორც 2011-2013 წლებში. ამას გარდა, „ფილიპ მორისს“ უნდა აენაზღაურებინა მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც „თბილისის თამბაქო“ მიიღებდა თანხის საბანკო ანაბარზე განთავსების გზით. კომპანიას ასევე უნდა ანაზღაურებოდა ის თანხა, რომელსაც, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში დახარჯავდა სარეკლამო კამპანიისთვის. „ფილიპ მორისს“ ასევე დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება შემდგომი 10 წლის განმავლობაში.[212]

საქმე იმდენად საეჭვო იყო, რომ საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვნენ რომლებიც, როგორც წესი, თამბაქოს ორი კომპანიის დავასთან დაკავშირებით კომენტარებს არ აკეთებენ ხოლმე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება. პირველ რიგში კი იმაზე, რომ საქართველოში არ არსებობს საკა-

211 ლიბერალი, „სასამართლო „ფილიპ მორისის“ საქმეზე: დაირღვა კონკურენციის კანონის მოთხოვნები,“ მარტი 31, 2017, https://bit.ly/2W2L3js

212 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „სასამართლოს გადაწყვეტილება კომპანია „ფილიპ მორისისთვის“ 93 მილიონამდე ლარის დაკისრებასთან დაკავშირებით კითხვებს ბადებს,“ მარტი 30, 2017, https://bit.ly/2LgW0uG

ნონმდებლო ნორმა, რომელიც სამართლებრივ დონეზე დაარეგულირებს დემპინგური ფასების დადგენას.[213] ასევე გაუგებარი იყო, თუ რა საფუძვლით გამოიყენა „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი სასამართლომ კერძო პირებს შორის დავის გადაწყვეტისას მაშინ, როდესაც ამ კანონის დარღვევისას, მხოლოდ სახელმწიფოა უფლებამოსილი ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომით თამბაქოს მწარმოებლის წინააღმდეგ.“

ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ „თბილისის თამბაქოს“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელი იყო, რომ კორუფციის ეჭვებს ბადებდაო – ასკვნიდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა“.[214]

სასამართლოს პასუხი ასეთი იყო – არ არის საჭირო უსაფუძვლო და გადამეტებული კრიტიკა, გადაწყვეტილება ძალაში ჯერ არ შესულა და, დიდი ალბათობით, გასაჩივრდება კიდეცო.[215]

გასაჩივრდა კიდეც. საქმის განხილვა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში მწვავე გამოხმაურების ფონზე მიმდინარეობდა (ერთი ამერიკელი კონგრესმენი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სანქციების დაწესებასაც კი ითხოვდა).[216] თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად შეცვალა და გააუქმა „ფილიპ მორისის“ ვალდებულება 93 მილიონამდე ლარის გადახდასთან დაკავშირებით. „თბილისის თამბაქომ“ ამ გადაწყვეტილების

213 იქვე.

214 იქვე.

215 ლიბერალი, „სასამართლო „ფილიპ მორისის“ საქმეზე: დაირღვა კონკურენციის კანონის მოთხოვნები,“ მარტი 31, 2017, https://bit.ly/2W2L3js

216 ტაბულა, „ამერიკელი კონგრესმენი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სანქციებს ითხოვს,“ დეკემბერი 9, 2017, https://bit.ly/35WiOr7

შეცვლის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოს მიმართა, თუმცა შემდეგ, საკასაციო საჩივარზე თავადვე თქვა უარი.

სალაპარაკოც ბევრი აღარ იქნებოდა, რომ არა „რუსთავი 2“-ის მიერ გასაჯაროებული ფარული ჩანაწერები, სადაც ამ სასამართლო პროცესის პარალელურად მიმდინარე ფარულ გარიგებებზე იყო ლაპარაკი.

* * *

2018 წლის შემოდგომაზე „რუსთავი 2“-მა მოიპოვა რამდენიმე ფარული ჩანაწერი, რომელიც „ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებულ საქმეებს შეეხებოდა. „ომეგა ჯგუფი“ რამდენიმე კომპანიის გაერთიანებაა, რომლებიც თამბაქოს წარმოებისა და დისტრიბუციის, მედიისა და სხვა სფეროებში მოღვაწეობენ.[217] „ომეგას“ დამფუძნებელი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი ზაზა ოქუაშვილია, რომელსაც იმ დროს თავისი ანგარიშები ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან და რომელმაც, დიდი ალბათობით, მიაწოდა კიდევაც ტელევიზიას ფარული ჩანაწერები.

ამ ჩანაწერებიდან ორი უშუალოდ თამბაქოს ბაზარზე წილების გადანაწილების საკითხს და ამ საქმეში ხელისუფლების უმაღლესი პირების ჩართულობას შეეხებოდა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ჩანაწერების ავთენტურობა დადგენილი არ არის. საუბრებში მონაწილე პირების ნაწილი ადასტურებს, რომ რაღაც სახის მოლაპარაკებებს მართლაც ჰქონდა ადგილი, თუმცა ამტკიცებენ, რომ ტელეეთერში ის დამონტაჟებული სახით გავიდა.[218] ამის მიუხედავად, ამ საქმის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის ანალიზის, ასევე საქმეში ჩახედული წყაროების მონათხრობის შედეგად „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ დაასკვნა, რომ

217 ომეგა, ომეგა ჯგუფის შესახებ, http://www.omega.ge/index.html

218 For.ge, „ლონდონი ამტკიცებს, რომ „რუსთავი 2“– მა და „იბერია“– მ ჩხარტიშვილის ჩანაწერი დაამონტაჟეს,“ ოქტომბერი 02, 2018, https://bit.ly/2Bzu3I3

„მაღალი ალბათობით საქმე გვაქვს კორუფციის შემთხვევასთან, რომლის ბენეფიციარები მაღალი თანამდებობის პირები და მმართველი პარტია იყვნენ. ამასთან, ბიზნეს-ჯგუფებთან ერთად, მოცემულ სქემაში სავარაუდოდ მონაწილეობდნენ როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები.“[219]

ფარული ჩანაწერების სავარაუდო მონაწილეები არიან „ომეგა ჯგუფის“ მხრიდან ზაზა ოქუაშვილი, „თბილისის თამბაქოს“ მხრიდან კი ვანო ჩხარტიშვილი და ირაკლი ჩუბინიშვილი. ლაპარაკისას ახსენებენ უჩა მამაცაშვილს – ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილს; დიმიტრი ქუმსიშვილს – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა ყოფილ მინისტრს და ოთარ ფარცხალაძეს – ყოფილ მთავარ პროკურორს.[220]

საუბარი მინიშნებებით და დაუსრულებელი წინადადებებით არის სავსე, ამიტომ მის შინაარსს მცოდნე ადამიანის მიერ ადამიანურ ენაზე თარგმნა ჭირდება. (აი, მაგალითად, სავარაუდოდ ზემოთ მოთხრობილ სასამართლო საქმესთან დაკავშირებით, სავარაუდოდ ირაკლი ჩუბინიშვილი ამბობს – „მარჟა გაგვიკეთეს იმით, რო ფილტრიანები დემპინგიდან გაიყვანოსო [...] ეს რაც სასამართლოთი არის გაჩერებული ახლა სხვებმა რო არ შემოიტანონ, უთხრას რო არ შემოიტანონ და გააჩერონ ეგენი.“[221]

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ „თარგმნით“, ამ ორი ჩანაწერის მოკლე შინაარსი ასეთია – უჩა მამაცაშვილმა „ომეგა ჯგუფსა“ და „თბილისის თამბაქოს“ სავარაუდოდ ერთიანი სადისტრიბუციო კომპანიის შექმნა შესთავაზა. საუბრიდან იკვეთება, რომ გარიგების პირობები ბიძინა ივა-

219 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „კორუფციის კვამლი: დიდი განაწილება თამბაქოს ბიზნესში,“ სექტემბერი 26, 2018, https://bit.ly/2Q5CP5R

220 იქვე.

221 იქვე.

ნიშვილთან იყო შეთანხმებული. საუბარში ასევე ნახსენებია „ფონდი“, იგივე „პარტია,“ რომელიც, სქემის მიხედვით, თამბაქოს ბაზარზე დისტრიბუტორი კომპანიის შემოსავლის 50%-ს მიიღებდა.

„თბილისის თამბაქოს“ წარმომადგენელი ირაკლი ჩუბინიშვილი „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელს ზაზა ოქუაშვილს სავარაუდოდ, ასევე „პარტიის“ უკანონო დაფინანსების სქემის შესახებაც ესაუბრება. ამ სქემის მიხედვით, „პარტიას“ სიგარეტის უცხოური კომპანიებიც აფინანსებდნენ, ხოლო უშუალოდ „თბილისის თამბაქომ“ წინასაარჩევნო პერიოდში „პარტია“ 3-ჯერ დააფინანსა. ირაკლი ჩუბინიშვილი, ხელისუფლებასთან პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელს „პარტიის“ აღნიშნული სქემით დაფინანსებას სთავაზობს. ამავე საუბრის მიხედვით, „პარტიის“ დაფინანსების საკითხს „მინისტრი“, სავარაუდოდ, დიმიტრი ქუმსიშვილი კურირებდა.[222]

„ჩანაწერიდან ჩნდება შთაბეჭდილება, რომ სასამართლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში გავლენიანი პირების მხრიდან კორუფციულ სქემაში ერთ-ერთ ინსტრუმენტად იქნა გამოყენებულიო“. – ასკვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა“.[223]

ეს „ჩნდება შთაბეჭდილება“ და „ალბათ“ არ გახდებოდა საჭირო, გამოძიება რომ ჩატარებულიყო. გამოძიება არ ჩატარებულა. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებმა „ომეგას“ საქმის გამოძიება მოითხოვეს, პასუხად პოლიტიკოსების და პროსამთავრობო მედიის ბრალდებები მიიღეს – „შეკითხვები რატომ გაგიჩნდათ და, საერთოდ, ვისი დაკვეთით მოქმედებთო.“ ეს რაც საჯაროდ ჩანდა... ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი მიყვებოდა,

222 იქვე.
223 იქვე.

რა შინაარსის და რამდენი მესიჯი მისდიოდა გაურკვეველი პროფილებისგან მასაც და სხვებსაც „ფეისბუკის“ პირად გვერდებზე. როგორც ჩანს, გამოძიების მოთხოვნა უამრავ ადამიანს უბიძგებს, მუქარისა და გინების შემცველი წერილები გიგზავნოს...

### „რუსთვი 2“-ის საქმე

„რუსთვი 2“-ის საქმესთან დაკავშირებული სასამართლო დავა 2015 წლის აგვისტოში დაიწყო. ტელეკომპანიის ირგვლივ მიმდინარე საქმეები საქართველოში არსებულმა ყველა ინსტანციის სასამართლომ განიხილა, თუმცა, გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში უცვლელი რჩებოდა – ტელეკომპანიას მის ყოფილ მფლობელს, ქიბარ ხალვაშს აკუთვნებდნენ.[224]

ტელეკომპანიის გარშემო ჩატარებულ თითოეულ პროცესს და ამ პროცესებთან დაკავშრებულ დარღვევებზე აღარ ვილაპარაკებთ – მაინც უკვე ვიცით, თუ როგორ მთავრდება ეს ამბავი. საკმარისია ვახსენოთ, რომ მოსამართლეების თითქმის ყველა გადაწყვეტილებებს თან ახლდა ადგილობრივი თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და გავლენიანი დიპლომატების მკვეთრად უარყოფითი შეფასება. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც გამოეხმაურა. „ამერიკის ხმას“ განუცხადეს – „შეერთებული შტატები შეშფოთებულია „რუსთავი 2“-ის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგით. ამ გადაწყვეტილებამ შესაძლოა, შეზღუდოს ოპოზიციის ხმა ქართულ სამაუწყებლო მედიაში. პლურალისტური მედიაგარემო არსებითია საქართველოს დემოკრატიული ზრდისა და ევროატლანტი-

224 On.ge, „რუსთავი 2-ის საქმე – დეტალები მოკლედ,“ მარტი 06, 2017, http://go.on.ge/9zk

კური მისწრაფებებისათვის. ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, გადადგას საიმისო ნაბიჯები, რომ მედიაგარემო დარჩეს თავისუფალი, ღია და პლურალისტურიო.“[225]

საქმის განხილვის ყველა ეტაპზე ძლიერდებოდა ეჭვი, რომ სასამართლო პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, და არა კანონის მოთხოვნებით. არასამთავროები წერდნენ, რომ „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესი გამოირჩეოდა საქმისადმი მოსამართლის მიკერძოებული დამოკიდებულებით. ამის მაგალითად კი მოსამართლე თამაზ ურთმელიძის 5 ნოემბრის განჩინება, მოჰყავდათ – მოსამართლემ ტელეკომპანიის დროებით მმართველებად ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი დირექტორი, რევაზ საყევარიშვილი და „რუსთავი 2“-ის წილის ყოფილი მფლობელი, დავით დვალი დანიშნა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ შეფასებით, ეს გადაწყვეტილება „წინააღმდეგობაში მოდიოდა, ერთი მხრივ, კანონმდებლობასთან და, მეორე მხრივ, წარმოადგენდა დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში უხეში ჩარევის პრეცედენტს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოსამართლის დასაბუთების მთავარი არგუმენტაცია დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ არხის სარედაქციო პოლიტიკის კრიტიკას ეფუძნებოდა“.[226]

„რუსთვი 2“-ის საქმის განხილვის დაწყების წუთებიდან გაჩნდა კითხვები ამ საქმის პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირებით. უფრო სწორად, კითხვები კი არა, საქართველოში ყველა დარწმუნებული იყო, რომ პროცესი სწორედ პოლიტიკური იყო და არა სამართლებრივი.

ბევრის აზრით, „რუსთავი 2“-ის მფლობელობასთან დაკავშირებული პროცესი განსაკუთრებულად აღმაშფოთებე-

225 რადიო თავისუფლება, „სტრასბურგის სასამართლოს მიერ შეჩერებული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,“ მარტი 04, 2017, https://bit.ly/33VJJSg

226 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „მნიშვნელოვანია ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმე სამართლიანად გადაწყდეს,“ ნოემბერი 22, 2016, https://bit.ly/2E6ra3J

ლი თავისი ფარისევლური ხასიათის გამო იყო – ეს საქმე ხომ „სამართლიანობის აღდგენის“ კონტექსტში განიხილებოდა. ამ ტელეკომპანიის მფლობელობასთან დაკავშირებით წლების მანძილზე მართლაც ბევრი კითხვა ისმოდა. თუმცა, ეს კითხვები განსაკუთრებით მწვავე იყო სწორედ ქიბარ ხალვაშისთვის „რუსთავი 2“-ის წილის გადაცემასთან დაკავშირებით. ამიტომ, მისთვის ტელევიზიის გადაცემა განსაკუთრებულ ცინიზმად აღიქმებოდა.

ამავე დროს ისიც სათქმელია, რომ საქართველოში მედიამფლობელობის საკითხი სასამართლოს დარბაზებში იშვიათად წყდება. მედიაზე კონტროლის დამყარება კულისებში, არაფორმალურ შეხვედრებზე, მფლობელებსა და პოლიტიკოსებს შორის გაუმჭვირვალე მოლაპარაკებებზე ხდება ხოლმე.

მედიაზე უფრო დაწვრილებით სულ რამდენიმე გვერდის შემდეგ მოგითხრობთ. მანამდე კი ცოტა დრო იმ საქმეს უნდა დავუთმოთ, რომელიც, ნაწილობრიც მედიასაც შეეხება, სასამართლოსაც, პროკურატურასაც, ეროვნულ ბანკსაც და არჩევნებსაც.

## ყველა მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ

*„აგერ „თიბისი ბანკი“, ნორმალური მადლობა არ უთქვია ხაზარაძეს“* – ბიძინა ივანიშვილი, 2018[227]

როგორც წესი, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომებს ცოტა ვინმე თუ ადევნებს თვალს. რა გინდ მნიშნელოვანი თემა იყოს ქვეყნისთვის, უმეტესობისთვის მაინც მოსაწყენია ხოლმე – ფინანსები, ბიუჯეტი, რიცხვები, რამე...

აი, 2019 წლის 4 მარტს კი კომიტეტში მიმდინარე განხილვები, ტელევიზიის გარდა, არაერთ „ფეისბუკ ლაივში“ იყო ჩართული. თითოეულ ჩართვას 4 საათის განმავლობაში ათასობით მაყურებელი ყავდა. პარლამენტში „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელი მამუკა ხაზარაძე იყო მისული, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში დაგროვილ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.

მამუკა ხაზარაძე სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურების მიერ მასსა და მის ბანკზე განხორციელებულ ზეწოლაზე ყვებოდა – ზოგ შემთხვევაში ფორმალურზე, ზოგჯერ კი – არაფორმალურ მუქარებზე.

დავიწყოთ იმით, რასაც მამუკა ხაზარაძემ „თიბისი ბანკის“ წინააღმდეგ სახელმწიფოს „ორკესტრირებული შეტევა“ დაარქვა.[228] 2018 წლის ივნისში ბანკში ერთდროულად 4 უწყება შევიდა – ფინანსური მონიტორინგის სამსახური, პროკურატურა, საგადასახადო სამსახური და ეროვნული ბანკი. „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლის ცნობით, ბანკის არსებობის 27-წლიან ისტორიაში მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა.[229]

---

227 იმედი, “ივანიშვილი: ვანო ჩხარტიშვილმა ყველაზე მეტი ანგარიში გამიწია,“ ოქტომბერი 26, 2018, https://bit.ly/2Pfmgan

228 რადიო თავისუფლება, „მამუკა ხაზარაძე პარლამენტში: მთავარი რაც ითქვა,“ მარტი 04, 2019, https://bit.ly/2MAQIKy

229 ტაბულა, „ხაზარაძე: 2018 წლის ივნისში 4 უწყების შემოსვლას TBC ბანკში საეჭვოდ დაემთხვა კიბერშეტევა,“ მარტი 04, 2019, https://bit.ly/2pIlnMY

ამას თან დაერთო ბანკზე განხორციელებული მასიური კიბერშეტევა, რომელიც, მამუკა ხაზარაძის ინფორმაციით, „თიბისის“ თანამშრომლებმა გამოიძიეს, მიაგნეს მისამართსა და კომპიუტერებს, საიდანაც მოდიოდა თავდასხმა და დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს შსს-ს. პირადად მივწერე ხუთი წერილი გიორგი გახარიას და ვკითხე, თუ რას აკეთებდა გამოძება, საპასუხოდ კი, კარგა ხნის მერე, „ვიღაც გამომძიებლის“ წერილი მივიღეთ, რომელმაც გვითხრა, რომ გამოძიება მიმდინარეობსო – თქვა ხაზარაძემ.[230]

ბანკის დირექტორისა და შინაგან საქმეთა მინისტრის კორესპონდენცია, როგორც ჩანს, ამით არ ამოწურულა. მამუკა ხაზარაძემ პარლამენტარებს აცნობა, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გიორგი გახარიასგან მუქარის წერილი მივიღე, სადაც ის ადგილზე და საერთაშორისო ასპარეზზე რეპუტაციის დანგრევით მემუქრებოდა, თუ „კონკრეტულ ქმედებებს“ არ განვახორციელებდიო.[231]

მამუკა ხაზარაძემ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან დაპირისპირებაზეც ილაპარაკა. შანტაჟში დასდო ბრალი ეროვნული ბანკი პრეზიდენტს, კობა გვენეტაძეს და მის მოადგილეს. თქვა, რომ პროკურატურა, რომელიც მის მიერ ფულის გათეთრების საქმეზე აწარმოებს საქმეს დაპირდა, რომ ინფორმაციას კონფიდენციალურად შეინახავდა, რათა ხელი არ შეეშალა ბანკის მნიშვნელოვანი პროექტისთვის, რამდენიმე დღეში კი მთელს ქვეყანას ამცნეს – საქმე ფულის გათეთრების მუხლით მიდისო.[232]

ვინ და რატომ ერჩის „თიბისი ბანკს“? შეკითხვას „ვინ?“ თავად მამუკა ხაზარაძემ გასცა პასუხი. მისი აზრით, ბანკი

230 იქვე.

231 რადიო თავისუფლება, „მამუკა ხაზარაძე პარლამენტში: მთავარი რაც ითქვა,“ მარტი 04, 2019, https://bit.ly/2MAQIKy

232 ტაბულა, „ხაზარაძე: 31 დეკემბერს თქვეს, რომ საქმე კონფიდენციალურია, 09 იანვარს კი გასაჯაროვდა,“ მარტი 04, 2019, https://bit.ly/2p5gihH

„ორი პოლიტიკური ლიდერის თავდასხმის ქვეშაა“. აქედან ერთი უცხოეთშია,მეორე კი – საქართველოში.[233]

რთული მისახვედრი არაა, თუ ვინ იგულისხმა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელმა. უცხოეთში მყოფი ლიდერი საქართველოს ექს-პრეზიდენტი სააკაშვილია, რომელიც, „ფეისბუკით“ ხშირად უტევს ხოლმე მამუკა ხაზარაძეს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ სააკაშვილს ბანკზე სხვა ზეწოლის განხორციელების მექანიზმები, გარდა სტატუსების წერისა არა აქვს და ის ხაზარაძემ ალბათ ერთგვარი პოლიტიკური ბალანსის დასაცავად დაასახელა.

„თიბისი ბანკზე“ შეტევის ორკესტრირება (თუ ის მართლაც განხორციელდა. ხელისუფლება ამბობს, რომ ბანკის გარშემო ნორმალური სამართლებრივი პროცესები მიმდინარეობს) დღეს ქვეყანაში მხოლოდ იმ მეორე, საქართველოში მყოფ ლიდერს ძალუძს.

მეორე შეკითხვაზე – „რატომ?“ – სრული და ამომწურავი პასუხი არავისა აქვს. უფრო ვარაუდებია. ამიტომ, მოდი პარალელურად კიდევ ორ შეკითხვას – „როდის?“ და „როგორ?“ ვუპასუხოთ.

* * *

2018 წლის 13 ივნისს თანამდებობიდან გადადგა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. გადადგომის მიზეზი მასსა და ბიძინა ივანიშვილს შორის ფუნდამენტურ საკითხებზე განსხვავებული პოზიციები იყო. ერთ-ერთი ასეთი საკითხი ანაკლიის მშენებარე პორტი იყო.[234]

---

233 ტაბულა, „ხაზარაძე: ორი ლიდერის თავდასხმის ქვეშ ვართ – უცხოეთიდან და საქართველოდან,“ https://bit.ly/31HieKq

234 ნეტგაზეთი, „რომან კაკულია არ უარყოფს, რომ ივანიშვილმა კვირიკაშვილს ხაზარაძეზე ჰკითხა,“ ივლისი 14, 2018, http://netgazeti.ge/news/292532/

ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელების უფლება გიორგი კვირიკაშვილის პრემიერ მინისტრობის დროს, 2016 წლის თებერვალში, ტენდერის შედეგებზე დაყრდნობით, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ მოიპოვა. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმში“, რამდენიმე საერთაშორისო კომპანიასთან ერთად, „თიბისი ჰოლდინგიც“ შედის. სამშენებლო სამუშაოების გახსნის ცერემონიალს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე დაესწრნენ. პრემიერის გადადგომის შემდეგ მინისტრთა კაბინეტი ორივეს დაატოვებინეს.[235]

კვირიკაშვილის წასვლიდან ერთ თვეში პრესაში გამოჩნდა სტატიები, სადაც ხაზარაძის გვარი მიხეილ ხოდორკოვკისთან ერთად მოიხსენიებოდა – ანუ, ვარაუდობდნენ, მალე დაიჭერენო.[236] ცნობები, რომ ხაზარაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა იყო დაწყებული ჯერ „თიბისი ბანკმა“ უარჰყო, შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ.

თუმცა, ამის პარალელურად, ბიძინა ივანიშვილი უკვე ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას მამუკა ხაზარაძით. საჯარო გამოსვლებში, გიორგი კვირიკაშვილის კრიტიკისას ის „თიბისის“ დამფუძნებელსაც ახსენებდა ხოლმე. ამბობდა, „თიბისი ბანკმა“ („საქართველოს ბანკთან“ ერთად) „გადაჭამა ქვეყანაო“. [237] პროსახელისუფლებო „იმედიც“

235 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „თიბისი ბანკის დამფუძნებლების წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების ისტორია,“ მარტი 01 , 2019, https://bit.ly/2ElvSJH

236 NEWposts, „ხაზარაძეს ხადარკოვსკის ბედი ელოდება – რა ბრძანება მიიღო პროკურატურამ ივანიშვილისგან?“ აგვისტო 07, 2018, https://bit.ly/33POa0I

237 რადიო თავისუფლება, „ბიძინა ივანიშვილი: „თიბისიმ“ და „საქართველოს ბანკმა“ გადაჭამეს საქართველო,“ ივლისი 24, 2018, https://bit.ly/2W7LV6n

იუწყებოდა, კვირიკაშვილის გუნდის მიმართ პრეტენზიები ანაკლიის პორტის პროექტმაც გააჩინაო.[238]

ერთი თვის შემდეგ კი საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მართლაც დაიწყო გამოძიება „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სავარაუდო ფაქტზე. თუმცა, ამ გამოძიებამ მაშინვე დაბადა შეკითხვები. მთავარი კითხვა კი იყო – რატომ ახლა? რატომ გადაწყვიტა პროკურატურამ 2018 წელს 10 წლის წინ, რუსეთ-საქართველოს ომის დროს მომხდარის გამოძიება? და რატომ ატყდა ამხელა ამბავი ისეთი საქმის გამო, რომლისთვისაც ეროვნულმა ბანკმა „თიბისი“ მილიონი ლარით დააჯარიმა?

ბიძინა ივანიშვილმა, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში თავად ილაპარაკა, თუ რატომ გაუჩნდა ანტიპათია მამუკა ხაზარაძის მიმართ. და, რადგან მისი ნათქვამის მოკლე შინაარსი ციტატას მთელ ხიბლს უკარგავს, მას სრულად გაგაცნობთ. თუმცა, ჯერ კონტექსტი – „თიბისი ბანკს“ და ვანო ჩხარტიშვილს სასამართლოში დავა ჰქონდათ. ბიძინა ივანიშვილი დაპირისპირებულ მხარეებს შეხვდა და, მისივე ცნობით, დაარწმუნა ვანო ჩხარტიშვილი, რომ დავა აღარ გაეგრძელებინა. აი, ახლა თავად ციტატაც:

„ვანო ჩხარტიშვილმა მოახერხა და იმ სფეროს დაუწყო ჩემზე კარგად ყურება, რომელსაც მე ძალიან ვაფასებ. ხალხური სიმღერა და პოლიფონია ჩვენი კულტურის ძვირფასი წარმომადგენელია, მან გახსნა ფოლკლორის სახლი, რომლის გახსნაზეც მე ვერ მივედი.

პატივი ვეცი ამ კაცს, რომ ესეთი სასახლე დააარსა. სხვა დანარჩენი დამოკიდებულებები, მაგალითად, პატარკა-

238 იმედი, „ბიძინა ივანიშვილი: კვირიკაშვილი არღვევდა ბალანსს ბიზნესის და სახელმწიფოს ინტერესებს შორის, მას აღარ შეეძლო მართვა,“ ივლისი 24, 2018, https://bit.ly/360Sig7

ციშვილებთან და „თიბისისთან“ დავა. პირველი ინსტანცია ჩხარტიშვილს მოგებული ჰქონდა, ერთადაც დამიჯენია ისინი და ჩხარტიშვილმა 100-ით 0 მოუგო მათ, იჯდა ხაზარაძე და ჯაფარიძე. ქართული სასამართლო ძალიან გამაგრდა და გამყარდა ჩვენი მოსვლის შემდეგ. ჩემი მუდარა, ხვეწნა და მუქარაც იყო ის, რომ სასამართლოს არ აქვს ისეთი ხერხემალი რომ გამოვიდეს და საზოგადოებას დაუმტკიცოს რომ შენ მოუგე „თიბისი ბანკს“, არაბებს, პატარკაციშვილებს...

მე მადლობა შემიძლია გადავუხადო ამ მხრივ ჩხარტიშვილს. ჩვენი ურთიერთობისგან მას ზარალის მეტი არ მიუღია. მე ვთავაზობდი, რომ ჩემი ფულით დაგეხმარებით, ბევრს დავხმარებივარ ნაცვლად იმისა რომ სახელმწიფო და ქვეყანა არ დაეზრალებინათ. ვინ დაზარალდა ამ დავებიდან? – დაზარალდა ჩხარტიშვილი“ – თქვა ბიძინა ივანიშვილმა და დაამატა – „ვანო ჩხარტიშვილმა ყველაზე მეტი ანგარიში გამიწია ნებისმიერი ბიზნესმენისგან განსხვავებით და ყველაზე მეტად დაიხია უკან, რისთვისაც მე მადლიერებას გამოვხატავ. აგერ თიბისი ბანკი, ნორმალური მადლობა არ უთქვია ხაზარაძეს...“[239]

ის, რომ „თიბისის“ გარშემო ორდინარული სამართლებრივი პროცესები მიმდინარეობდა, არავინ დაიჯერა. ევროკავშირის ელჩმა, კარლ ჰარცელმა, მაგალითად თქვა „რაც შეეხება „თიბისი ბანკს“, მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან საუბარია სისტემურ ბანკზე. ის გავლენას ახდენს საქართველოში საბანკო სექტორში სტაბილურობაზე. შესაბამისად, ჩვენ განვაგრძობთ სიტუაციაზე თვალის მიდევნებასო.“[240]

საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამი იყო: „ეროვნული

239 იმედი, “ივანიშვილი: ვანო ჩხარტიშვილმა ყველაზე მეტი ანგარიში გამიწია,“ ოქტომბერი 26, 2018, https://bit.ly/2Pfmgan

240 ინტერპრესნიუსი, „ევროკავშირის ელჩი – „თიბისი ბანკის“ ირგვლივ არსებული სიტუაცია გავლენას ახდენს საქართველოში საბანკო სექტორის სტაბილურობაზე,“ თებერვალი 22, 2019, https://bit.ly/31EnkqP

ბანკი, როგორც ჩანს, გვერდს უვლის მიღებულ სამართლებრივ ნორმებს, როდესაც მოითხოვს, რომ „თიბისის“ აქციონერებმა შეაჩერონ თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება სათანადო სამართლებრივი პროცედურის გარეშე... რაც მთავარია, მოვუწოდებთ ყველა მხარეს განაგრძონ მუშაობა ამ საკითხის დროული, სამართლიანი და გამჭვირვალე გადაწყვეტისთვის. სხვაგვარად, მიმდინარე დავა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს საქართველოს ეკონომიკას, რეპუტაციასა და სამომავლო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსო.“[241]

საბოლოოდ, მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე „თიბისი ბანკიდან“ წავიდნენ. ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ ეროვნულ ბანკთან სამართლებრივი დავის შეწყვეტის და ჯარიმის თანხის – 1.1 მილიონი ლარის გადახდის გადაწყვეტილება მიიღო. ხაზარაძე და ჯაფარიძე კერძო დავას აგრძელებენ.[242]

გარეშე დამკვირვებლისთვის კი ყველაზე ცხადი გამოხატულება „თიბისის ბანკის“ წინააღმდეგ მიმართული შეტევის ორკესტრირებული ხასიათისა „ფეისბუკი“ იყო. უმეტესობას არც საქმის ფინანსური თუ სამართლებრივი დეტალები ესმის და ვერც იმაში ერკვევა, ვის როდის რა უთხრა შინაგან საქმეთა მინისტრმა. აი, სოციალურ ქსელებში გამოჩენილ პოსტებს, რომლებსაც ყალბი თუ ნამდვილი ფეისბუკ-გვერდები ავრცელებენ ყველა ხედავს. ამ დროს ხვდები ხოლმე – ესენი თავისით არ ჩნდება. ფეისბუკზე აგორებული მსგავსი კამპანიებს სისტემური, მართული ხასიათი აქვს.

შემდეგ თავში, ტრადიციულ მედიასთან ერთად ამგვარ, სოციალური მედიის კამპანიებსაც გადავხედავთ.

---

241 ლიბერალი, „ამერიკის სავაჭრო პალატის სპეციალური განცხადება „თიბისი ბანკზე,“ თებერვალი 20, 2019, https://bit.ly/35Xk2IP

242 იმედი, „ხაზარაძე და ჯაფარიძე კერძო დავას განაგრძობენ,“ თებერვალი 21, 2019, https://bit.ly/32FUHek

## ვის ეკუთვნის ქართული მედია

*„დღეს რომ გამორთო „რუსთავი 2“ ქვეყანაში აღმავლობისა და აღმშენებლობის მეტს ვერაფერს ვერ ნახავ“* – ბიძინა ივანიშვილი, 2018 წელი. [243]

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის წინ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ ჯერ თავისი არხის ეთერში, შემდეგ კი „ფეისბუკზე „ გამოქვეყნებულ ვიდეომიმართვაში წიწაკა შეჭამა და სხვებსაც ამის გაკეთებისკენ მოუწოდა. როგორც თავად აღნიშნა, წიწაკა კატასტროფულად ცხარე იყო, თუმცა „რას არ გააკეთებ სამშობლოსთვისო“. [244]

რა შუაშია აქ სამშობლო? საქმე იმაშია, რომ ნიკა გვარამიას თქმით, ეს გამოწვევა იყო პრეზიდენტობის კანდიდატის, „მოღალატე“ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ. გამოწვევის არსი, მისი ლოგიკით, ასეთი იყო – წიწაკა მწარეა, მაგრამ, სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობა კიდევ უფრო მწარე იქნებაო.[245]

ნიკა გვარამიამ ასევე ჯერ „ნაძირლები“ უწოდა ექიმებს, რომლებმაც ფული შესწირეს სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიას, შემდეგ კი აზრი განავრცო და დაწერა, კანდიდატის დახმარება „არც გამოხატვის თავისუფლების და არც პოლიტიკური გემოვნების საკითხია“ – ვინც მას მხარს დაუჭერს, „უკიდურესად უნდა შევავიწროვოთ“ და „გავაძევოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, იქნება ეს ბიზნესი, კულტურა თუ პოლიტიკაო“.[246]

---

243 ლიბერალი, „რომ გამორთო „რუსთავი 2“, ქვეყანაში აღმავლობის მეტი არაფერი ხდება – ივანიშვილი,“ ოქტომბერი 23, 2018, https://bit.ly/2Jjmjhx

244 მეტრონომი, „სალომე მოღალატეა, ჭამეთ წიწაკა – გვარამიამ ახალი გამოწვევა დაიწყო (ვიდეო),“ სექტემბერი 17, 2018, https://metronome.ge/story/166056

245 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ნიკა გვარამია – სალომე მოღალატეა, ჭამეთ წიწაკა და იყავით პატრიოტები,“ სექტემბერი 17, 2018, https://bit.ly/33Vvw7C

246 იმედი, „ნიკა გვარამია ამჯერად მეან-გინეკოლოგებს ერჩის,“ ოქტომბერი 05, 2018, https://bit.ly/2Pmwfej

თავის მხრივ, ტელეკომპანია „იმედმა“ არჩევნების მეორე ტურის წინ „საგანგებო მდგომარეობა“ გამოაცხადა, რომელიც, როგორც განცხადებიდან ჩანდა, ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ ეთერს ერთ ახალი ტოკ-შოუს დაუმატებდნენ და უკვე არსებულს უფრო ხშირად გაუშვებდნენ. აღსანიშნავი მაინცდამაინც არაფერი იქნებოდა (რა გასაკვირია, ტელევიზიამ რომ არჩევნების წინ საინფორმაციო სამსახური გააძლიეროს), რომ არა განცხადების დანარჩენი ტექსტი, სადაც ეწერა, საეთერო ბადის ცვლილება იმისათვის ხორციელდება, რომ „არ დაბრუნდეს [ნაციონალური მოძრაობის] რეჟიმიო“.[247]

ის, რომ საქართველოს ორი უმსხვილესი სატელევიზიო არხი პირდაპირ ჩაერთო საარჩევნო ბრძოლაში, როგორც პოლიტიკური აქტორი, არც არავის გაკვირვებია. არა, ცხადია გარკვეული აღშფოთება გამოიწვია – კომენტარები არც მედიაექსპერტებს დაუშურებიათ, არც სხვა ექსპერტებს და არც უბრალოდ სოციალურ ქსელებში აქტიურ ხალხს. მაგრამ არავის არაფერი გაკვირვებია. ახალი მაინცდამაინც არაფერი მომხდარა.[248]

დამოუკიდებელი საქართველოს მედია ყოველთვის ასეთი იყო.

უკვე დაახლოებით უთვალავი წელია, რაც ქართული მედიის მკვლევარები ერთსა და იმავეს ამბობენ – ტარდება დისკუსიები, ეწყობა მრგვალი მაგიდები, ქვეყნდება პატივსაცემი ან ნაკლებად პატივსაცემი ორგანიზაციების მედიამონიტორინგები, დასკვნა კი ყოველთვის ერთია – ქართული მედია (აქ ძირითადად ტელევიზიები მოიაზრებიან) უკიდურესად პოლარიზებულია და ეს ცუდია.

---

247 იმედი, „იმედი“ მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის,“ ოქტომბერი 30, 2018, https://bit.ly/2EUtxJc

248 ნეტგაზეთი, „მედიის პოლარიზაცია: „იმედის“ საგანგებო რეჟიმი და „რუსთავი 2-ის“ წიწაკები,“ ნოემბერი 01, 2018, http://netgazeti.ge/news/316414/

წლების განმავლობაში, მოთამაშეების ნაწილი იცვლებოდა, თამაშის წესები კი დიდწილად უცვლელი რჩებოდა. არსებობდა ორი ძირითადი ძალა – „რუსთავი-2“ და „იმედი“ – რომლებიც პოლიტიკის დაპირისპირებული პოლუსების რუპორებად აღიქმებოდნენ. ამ ტელევიზიების მფლობელების ვინაობა, წლების განმავლობაში, ხან უკეთ იყო ცნობილი, ხან კი – მეტნაკლებად დაფარული. თუმცა, მთელი ეს დრო იგულისხმებოდა, რომ დეფაქტო მფლობელების უკან სხვა, პოლიტიკური ძალები იდგნენ.

არსებობენ, ცხადია, სხვა ტელევიზიებიც, რომლებიც რაღაც დროის განმავლობაში გარკვეულ გავლენას მოიპოვებენ ხოლმე – „კავკასია“, „იბერია“, „პირველი“, „მაესტრო“, „მეცხრე არხი“ ან კიდევ რომელიმე.

არსებობს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომელიც მუდამ აქტუალურია, რადგან ბიუჯეტიდან ფინანსდება და მნიშვნელოვანი რეიტინგი არასოდეს აქვს. თუმცა, რეიტინგის პირველი და მეორე ადგილები უცვლელად „რუსთავი ორსა“ და „იმედს“ უჭირავთ, რომლებიც ყოველთვის დიდი უპირატესობით უსწრებენ მესამე ადგილზე გასულს.

ყოველთვის აღინიშნება, რომ ტელევიზიების გარდა, არსებობენ სხვა მედიასაშუალებებიც – ხარისხიანი ონლაინ-გამოცემები, რადიოები, გაზეთები, რეგიონული მაუწყებლები – თუმცა საერთო სურათს ისინი ვერასოდეს ცვლიან.

პრინციპში, ყოველთვის საკმარისი იყო „რუსთავი 2-სა“ და „იმედის“ სარედაქციო პოლიტიკის მიმოხილვა და საერთო სურათის სულ მცირე 80 პროცენტი გეცოდინებოდა. ერთ მხარეს ყოველთვის „წიწაკის“ რაიმე ნაირსახეობა იყო, მეორე მხარეს კი „საგანგებო მდგომარეობა“. გადამწყვეტი ეს ორი იყვნენ – სხვა ყველა ერთად – რადიო, გაზეთები, ონლაინ-გამოცემები – როგორც „ოსკარებზე“ იტყვიან ხოლმე მეორეხარისხოვანი მსახიობების როლს ასრულებდნენ.

2018 წლიდან ასე ალბათ აღარ არის. კონკურენტი გაუჩნდა მთლიანად ტელევიზიას – როგორც საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უალტერნატივო წყაროს.

ცხადია, ტელევიზია დღესაც საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი მედიასაშუალებაა. დღემდე, ყველანაირი კვლევის მიხედვით, სწორედ ტელევიზია რჩება ქართველების ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ. თუმცა, ყოველწლიურად, ან, შეიძლება ყოველთვიურადაც კი საინფორმაციო დაპირისპირების ველი საქართველოში უფრო და უფრო ფართოვდება და ბრძოლების მზარდი რაოდენობა უკვე არა ცისფერ ეკრანებზე, არამედ ინტერნეტში იმართება.

ჯერ მაინც ტელევიზიებზე გეტყვით.

* * *

ტელევიზიების მფლობელობის საკითხი ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ. ერთია, ვინ არის ან ვინ არიან ამა თუ იმ არხის ოფიციალური მფლობელები. მეორეა, თუ ვინ განსაზღვრავს რეალურად არხის სარედაქციო პოლიტიკას. ერთის დადგენა მარტივია. მეორეს შესახებ ინფორმაციას კი ხშირად ფარული ჩანაწერების, გაჟონილი ინფორმაციის და ირიბი სამხილების მეშვეობით ვიღებთ. თუმცა, ხშირად დასკვნების გასაკეთებლად საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვება და საღი აზრების მოშველიება კმარა.

„რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე უკვე ვილაპარაკეთ. დავა საბოლოოდ 2019 წლის ივლისში დასრულდა და ტელეკომპანია ქიბარ ხალვაშს გადაეცა.[249] არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმული შიში, რომ მფლობელის ცვლილება საფრთხეს შეუქმნიდა არხის

249 Commersant.ge, „რუსთავი 2-ის საქმეზე სტრასბურგმა დარღვევა არ დაადგინა, დროებითი ღონისძიება გააუქმა,“ 18 ივლისი, 2019 წელი, https://bit.ly/2NHxgMN

სარედაქციო დამოუკიდებლობას,[250] მალევე გამართლდა – ხალვაშის მიერ დანიშნულმა არხის ახალმა გენერალურ-მა დირექტორმა სამსახურიდან დაითხოვა არხის წამყვანი ჟურნალისტების ჯგუფი. დათხოვნილთაგან ერთ-ერთი, არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნოდარ მელა-ძე ამბობდა, რომ ორი კვირით ადრე მას შუამავლის მეშვე-ობით გადასცეს ბიძინა ივანიშვილის გზავნილი, რომელიც მას „რუსთავი 2“-ის სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებაში დახმარებას სთხოვდა.[251]

„რუსთავი-2“-დან დათხოვნილმა ჟურნალისტებმა მუშა-ობა ტელეკომპანიის ყოფილი გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას, მიერ დაფუძნებულ „მთავარ არხზე“ გაა-გრძელეს.[252] ამავდროულად, პროკურატურამ გვარამიას ბრა-ლი წარუდგინა „რუსთავი-2“-ის დირექტორობისას კომპანი-ის საზიანოდ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო.[253] არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ამ საქმე-ში პროკურატურის ნაჩქარევი მოქმედება ბადებს ეჭვს, რომ „საქმე შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებული იყოს და მიზნად ოპონენტების და კრიტიკული მედიის დევნას ისახა-ვდეს.[254]

ტელეკომპანია „იმედის“ 100%-იან წილს „ჯორჯიან მე-დია პროდაქშენ გრუპი“ ფლობს, რომელიც, თავის მხრივ,

250 არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით
18 ივლისი, 2019 წელი, https://bit.ly/2pUMt3Z

251 არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება „რუსთავი 2“-ზე მიმდინარე საკადრო ცვლილებების შესახებ. 20 აგვისტო, 2019 წელი, https://bit.ly/2Kb6av4

252 სამხრეთის კარიბჭე, „ნიკა გვარამიამ ახალი ტელევიზია ‘მთავარი არხი’ დააფუძნა“, 17 აგვისტო, 2019 წელი, http://sknews.ge/index.php?newsid=23915

253 Business Media Georgia, „პროკურატურამ ნიკა გვარამიას ბრალი წარუდგინა-რას ედავება გამოძიება რუსთავი 2-ის ყოფილ გენერალურ დირექტორს?“ 9 აგვისტო, 2019 წელი, https://bit.ly/34LbOMq

254 „არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ნიკა გვარამიასთვის ბრალის წარდგენის შესახებ“, 9 აგვისტო, 2019 წელი, https://bit.ly/2qGBJGq

ბადრი პატარკაციშვილის ქვრივს, ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს ინა გუდავაძეს ეკუთვნის. მას ტელევიზია 2012 წელს არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დამარცხების შემდეგ დაუბრუნდა.[255]

„ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ასევე ფლობს რადიო „იმედს“, შპს IMEDI FILMS, კომპანია „თაჩ მედიას“ და ტელეკომპანია „აისს“, რომელიც დღეისათვის არ მაუწყებლობს. „იმედმა“ 2017 წლის დასაწყისში იყიდა ბიძინა ივანიშვილის ოჯახის საკუთრებაში არსებული ტელეკომპანია GDS და ის გასართობ არხად გადააკეთა.[256]

„იმედის“ ჰოლდინგშია გაერთიანებული ტელეკომპანია „მაესტროც“. ოფიციალურად „მაესტროს“ 55%-იან წილს გიორგი გაჩეჩილაძე ფლობს[257], თუმცა ინა გუდავაძემ დაადასტურა, რომ გაჩეჩილაძისგან წილი სწორედ მან იყიდა.

მფლობელი მფლობელად, მაგრამ „იმედის“ პოლიტიკური სიმპათიების ამოცნობას განსაკუთრებული მარჩიელობა არ ჭირდება. არხი „საგანგებო მდგომარეობის“ გამოცხადებამდეც არ ფარავდა, თუ რომელი კანდიდატის გამარჯვება სურდა საპრეზიდენტო არჩევნებში. „იმედის“ საინფორმაციო პროგრამების და გასართობი გადაცემების თვალის უბრალოდ შევლების შემდეგაც კი არ დაგრჩება ეჭვი, თუ რომელ პოლუსზე დგას ის.

თავიდანვე ვთქვით, რომ ტელევიზიის ამინდს ორი არხი განსაზღვრავდა. ეს მაინცდამაინც ავტორის შეფასებად რომ არ მიიჩნიოთ, აქვე გეტყვით, რომ „TV MR საქართველოს“ მონაცემებით, 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, აუდიტო-

255 რადიო თავისუფლება, “იმედის“ დაბრუნება,“ ოქტომბერი 17, 2012, https://bit.ly/2oeWbgE

256 ნეტგაზეთი, „GDS“ გასართობ არხად გადაკეთდა, რა ელის „მაესტროს“? თებერვალი 21, 2017, http://netgazeti.ge/news/174606/

257 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, შესაბამისობის დეკლარაცია, http://gncc.ge/uploads/other/2/2829.pdf

რიის წილის მიხედვით პირველ და მეორე ადგილებს ტელეკომპანიები „რუსთავი 2“ და „იმედი“ ინაწილებდნენ.

მესამე ადგილზე ხან „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ იყო, ხან „მაესტრო“, ხან GDS და ხან „კომედი არხი“. მაგრამ, განსხვავება პირველ ორ და მესამე ადგილზე მყოფ მაუწყებელს შორის ყოველთვის ძალიან დიდი იყო.[258]

რაც შეეხება სატელევიზიო სარეკლამო ბაზარს, აქ ვითარება კიდევ უფრო ნათლად ჩანს – „რუსთავი 2-ის“ და „იმედის“ ჰოლდინგები მთელი ბაზრის 81 პროცენტს იყოფენ.[259]

ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ სხვა ტელევიზიებს გავლენა არა აქვთ ან რომ მათ გარშემო საეჭვო პროცესები არ ვითარდება. ამ წიგნში, მაგალითად, არაერთხელ მოვიშველიეთ TV „პირველის“ ეთერში გასული ინფორმაცია. ეს ტელევიზია იყო ნახსენები წერილშიც, რომელიც, მამუკა ხაზარაძის მტკიცებით, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ მისწერა. „გახარიას წერილში“ (რომლის ავთენტურობას თავად მინისტრი უარყოფს) ნათქვამია: „უახლოეს 5 დღეში TV1 უნდა დაჯდეს TV იმედის ტრენდზე, გადავიდეს მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმზე (ეს უნდა დავინახოთ არხის სარედაქციო პოლიტიკიდან).“[260]

გაუგებარია, რატომ შეიძლებოდა მიეღო ეს მოთხოვნა მამუკა ხაზარაძეს, რადგან „პირველთან“ მას თითქოს ხელი არა აქვს – ტელეკომპანიის მფლობელი ბიზნესმენი ვახტანგ წერეთელია. თუმცა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ამ ტელევიზიით უკმაყოფილოა

258 MEDIA CHECKER, „მედიაპლურალიზმი საქართველოში – მითი თუ რეალობა,“ აპრილი 26, 2018, https://bit.ly/2JAvHii

259 ფორბსი საქართველო, „სატელევიზიო შემოსავლები: ორ მედიაჰოლდინგს სარეკლამო ბაზრის 81% უკავია,“ თებერვალი 22, 2018, http://forbes.ge/news/3486/satelevizio-Semosavlebi

260 რადიო თავისუფლება, „რუსთავი 2: გიორგი გახარიას წერილი მამუკა ხაზარაძეს ბადრი ჯაფარიძემ მიუტანა,“ მარტი 10, 2019, https://www.radiotavisupleba.ge/a/29813030.html

და ამასთან დაკავშირებით რამის გაკეთებას გეგმავს, დროდადრო ჩნდება ხოლმე ქართულ მედიაში. 2018 წლის დასაწყისში TV „პირველის“ ჟურნალისტმა, ნინო ჟიჟილაშვილმა მედიის გამოწვევებთან დაკავშირებულ მრგვალ მაგიდაზე თქვა: „მინდა გითხრათ იმ პატარა სიგნალების შესახებ, რომელიც ტელეკომპანია „პირველს“ გვქონდა ბოლო პერიოდში. ეს საკმაოდ შემაშფოთებელი სიგნალები იყო, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: ხელისუფლებას არ აქვს კომფორტი, რომ ბაზარზე არსებობს პატარა, მაგრამ საკმაოდ სოლიდური საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი დამოუკიდებელი მედიასივრცე. ბოლო პერიოდში ამასთან დაკავშირებით რაღაც სიგნალები ვიგრძენითო.“[261]

2019 წლის აგვისტოში, უკანონო შემოსავლების ლეგალიზების შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, პროკურატურამ ბრალი წარუდგინა ბიზნესმენ ავთანდილ წერეთელს, რომლის ოჯახიც ტელეკომპანია „პირველს“ ფლობს. ისევე, როგორც ნიკა გვარამიას შემთხვევაში, წერეთლის მიმართ პროკურატურის მოქმედება არასამთავრობო ორგანიზაციებმა დამოუკიდებელ მედიაზე ხელისუფლების ზეწოლას დაუკავშირეს.[262]

როგორც თავის დასაწყისში ვახსენეთ, 2018 წლიდან, უფრო ზუსტად კი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურიდან განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა, რომ უფრო და უფრო დიდი როლი ენიჭებოდა სოციალურ ქსელებში – სხვადასხვა გვერდებზე და ჯგუფებში გავრცელებულ ინფორმაციას, მიმებს, კომენტარებს და შეფასებებს.

---

261 ნეტგაზეთი, „იყო სიგნალები TV პირველის შინაარსის შესაცვლელად – ნინო ჟიჟილაშვილი,“ თებერვალი 16, 2019, http://netgazeti.ge/news/253378/

262 „ტვ პირველის“ მფლობელის ოჯახის წევრის სამართლებრივი დევნა ამძაფრებს კითხვებს ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებასა და შერჩევით სამართალთან დაკავშირებით“, 22 აგვისტო, 2019 წელი, https://bit.ly/2QbUX16

„ფეისბუკზე“ გამოჩენილ პოსტებთან შედარებით „წიწაკის ჭამაც“ და „საგანგებო მდგომარეობაც“ გაწონასწორებულ, მოზომილ ჟურნალისტიკას წააგავდა. სოციალურ ქსელში დარეგისტრირებას ხომ არაფერი უნდა და აქ არ ჩანს, ვინ არის ნამდვილი, ცოცხალი ადამიანი და ვინ – პოლიტიკოსების დაკვეთით შექმნილი პერსონა. საიტის გაკეთებაც იაფი ჯდება და ხშირად არც რეესტრის ამონაწერი გაქვს რომ დაადგინო – ეს, რამდენიმე თვის წინ გაჩენილი საინფორმაციო სააგენტო მართლა ჟურნალისტური ორგანიზაციაა თუ დეზინფორმაციის გასავრცელებლად შექმნილი ორგანო.

* * *

„ავთანდილ კერესელიძე“ აღარ არის.

აქტიური, საქმიანი ახალგაზრდა იყო, რომელსაც თავისი პოლიტიკური სიმპათიები ჰქონდა და ამ სიმპათიებს არც მალავდა. „ფეისბუკზე“ ხშირად პოსტავდა და ერთგვარი „ოფინიომმეიქერიც“ გახლდათ- რამდენიმე გვერდის ადმინისტრატორი იყო, რომლებსაც, ყველას ერთად, ეხლაც ათიათასობით მომწონებელი ყავს. ამას გარდა სხვადასხვა ჯგუფებშიც აქტიურად პოსტავდა. აი, მაგალითად მისი დაწერილის გაცნობა „ფეისბუკის“ ჯგუფ „ახალი ამბების“ 230 ათას წევრს შეეძლო.

როდესაც პოლიტიკურ მიმებს არ აზიარებდა, იმავეს აკეთებდა, რასაც ყველა შვება ხოლმე – გერმანიიდან „ჩეკინდებოდა“, იპრანჭებოდა და პროფესიონალის გადაღებულ ფოტოებს დებდა – მომიწონეთ, შავი როგორ მიხდებაო. დროდადრო, როცა ყველაფრისგან დაიღლებოდა, მარტო ადიოდა მთაწმინდაზე, სადაც ვიღაც სხვა ფოტოს უღებდა (ეგ როგორ ხდებოდა არ ვიცი. აშკარად სხვის მიერ გადაღებული ფოტო ჰქონდა გაზიარებული და წერდა მარტო ვარო), ქალაქს გაჰყურებდა და ფიქრობდა.

თუმცა, ძირითადად მაინც პოლიტიკური ხასიათის პოსტების გაზიარებით იყო დაკავებული. განსაკუთრებით 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ გააქტიურდა – „ნახუი მიშა, ნახუი გრიშას“ წერდა და სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებას ხარობდა. შემდეგ ცოტა მოეშვა, „მეორე სუნთქვა“ კი 2019 წლის 9 იანვარს გაეხსნა. ავთანდილ კერესელიძემ მამუკა ხაზარაძე, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ შეიძულა, როდესაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ანუ ფულის გათეთრების ფაქტზე. ამ დროს დაიწყო უამრავი მიმისა თუ კარიკატურის კეთება, სადაც „მევახშეებზე“ და „მილიონების მომპარავებზე“ იყო ლაპარაკი.

ავთანდილი ამ ქვეყნიდან 2019 წლის 25 თებერვალს წავიდა. სწორედ ამ დროს გამოაქვეყნა „მედიის განვითრების ფონდმა“ კვლევა, სახელწოდებით „სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ“.[263] ამ კვლევაში ამტკიცებდნენ, ავთანდილ კერესელიძე რეალური ადამიანი კი არა, საგანგებოდ სოციალური მედიისთვის შექმნილი კონსტრუქტია, რომლის მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ხელისუფლების მოწინააღმდეგეების დისკრედიტაცია მოახდინოსო.

კი, მაგრამ შავი ფერი რომ უხდებოდა? მთაწმინდაზე რომ იყო დაფიქრებული? ეგ ფოტოები ვისი იყო?

ვისი და, ვინმე კარო მანუკიანის. სომეხი ინჟინრის, რომელიც თავისთვის დასეირნობდა ერევნის ქუჩებში, ერთხელ თბილისშიც იყო და მთაწმინდაზე ფოტო გადაიღო და წარმოდგენაც არ ქონდა, რომ მის ფოტოს „ავთანდილ კერესელიძე“ ამოეფარებოდა.[264]

---

263 მედიის განვითარების ფონდი, „სახელისუფლებო ტროლები მამუკა ხაზარაძის წინააღმდეგ,“ 2019, http://mdfgeorgia.ge/uploads/library/103/file/saxelisuflebo_trolebi.pdf

264 იქვე.

თუმცა, ავთანდილმა კვლევის გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათს კიდევ იარსება. დაწერა, რას ქვია ყალბი ვარ, რეალური ადამიანი ვარ და სასამართლოში ვიჩივლებო. ორ საათში კი „ფეისბუკიდან“ მისი ხსენება გაქრა.[265]

„ავთანდილი“ აღარ არის, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია. ქართულ სოციალურ მედიაში ბოლო ორი წლის განმავლობაში იმდენი ტროლი გამოჩნდა, რომ თავი სკანდინავიურ ზღაპარში გეგონება.

მაინც რამდენი? აი, მაგალითად რა დაადგინა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ კვლევამ, სადაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას სოციალური მედიის ვითრება იყო გაანალიზებული.

კვლევამ აჩვენა, რომ პოლიტიკოსების დისკრედიტაციისთვის შექმნილი გვერდების რაოდენობა პირველ და მეორე ტურს შორის გასამმაგდა. პირველი ტურის წინ „სამართლიანმა არჩევნებმა“ 54 ასეთი გვერდი აღმოაჩინა, 19 ოქტომბრის შემდეგ კი მათი რაოდენობა 160-მდე გაიზარდა.[266]

ორგანიზაციის შეფასებით, 43 გვერდი მოქმედებდა სალომე ზურაბიშვილის და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, 72 გვერდი გრიგოლ ვაშაძის და ენმ-ს დისკრედიტაციას ცდილობდა, 8 გვერდი მომხმარებელს თავს აჩვენებდა, თითქოს ერთ-ერთი კანდიდატის მხარდამჭერი იყო, სინამდვილეში კი მის დისკრედიტაციას ცდილობდა (აქედან 7 გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგი იყო, 1 კი – სალომე ზურაბიშვილის). დანარჩენები თავს მედია საშუალებებად ასაღებდნენ, რეალურად კი პროპაგანდით იყვნენ დაკავებულნი.[267]

---

265 On.ge, „სამთავრობო ტროლი Avtandil Kereselidze Facebook-ზე აღარ იძებნება — MDF,“ თებერვალი 25, 2019, http://go.on.ge/1035

266 სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, „სოციალური მედიის მონიტორინგი – მეორე შუალედური ანგარიში,“ დეკემბერი 20, 2018, https://bit.ly/2BCyr9i

267 იქვე.

ამ პერიოდში გააქტიურდა 23 ულტრანაციონალისტური გვერდიც, რომლებიც მანამდე „დასავლეთი გვაპიდარასტებს“ ტიპის პოსტებს დებდნენ, მეორე ტურის წინ კი პოლიტიკური ხასიათის განცხადებების გაკეთება დაიწყეს – უმეტესწილად სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად, თუმცა, დროდადრო „ქართულ ოცნებასაც“ აკრიტიკებდნენ.[268]

სკანდინავიური ზღაპარი კი არა, უფრო „მატრიცის“ ტიპის ფილმის შინაარსს გავს, სადაც ნამდვილი არაფერია და ყველაფერს რობოტები განაგებენ.

არადა, ეს „ფილმი“ ისე იწყებოდა, რომ თავიდან მსუბუქი დრამა ან კომედია გეგონებოდა. „ქართულ ოცნებას“ ხომ ისე ეჭირა თავი, თითქოს პრეზიდენტის ვინაობა მათთვის სულერთი იყო და არც ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვება ეწყინებოდათ.

268 იქვე.

## ვის ეკუთვნის ხალხის ნება

*„ძალიან მიხარია, რომ პრობლემა, რომელიც 600 ათასზე მეტ ადამიანს აწუხებდა, მოიხსნება. ძალიან რთულია ეს დაუკავშირო არჩევნებს. პირველ ტურში რომ დამთავრებულიყო არჩევნები და მერე რომ გამოცხადებულიყო ეს გადაწყვეტილება, მაშინ რას იტყოდნენ?“* – კახი კალაძე, 2018[269]

არჩევნების მეორე ტურის წინ პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი საარჩევნო ბანერებიდან გააქრეს. ბანერებს ზედ კვლავინდებურად ეწერა „პრინციპული არჩევანი“ და კანდიდატის საარჩევნო ნომერი 48, მაგრამ ფოტოები შეცვლილიყო.

ახლა, ზოგ ბანერზე სალომე ზურაბიშვილის სახელის გასწვრივ ბიძინა ივანიშვილის ფოტო გაჩნდა, ზოგან – კახი კალაძის, ზოგან კი – ირაკლი კობახიძის.

საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტის სახე არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გააქრეს. მის ნაცვლად 5 სხვადასხვა მამაკაცის პორტრეტი გამოჩნდა.

ბევრს თავიდან არ სჯეროდა. „ფეისბუკზე“ გაჩენილ ფოტოებზე აკომენტარებდნენ – „ეს ნამდვილი არ იქნება, უეჭველი ფეიკიაო“. არ იყო „ფეიკი“. მალე თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში უამრავი ასეთი ბანერი გაჩნდა.

რამდენიმე დღის განმავლობაში სრულიად ინტერნეტი ამ ბანერებზე ხალისობდა.[270]

არადა, არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ბიძინა ივანიშვილი ამბობდა, პრინციპში, ყველაფერს საქართველოში

---

269 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „გაცოცხლდნენ არასამთავრობოები, გამოვიდნენ სარდაფებიდან?“ ნოემბერი 20, 2018, https://bit.ly/2MFTWw9

270 რადიო თავისუფლება, „რას ნიშნავს სალომე ზურაბიშვილის ჩანაცვლება?“ ნოემბერი 16, 2018, https://bit.ly/32wvove

„ქართული ოცნება“ განაგებს და სულ არ იქნება ტრაგედია, საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატმა რომ გაიმარჯვოსო.[271]

მისი პოზიცია მაშინ ასეთი იყო – „ქართულმა ოცნებამ“ ღირსეულ დამოუკიდებელ კანდიდატს უნდა დაუჭიროს მხარი, რაც ქვეყნაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაღრმავებისკენ მიმართული ნაბიჯი იქნება. თუ ღირსეული არავინ იქნა, არც არავის დავუჭერთ მხარს და მოხდეს რაც მოხდებაო. ბიძინა ივანიშვილმა იქვე ახსენა, პარტიაში ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა და აი, ეკრანიდანაც ვეუბნები ყველას, ყური დამიგდონ და დამიჯერონო.[272]

დაუჯერეს კიდევაც და „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიიღო. პირველ ტურამდე მხარს ნელ-თბილად უჭერდნენ. შედეგად, 28 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა – სალომე ზურაბიშვილმა ხმების – 38.64% მიიღო, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ – 37,74%.[273]

აი, მეორე ტურის წინ კი „ქართულმა ოცნებამ“ მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენა, რომ არჩევნებში მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს გაემარჯვა. არჩევნებში ბო-

---

271 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ბიძინა ივანიშვილი – ჩემი პოზიციაა, საპრეზიდენტო არჩევნებზე ღირსეულ, დამოუკიდებელ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი, თუ არ იქნება, არც არავის არ დავუჭიროთ და ოპოზიციამ გაინაწილოს ეს ინსტიტუტი,“ ივლისი 24, 2018, https://bit.ly/2MYPjMw

272 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ბიძინა ივანიშვილი – ჩემი პოზიციაა, საპრეზიდენტო არჩევნებზე ღირსეულ, დამოუკიდებელ კანდიდატს დავუჭიროთ მხარი, თუ არ იქნება, არც არავის არ დავუჭიროთ და ოპოზიციამ გაინაწილოს ეს ინსტიტუტი,“ ივლისი 24, 2018, https://bit.ly/2MYPjMw

273 იმედი, „სუსი საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევას უარყოფს,“ ოქტომბერი 31, 2018, https://bit.ly/2MInQjz

ლომდე ჩაერთო თავად ბიძინა ივანიშვილიც, რომელიც ამჯერად აღარ ამბობდა, არა უშავს, ოპოზიციამ რომ გაიმარჯვოსო. არა, ის ახლა თავად ურეკავდა ამომრჩეველს (ავტომატი რეკავდა და ბიძინა ივანიშვილის წინასწარ ჩაწერილ მიმართვას ასმენინებდა) და არჩევნებზე მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა.

* * *

დამოუკიდებელი საქართველოს არჩევნების ისტორიაში ალბათ იშვიათად თუ მოიძებნება რომელიმე, სადაც დამკვირვებლებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე არ ელაპარაკათ. ამ არჩევნების შეფასებისასაც, მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ წერდა, რომ „მეორე ტურისთვის საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც შესაძლოა მოეხდინა არსებითი გავლენა არჩევნების შედეგებზე.“[274]

თუმცა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებამ მეორე ტურის წინ უკანა პლანზე გადაინაცვლა. არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე „ამომრჩევლის საქართველოსთვის უპრეცენდენტო მასშტაბის სავარაუდო მოსყიდვაზე“ ალაპარაკდნენ.[275]

საქმე იმაშია, რომ მეორე ტურის წინ ხელისუფლებამ 600 000 მოვალისთვის „სესხის განულების“ გეგმა დაანონსა. მათ ვალს „ფონდი ქართუ“ გადაიხდიდა.

ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ ამაში უჩვეულო არაფერი იყო. ამაზე ლაპარაკი დიდი ხანია მიდის და ის, რომ ამასობაში არჩევნების მეორე ტური მოვიდა, უბრალო და-

274 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება 2018 წლის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის,“ დეკემბერი 28, 2018, https://bit.ly/2GToKZk

275 Reginfo.ge, „ამომრჩევლის ამ მასშტაბის სავარაუდო მოსყიდვა საქართველოსთვის უპრეცენდენტოა – არასამთავრობოები,“ ნოემბერი 20, 2018, https://bit.ly/35UhWTP

მთხვევაარ – განაცხადა, მაგალითად, თბილისის მერმა, რომელმაც, ასევე ხაზი გაუსვა, რომ ბიუჯეტიდან ამაზე არაფერი დაიხარჯებოდა.[276]

თუმცა ის, რომ არჩევნები ამ განცხადებას უბრალოდ დაემთხვა არავის დაუჯერებია. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელმა დირექტორმა მიხეილ ბენიძემ უთხრა რადიო თავისუფლებას, ამ ინიციატივაზე სახელმწიფო ბიუჯეტის ფული რომ იხარჯებოდეს, მაშინ ლაპარაკი იქნებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ეჭვია ამომრჩევლის მოსყიდვაზეო. [277]

ეჭვი, რომ არჩევნების წინ მილიარდნახევარი ვალის ჩამოწერა იმ ადამიანთან დაკავშირებული ფონდის მიერ, რომლის სახეც საარჩევნო ბილბორდებს ამშვენებდა, შესაძლოა, ამომრჩევლის მოსყიდვა ყოფილიყო, უკლებლივ ყველა ორგანიზაციას გაუჩნდა, რომელსაც არჩევნებთან ახლოს მაინც გაევლო.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი და საარჩევნო პროგრამების კოორდინატორი, ირმა პავლიაშვილი განმარტავდა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ორ საკითხს – ერთი არის ახალი ინიციატივის ბიუჯეტში ასახვა და მეორე ამომრჩევლის მოსყიდვა კონკრეტული პარტიის მხრიდანო.[278]

სამი მსხვილი არასამთავრობოს მიერ განცხადებაში კი ნათქვამი იყო: „მართალია, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეა „ქართუ“

---

276 იმედი, „კალაძე: მთავრობა ჭარბვალიანობის პრობლემის გადაჭრაზე რამდენიმე თვეა მუშაობს,“ ნოემბერი 21, 2018, https://bit.ly/2pKalXp

277 რადიო თავისუფლება, „ვალების განულება ხმების სანაცვლოდ?“ ნოემბერი 20, 2018, https://bit.ly/2SsqGZG

278 ტაბულა, „საია: ვალების განულების ინიციატივაში ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებია,“ ნოემბერი 19, 2018, https://bit.ly/2o9hEra

ჯგუფის სარეგისტრაციო დოკუმენტებში არ ფიგურირებს, საზოგადოებისთვის ეს ორგანიზაცია სწორედ მასთან და მის ოჯახთან ასოცირდება. გარდა ამისა, ფონდი „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე პირდაპირ ამბობს, რომ ეს გადაწყვეტილება ბიძინა ივანიშვილმა მიიღო. შესაბამისად, არჩევნების მეორე ტურის წინ „ქართუ“ ჯგუფის მიერ მსგავსი მასშტაბის და ოდენობის ფინანსური სესხის დაფარვაზე ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადება, ბუნებრივად ასოცირებული იქნება ბიძინა ივანიშვილთან და მის მიერ სალომე ზურაბიშვილის სასარგებლოდ წარმოებულ კამპანიასთან“.[279]

არჩევნების მეორე ტურში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა სალომე ზურაბიშვილმა. ცხადია, ვერავინ გაზომავს, თუ ზუსტად რა გავლენა მოახდინა შედეგებზე ვალების განულების პროგრამამ, მაგრამ არავის შეპარვია ეჭვი, რომ რაღაც გავლენას ნამდვილად მოახდენდა.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ გავრცელებულ წინასწარ დასკვნაში დამკვირვებლები აღნიშნავდნენ – საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ძირითადად კარგად იყო ადმინისტრირებული, თუმცა საარჩევნო პროცესი დააზარალა როგორც ხისტმა რიტორიკამ და ძალადობრივმა ინციდენტებმა, ისე ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებამო.

ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო შეფასება კი ასეთი იყო – არჩევნების მეორე ტურში ბუნდოვანი გახდა ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორისო.[280]

---

279 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, „ვალების ჩამოწერის ინიციატივა ამომრჩეველთა უპრეცენდენტო მასშტაბის შესაძლო მოსყიდვას წარმოადგენს,“ ნოემბერი 19, 2018, https://bit.ly/2Dsf4Sx

280 რადიო თავისუფლება, „არჩევნების მეორე ტური და საერთაშორისო დამკვირვებლების მკვეთრი წინასწარი შეფასებები,“ ნოემბერი 29, 2018, https://bit.ly/2P88TZp

ნიშანდობლივი შეფასებაა. სადამკვირვებლო მისია არჩევნებზე ლაპარაკობდა, მაგრამ ამ ფრაზის განვრცობა ამ წიგნის თითქმის ყველა ქვეთავის კომენტარადაც შეიძლება.

საქართველოში ზღვარი სახელმწიფო სტრუქტურებსა და ერთი კაცის ნებას შორის უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება.